ლია გიგაური, მაკა ფერაძე, გიორგი გახელაძე,
გიორგი მშვენიერაძე

სამართლებრივი კულტურა

დამხმარე სახელმძღვანელო საჯარო და კერძო სკოლების
უფროსკლასელთათვის

თბილისი 2015

Government of the United States

PH international
ADVANCING SOCIETIES, CONNECTING PEOPLE

წინამდებარე სახელმძღვანელო შეიქმნა საქართველოს სამართლებრივი განათლების პროგრამის (GLSP) ფარგლებში, რომელიც 2008-2013 წლებში განხორციელდა ორგანიზაციის PH International-ის მიერ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს დაფინანსებით.

PH International-ი ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელსაც სხვადასხვა საზოგადოებებთან, სამთავრობო სტრუქტურებთან და კერძო კომპანიებთან ურთიერთობის 25 წლიანი გამოცდილება გააჩნია. იგი ხელს უწყობს ქვეყნებს შორის კულტურული ღირებულებების გაზიარებას, ძლიერი დემოკრატიული პრინციპების მქონე საზოგადოებების შექმნას.

PH International-ის მიერ განხორციელებული პროგრამები ორიენტირებულია თანამონაწილეობითი მმართველობისა და აქტიური, სამართლებრივი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაზე.

ორგანიზაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის მიჰყევით ბმულს: www.ph-int.org

წიგნის ავტორები: ლია გიგაური, მაკა ფერაძე, გიორგი გახელაძე,
გიორგი მშვენიერაძე
დიზაინერი: ნატა ნოზაძე
რედაქტორი: რიტა ბაინდურაშვილი
პროგრამის ხელმძღვანელი: თინათინ ეგანოიძე

©
PH ISBN 978-9941-0-5012-1

წინასიტყვაობა

მოგესალმებით უმცროსო მეგობრებო!

ყველა ადამიანის სურვილია, დაცული იყოს მისი უფლებები, ცხოვრობდეს უსაფრთხო და მშვიდ გარემოში, მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ ასეთი გარემოს შექმნა მასზეც არის დამოკიდებული.

მხოლოდ სამართლებრივი კულტურის მქონე საზოგადოებას, რომლის თითოეული წევრი აღიარებს, იცავს და ჩართულია კანონების შექმნაში, შეუძლია მოქალაქეების უსაფრთხოებაზე სათანადო ზრუნვა.

ამ სახელმძღვანელოს შექმნით გვსურს მეგზურობა გაგიწიოთ სამართლებრივ გარემოში, გაერკვეთ კანონის მნიშვნელობაში, საბაზისო ცოდნა მიიღოთ კანონის აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, დაგეხმაროთ სამართლებრივ უფლებებსა და მოვალეობებში ცნობიერების ამაღლებასა და სამართლებრივი ფასეულობების გამომუშავებაში.

გვჯერა, რომ „სამართლებრივი კულტურის“ სასწავლო კურსი მნიშვნელოვან სარგებელს მოგიტანთ და კანონთან ურთიერთობას გაგიადვილებთ; უკეთ გააცნობიერებთ სოციალურ, სამართლებრივ და მორალურ პასუხისმგებლობას. საზოგადოებრივი წესრიგისა და ქცევის მიმართ სამართლებრივი დამოკიდებულებები დაგეხმარებათ, სრულად და მართებულად განახორციელოთ ასაკის შესაბამისად კანონით მონიჭებული უფლებები და დაკისრებული მოვალეობები; აქტიური მონაწილეობა მიიღოთ სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობასა და სამართლებრივი კულტურის ფორმირებაში.

გისურვებთ წარმატებას!
ავტორები

შინაარსი

თემა I - შესავალი „სამართლებრივ კულტურაში“ 5

1.1 რას ნიშნავს „სამართლებრივი კულტურა“? 5
1.2 ვინ არის სამართალდამცველი? 10
1.3 სამართლის ძირითადი დარგები 15

თემა II - არასრულწლოვანი და კანონი 19

2.1 ვინ არის არასრულწლოვანი? არასრულწლოვანი და კერძო სამართალი 19
2.2 არასრულწლოვანი და სისხლის სამართალი 28
2.3 ადმინისტრაციული სამართალი და საპროცესო კანონმდებლობა 39

თემა III - ძალადობა 46

3.1 რა არის ძალადობა? 46
3.2 მოზარდი და ძალადობა 55
3.3 ოჯახში ძალადობა 61

თემა IV - მავნე ჩვევები 69

მავნე ჩვევები და მათი სახიფათო შედეგები 69

თემა V - ორგანიზებული დანაშაული 82

5.1 ორგანიზებული დანაშაული და მისი შედეგები 82
5.2 ტრეფიკინგი 95

თემა VI - ადამიანის უფლებათა დაცვის საშუალებები 103

6.1 სახალხო დამცველი და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი 103
6.2 სასამართლოს საქმიანობა 107
6.3 სასამართლო პროცესი 114

ლექსიკონი 119

თემა I
შესავალი „სამართლებრივ კულტურაში“

1.1. რას ნიშნავს „სამართლებრივი კულტურა“?

ჰკითხეთ ნებისმიერ ადამიანს:
– როგორ საზოგადოებაში სურს ცხოვრება?
– როგორ ორგანიზაციაში ისურვებდა მუშაობას?
– როგორ სკოლაში ურჩევნია სწავლა?

პასუხები, ძირითადად, ერთნაირი იქნება: ადამიანებს სურთ ჰარმონიული ურთიერთობები, სიმშვიდე და პატივისცემა საზოგადოებაში, სკოლასა თუ ოჯახში. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ისეთ საზოგადოებაში, სადაც აღიარებული და დაცულია პიროვნების ღირსება, სამართლიანობა, თანასწორუფლებიანობა; სადაც ადამიანები არჩევანსა და ქმედებებში თავისუფალნი არიან.

ასეთ „სრულყოფილ“ საზოგადოებაშიც კი გარდაუვალია ადამიანებს შორის უთანხმოებები და დაპირისპირება, რადგან თავისუფლების მქონე ადამიანებმა საკუთარი სურვილების შესრულებისას შეიძლება ავნონ სხვა ადამიანებს ან განსხვავებული ინტერესების გამო ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ერთი ადამიანის უფლების განხორციელება არ უნდა ლახავდეს საზოგადოებრივ ან სხვა პირთა კანონიერ ინტერესებს. ამიტომ საზოგადოება შეიმუშავებს ქცევის ისეთ წესებს, რომელიც ურთიერთობებს აწესრიგებს.

საზოგადოების წევრები ვალდებული არიან, დაიცვან საყოველთაოდ აღიარებული (სავალდებულო) წესები – **სამართლებრივი ნორმები,** ხოლო მათი დარღვევისას ეკისრებათ **პასუხისმგებლობა**.

სწორედ, ამიტომ დემოკრატიულ სისტემაში **უფლებები მჭიდროდაა დაკავშირებული მოვალეობებთან და პასუხისმგებლობებთან:** საზოგადოება თანხმდება ძირითად პრინციპებზე, უფლებებზე, პროცედურებსა და სამართლებრივ ნორმებზე, რომლებიც მათი მშვიდობიანი

ლექსიკონი

სამართალი – ბუნებით განპირობებული ადამიანთა უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი ზოგადსავალდებულო ქცევის წესების ერთობლიობა და საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგების სისტემა, რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი ზემოქმედებით.

ნორმები – გარკვეულ ვითარებაში ადამიანის მოქმედების წესები ან სახელმძღვანელო პრინციპები.

სამართლებრივი ნორმები – ქცევის საყოველთაოდ სავალდებულო წესები, რომელიც დადგენილია სახელმწიფოს მიერ და მათ შესრულებასაც სახელმწიფო უზრუნველყოფს.

პასუხისმგებლობა – პიროვნების ვალდებულება, პასუხი აგოს საკუთარ ქმედებებზე. პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს იურიდიული, მორალური, სოციალური.

კანონი – სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს – პარლამენტის მიერ განსაკუთრებული წესით მიღებული ნორმატიული აქტი, რომელიც უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ ურთიერთობებს არეგულირებს.

იურიდიული პასუხისმგებლობა – პასუხისმგებლობა, რომელსაც სახელმწიფო კანონის დარღვევისათვის აკისრებს მოქალაქეებს კანონის ძალით.

სამართალდარღვევა – ადამიანის მიერ სამართლებრივი ნორმების მოთხოვნების შეუსრულებლობა.

უფლება – ადამიანის შესაძლებლობა, თავისი შეხედულების შესაბამისად განახორციელოს გარკვეული ქმედებები.

მოვალეობა – ადამიანის ვალდებულება, კანონის მოთხოვნის შესაბამისად განახორციელოს გარკვეული ქმედებები.

სამართლებრივი კულტურა – საზოგადოების მიერ კანონის იურიდიული და მორალური მხარდაჭერის

თანაარსებობისათვის აუცილებელ **ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს** განსაზღვრავს. მოქალაქეებს ეკისრებათ მორალური და სოციალური პასუხისმგებლობა საკუთარი თავის, ოჯახის, სკოლისა და ორგანიზაციის, ადგილობრივი თემის, ქვეყნის, მსოფლიოსა თუ კაცობრიობის წინაშე. **ეს პასუხისმგებლობა ნებაყოფლობითია.** მაგრამ, სამართლებრივი ნორმების დარღვევა (სამართალდარღვევა) იწვევს იურიდიულ (სამართლებრივ) **პასუხისმგებლობას,** რომელსაც მოქალაქეებს კანონის შესაბამისად სახელმწიფო აკისრებს. პასუხისმგებლობის ეს ფორმა სამართალდამრღვევი პირის მიმართ სხვადასხვა სახის **იძულებითი ხასიათის ღონისძიებას** გულისხმობს, მაგალითად, დამრღვევი პირის დასჯას, მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. **იურიდიული პასუხისმგებლობა ქვეყანაში მართლწესრიგის განმტკიცებას ემსახურება.**

სამართლებრივ სახელმწიფოში ხელისუფლების განხორციელება შეზღუდულია ადამიანის უფლებებით და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. სამართლებრივი სახელმწიფო უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების, და მეორე მხრივ, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. სამართლებრივ სახელმწიფოში კანონის უზენაესობაა დაცული, რაც გულისხმობს ყველასათვის თანასწორი შესაძლებლობების მიცემას და თანასწორი იურიდიული პასუხისმგებლობის დაკისრებას. სახელმწიფოს მიერ კანონმდებლობით განსაზღვრულ ნორმებს თანასწორად უნდა ემორჩილებოდეს როგორც რიგითი მოქალაქე, ისე მთავრობის წარმომადგენელი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კანონის წინაშე ყველა თანასწორია.

სამართლებრივი სახელმწიფო ეფუძნება და საკუთარ საქმიანობას ახორციელებს კანონის საფუძველზე, რომელსაც უნდა ჰქონდეს შემდეგი ნიშნები:

ა) კანონი ქცევის ზოგადი წესია (ნორმაა);

ბ) კანონი მიღებულია საკანონმდებლო ორგანოს მიერ საჯარო განხილვის შედეგად.

ყველა დროის და ყველა ტიპის სახელმწიფოს თავისი კანონები აქვს. მაგრამ არც ისე ბევრია ქვეყანა, რომელიც მოქალაქეების მაღალი **სამართლებრივი კულტურით გამოირჩევა. სამართლებრივი კულტურა** ნიშნავს, რომ მოქალაქეებმა:

- მეტ-ნაკლებად იციან კანონები;
- აღიარებენ მათ მნიშვნელობას და საჭიროებას;
- იცავენ კანონებს და პატივს სცემენ მის მოთხოვნებს;
- კანონების დაცვა ეფუძნება კანონის მორალურ მხარდაჭერას და არა მხოლოდ დასჯის შიშს.

მაღალი სამართლებრივი კულტურის საზოგადოებაში დანაშაულის მიმართ დამოკიდებულება უარყოფითია, საზოგადოება, როგორც წესი, თანაუგრძნობს მსხვერპლს, ამასთან ერთად, სურს როგორც სამართლიანობის აღდგენა, ისე დამნაშავის გამოსწორება და ამისათვის ზრუნავს. ნებისმიერი ადამიანის ურთიერთობა კანონთან უფრო მარტივია, რადგან

უკეთ იცის კანონი და გააზრებული აქვს ის პასუხისმგებლობა, რაც კანონის დარღვევისათვის დაეკისრება.

საზოგადოების მიერ კანონების **ცოდნა-გააზრება** ზრდის ამ კანონების მორალურ მხარდაჭერას, ანუ სამართლებრივ სოციალიზაციას და ამცირებს უცოდინრობით გამოწვეული დარღვევის ალბათობას.

სამართლებრივი კულტურა აადვილებს ადამიანებს შორის ურთიერთობებს. ყველა მოქალაქეს უფლება აქვს, მოითხოვოს მისთვის მინიჭებული უფლებების დაცვა, ამასთანავე, უნდა განახორციელოს საკუთარი ვალდებულებები სხვა ადამიანებისა და სახელმწიფოს მიმართ. შესაბამისად, კანონი ერთდროულად ითავსებს ორ ფუნქციას – ერთი მხრივ, ემსახურება ადამიანს და მისი უფლებების დაცვას, მეორე მხრივ, ითვალისწინებს სანქციას მათი დარღვევისათვის. მაგალითად, იმისათვის, რომ დაცული იყოს პირის საკუთრების უფლება, კანონი სხვა პირებს აკისრებს ვალდებულებას, არ დაუშვას სხვა ადამიანის საკუთრების უფლებაში უკანონო შეჭრა, რაც მის დარღვევას განაპირობებს, ხოლო თუ ასეთი მაინც მოხდება, კანონი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

ილია ჭავჭავაძე უფლებასა და მოვალეობას ასე განმარტავდა: „რაც სხვისაა, — ჩემი მოვალეობაა, რაც ჩემია, — ეგ ჩემი უფლებაა".

სამართალდარღვევისათვის იურიდიული პასუხისმგებლობის დაწესება ქვეყანაში კანონიერების განმტკიცებას ემსახურება.

მაღალი ხარისხი, ანუ კანონმორჩილი ადამიანების ურთიერთდამოკიდებულება.

კონსტიტუცია – (*ლათ. დადგენა, დაწესება, მოწესრიგება*) განსაკუთრებული წესით მიღებული უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე სახელმწიფოს ძირითადი კანონი. კონსტიტუცია არეგულირებს საზოგადოებაში პიროვნების სამართლებრივ მდგომარეობას და წარმოადგენს ინდივიდის გარანტს სახელმწიფოსთან ურთიერთობაში, განსაზღვრავს ქვეყნის წეს-წყობილებას, მართვა-გამგეობის ფორმას, ძირითად სახელმწიფო ორგანოებსა და მათ ფუნქციებს.



გაეცანით წყაროებს:

ამონარიდები საქართველოს კონსტიტუციიდან

მუხლი 7

სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.

მუხლი 14
ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

სიტუაცია რა მოხდა მაღაზიაში?

მე-9 კლასელი ბიჭი უბნის მაღაზიაში შევიდა, გამყიდველს ფული მიაწოდა და ორი ბოთლი ღვინო და სიგარეტი მოსთხოვა.

– რაღომ ყიდით მოზარდებზე აკრძალულ და სიგარეტს? ხომ იცით, რომ აკრძალულია? – შენიშვნა მისცა გამყიდველს იქვე მდგომმა ქალბატონმა.

– რაღომ? მაძაძ გამომაგზავნა, სტუმრები გვყავს! – ეშმაკურად ჩაიცინა ბიჭმა.

– იმიტომ, რომ 18 წლამდე ასაკის პირებისათვის აკრძალულია და ნიკოტინის მიყიდვა დანაშაულია. თუ გამყიდველი კანონს დაარღვევს, ჯასოს ავებს. – აუხსნა ქალბატონმა.

– რა სასულელია, რა დანაშაული?! – აღშფოთდა ხანშიშესული მომხმარებელი – აკრძალულია, რომ ეშობელმა ბავშვი მაღაზიაში გაგზავნოს? როდის მერე გახდა ეს დანაშაული?

– ნუცა, ეს ნამდვილ დამნაშავეებს დასდევდნენ! – ჩაიცაცვარაკა უკმაყოფილო გამყიდველმა და სასმელი და სიგარეტი უკან დაიბრუნა.

– რა ვქნა, თუ სასმელი არ მივიტანე, მაძაძ გამიბრაზდება! – თავი მოისაწყალა ბიჭმა.

– იცუკუნა კიდეც! როგორ არ გრცხვენია? ეს წესები თქვენ დასასკვავად შემოიღეს! – მიმართა მას ქალბატონმა, მაგრამ მის ნათქვამს ყურადღება არავინ მიაქცია.

– მოხუცებზეც ხომ არ აუკრძალავთ გაყიდვა? – დაინტერესდა მეორე მომხმარებელი; – მე დაგეხმარები, მომეცი, შვილო, ფული! – მან გამოთხოვილი ფული სასმელი და სიგარეტი შეიძინა და ბიჭს გადასცა.

– ახლა სწორია ჩვენი ქცევა?! – ნიშნის მოგებით შეხედა ქალბატონს, რომელმაც შენიშვნა მისცა და მადლიერ ბიჭთან ერთად მაღაზია დატოვა.

სიტუაციის ანალიზი

1. ვისი ქცევა მიგაჩნიათ სწორად აღწერილ სიტუაციაში? რატომ?
2. როგორ შეაფასებთ სიტუაციის მონაწილეთა სამართლებრივ კულტურას? პასუხი დაასაბუთეთ არგუმენტებით.
3. როგორ ფიქრობთ, იცვლება თუ არა „სამართლის ცნება“ დროთა განმავლობაში? რატომ?
4. როგორ ახსნით ზემოთ მოცემულ სიტუაციაში ნათქვამ ფრაზას - „როდის დაერქვა ამას დანაშაული?“
5. როგორ ფიქრობთ, უნდა იცვლებოდეს თუ არა კანონები სამართლებრივ საზოგადოებაში დროთა განმავლობაში?

დისკუსია

ზოგიერთის აზრით, კანონმორჩილება ნიშნავს „თავისუფლების შეზღუდვას", „თავისუფლების გარკვეულ ჩარჩოებში ჩასმას ". ზოგჯერ იმასაც ამბობენ, რომ „კანონებისადმი მორჩილება მონობაა", „კანონების არსებობას სიკეთესთან ერთად ბევრი პრობლემაც მოაქვს". როგორ შეაფასებთ ამ მოსაზრებებს? მოიყვანეთ არგუმენტები.

კითხვები და დავალებები

1. რა საფრთხეს უქმნის კანონის დამრღვევის დაუსჯელობა საზოგადოებას და პიროვნებას?
2. თქვენი აზრით, უნდა ათავისუფლებდეს თუ არა პირს კანონის არცოდნა მართლმსაჯულებისგან – უნდა დაისაჯოს თუ არა ის კანონის შესაბამისად იმ შემთხვევაში, როცა არ იცის, რომ კანონს არღვევს?
3. როგორ შეაფასებთ „სამართლებრივ კულტურას" თქვენს სკოლაში? სამეგობროში?
4. ჩვენი ქვეყნის რომელ კანონებს იცნობთ? მიგაჩნიათ, რომ მათი მოთხოვნები სამართლიანია? რა პრობლემების წინაშე შეიძლება დააყენოს კანონმა საზოგადოება/მოქალაქე?
5. როგორ ფიქრობთ, ცნებები – „სამართალი" და „სამართლიანობა" ერთი და იგივეა? ახსენით თქვენი პასუხი.
6. შესაძლებელია თუ არა საზოგადოების უმრავლესობის მხარდაჭერის გარეშე კანონის უზენაესობის განხორციელება?
7. რას შესთავაზებდით კანონის მიმღებებს ქვეყანაში სამართლებრივი კულტურის ამაღლების მიზნით?

შეჯამება

სამართლებრივი კულტურა გავლენას ახდენს ჩვენს ცხოვრებაზე:

1. **კანონების ცოდნა ამცირებს უცოდინრობის გამო მათი დარღვევის ალბათობას;**
2. **კანონების მნიშვნელობის გაცნობიერება ხელს უწყობს ამ კანონების მნიშვნელობის აღიარებას და შესრულებას;**
3. **კანონების გააზრება ზრდის ამ კანონების მორალურ მხარდაჭერას – სამართლებრივ სოციალიზაციას;**
4. **კანონის მორალური მხარდაჭერა რომ გაიზარდოს, საჭიროა თითოეული ადამიანისა და მთელი საზოგადოების სამართლებრივი კულტურის ამაღლება.**

ლექსიკონი

სამართალდამცველი – პირი, რომელსაც კანონით აქვს მინიჭებული უფლებამოსილება, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას უზრუნველყოს კანონის დაცვა, ხოლო დარღვევის შემთხვევაში განახორციელოს სადამსჯელო ღონისძიებები.

პოლიცია *(ლათინურად politia – ხელისუფალი)* – სამართალდამცავი ორგანო, რომელიც კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში ახორციელებს პრევენციულ და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად.

შინაგან საქმეთა სამინისტრო – აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი სამართალდამცავი დაწესებულებების სისტემა, რომელიც კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში ახორციელებს პრევენციულ და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად, ასევე სხვა საჯარო ფუნქციებს.

1.2. ვინ არის სამართალდამცველი?

სამართალდამცველს უწოდებენ კანონის დაცვის სფეროში მომუშავე პირს, რომელსაც კანონის დაცვის უფლებამოსილება კანონით აქვს მინიჭებული.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამართალდამცველი უფლებამოსია **განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები** კანონის დარღვევის თავიდან ასაცილებლად, ხოლო კანონდარღვევის ფაქტებზე მოახდინოს რეაგირება. მაგალითად, პოლიციელს აქვს უფლებამოსილება, დააკავოს მართლწესრიგის დამრღვევი.

სამართალდამცველთაგან ყველაზე ხშირად საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში პოლიციელებს ვხვდებით. პოლიციელის ცნობა ადვილია, რადგან მათ სპეციალური ფორმა აცვიათ.

პოლიციის ძირითადი ფუნქციებია:

- ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;
- პირთა ქონების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვა;
- დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;
- დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა გამოვლენა და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება;
- საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- საძიებო-სამაშველო სამუშაოების განხორციელება და სხვა.

როგორ შეიქმნა პოლიცია?

რთული სათქმელია, როდის დაიწყეს ადამიანებმა წესრიგის დაცვა. ფაქტია, რომ პირველყოფილ ტომებში წესების დამრღვევის მიმართ ბელადის მიერ დაწესებული სადამსჯელო სანქციები გამოიყენებოდა. პოლიციის მსგავსი ინსტიტუტის არსებობის შესახებ ცნობებს ძველ ეგვიპტურ წყაროებში ვხვდებით. მოგვიანებით, რომაელებმა შექმნეს უფრო სრულყოფილი სამართალდამცავი სისტემა, რომელიც რომის იმპერიის დაცემამდე მოქმედებდა.

„ცივილიზაციის აკვნად“ ცნობილ მესოპოტამიის ქალაქებში, მუდმივი ომის პირობებში,

მოსახლეობა ქმნიდა საუკეთესო მშვილდისმსროლელი ნუბიელი ტყვეებისა და მონების შენაერთებს, რომელიც თავისი არსით ძალიან ჰგავს დღევანდელ პოლიციას. ეს ჯგუფები გამოიყენებოდა მესაზღვრეებად და ქალაქების მზვერავებად, რომ მტერი არ შემოპარვოდათ. განსხვავებული ფერის გამო მათი სამოსი შორიდანვე აღიქმებოდა. მიზანიც ეს იყო – დამნაშავეებს შეეშინდებოდათ და გაიქცეოდნენ. ასეთი იყო **დანაშაულის კონტროლის პირველი პრინციპი**.

თანამედროვე პოლიციური ძალების ჩანასახი ევროპაში XII – XIII საუკუნეებში გაჩნდა. 1829 წელს კი, პარლამენტში ხანგრძლივი განხილვის შემდეგ, ბრიტანელმა მემამულემ სერ რობერტ ფილმა ჩამოაყალიბა **ლონდონის მეტროპოლიტენის პოლიცია** – მსოფლიოში პირველი თანამედროვე სტანდარტების, ორგანიზებული პოლიცია, რომელშიც 17 დივიზია შედიოდა; თითოეულში 4 ინსპექტორი და 144 კონსტებლი (პოლიციელი) იყო. მათ მუქი ლურჯი ფორმა ეცვათ და ძალიან მაღალი ქუდები ეხურათ, რომ ხალხმრავალ ადგილებშიც შესამჩნევი ყოფილიყვნენ. მათი ერთადერთი იარაღი ხელკეტი იყო. მოვალეობის შესრულებისას პოლიციას ჰუმანურობა და კეთილსინდისიერება მოეთხოვებოდა. მიუხედავად ამისა, საზოგადოებას ისინი არ უყვარდა.

ლონდონის მეტროპოლიტენის პოლიციის უმთავრესი მიზანი იყო **დანაშაულთან ბრძოლა პრევენციის გზით**. მისმა პრინციპებმა და აქტიურმა საქმიანობამ უდიდესი გავლენა იქონია სხვა ქვეყნების პოლიციის ჩამოყალიბებაზე.

ამერიკის შეერთებული შტატების პირველი პოლიციის დეპარტამენტი 1845 წელს ბოსტონში მომხდარი არეულობის საპასუხოდ წარმოიშვა. ის ბრიტანული პოლიციის ტრადიციების შესაბამისად მუშაობდა.

სხვადასხვა ქვეყანაში პოლიციას განსხვავებული სისტემა, სტრუქტურა და ფუნქციები აქვს. ქვეყნების უმეტესობაში პოლიცია შინაგან საქმეთა, უშიშროების ან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროების შემადგენლობაშია.

სხვადასხვა ქვეყანაში პოლიციელს სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ: კონსტებლი, ჟანდარმი, კარაბინიერი, პოლიციის აგენტი, შერიფი, დეტექტივი, მილიციელი და სხვა, თუმცა, ისინი ერთსა და იმავე მიზანს – სამართლის დაცვას ემსახურებიან და მსგავსი ფუნქციები აქვთ.

საქართველოს პოლიცია

საქართველოს პოლიცია არის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი, აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი **სამართალდამცავი დაწესებულებების სისტემა**, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში ახორციელებს პრევენციულ და სამართალდარღვევაზე

რეაგირების ღონისძიებებს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად.

პოლიციელი არის საჯარო მოხელე, რომელიც მსახურობს შინაგან საქმეთა სამინისტროში, მინიჭებული აქვთ სპეციალური წოდებები და დადებული აქვთ პოლიციელის ფიცი.

პოლიციის სამსახურები სამინისტროს სისტემაში ფუნქციონირებენ სტრუქტურული ქვედანაყოფების (მაგ: საპატრულო პოლიცია, კრიმინალური პოლიცია, დაცვის პოლიცია), ტერიტორიული ორგანოების (მაგ: მთავარი სამმართველოები თბილისში და ყველა რეგიონში), საქართველოს სასაზღვრო პოლიციის და სხვა სახით.

პოლიციის ორგანიზაციული მოწყობა, საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები და ძირითადი პრინციპები „პოლიციის შესახებ" კანონით განისაზღვრება.

როგორ შეიძლება გახდე პოლიციელი?

პოლიციელი სახელმწიფოს წარმომადგენელია, ამიტომ პოლიციაში მუშაობის დაწყება სახელმწიფო სამსახურში ჩადგომას ნიშნავს. პოლიციაში სამუშაოდ პირი მიიღება სპეციალური კონკურსის გავლის შედეგად. პოლიციაში სამუშაოდ მისაღებ კანდიდატს შეარჩევენ სამინისტროს საკადრო დანაყოფი და სპეციალური კომისია, რომლებიც კანდიდატის ჯანმრთელობის მდგომარეობას, ფიზიკურ მომზადებას, განათლებასა და საქმიან თვისებებს ამოწმებენ.

პოლიციაში სამუშაოდ მიიღება 18 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე, რომელიც ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და რომელსაც თავისი პიროვნული და საქმიანი თვისებების, განათლების, ფიზიკური მომზადებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად შეუძლია, პოლიციელის ფუნქციები შეასრულოს.

დიდი ყურადღება ეთმობა პოლიციელთა სპეციალურ მომზადებას და პროფესიული განათლების დონის ამაღლებას. ამ მიზნით შექმნილია სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულებები, მაგალითად, პოლიციის აკადემია, სადაც პოლიციელები სხვადასხვა სასწავლო კურსს გადიან. პოლიციაში ცალკეულ თანამდებობებზე მისაღები კანდიდატი სამინისტროს აკადემიაში გადის სპეციალური მომზადების შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამას ან კურსს პოლიციაში სამუშაოდ მიღებამდე ან მიღების შემდეგ.

პოლიციელსაც ისევე მოეთხოვება, დაემორჩილოს კანონს, როგორც ნებისმიერ სხვა მოქალაქეს. პოლიციელი შეიძლება დაითხოვონ სამსახურიდან ფიცის გატეხისთვის, პოლიციელისთვის შეუფერებელი საქციელისათვის, სამსახურებრივი დისციპლინის უხეში ან სისტემატური დარღვევისათვის.

პოლიციელის საქმიანობის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები	**პოლიციელის ძირითადი უფლებამოსილებები**	
	პრევენციული ფუნქციის შესრულებისას	**სამართალდარღვევებზე რეაგირებისას**
• ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის პრინციპი • კანონიერების პრინციპი • დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპი • თანაზომიერების პრინციპი • პოლიტიკური ნეიტრალობის პრინციპი • პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის პრინციპი პოლიციელის მიერ საპოლიციო ღონისძიების ზემოხსენებული პრინციპების დარღვევით განხორციელება იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.	სამართალდარღვევათა თავიდან ასაცილებლად საპოლიციო ღონისძიებების განხორციელება; პირისთვის სათანადო სამართლებრივი და პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა; გადაუდებელი ზომების მიღება პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ პირი საფრთხეს უქმნის საკუთარ თავს ან გარშემომყოფთ; თავისი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის, განსაკუთრებული მნიშვნელობისა და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა უმაღლესი თანამდებობის პირების უსაფრთხოების დასაცავად; შეკრებების, მანიფესტაციებისა და სხვა მასობრივი ღონისძიებების მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა; სხვა სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად ბავშვთა მაწანწალობის, უმეთვალყურეობის თავიდან აცილების, არასრულწლოვანთა დამნაშავეობის აღკვეთის პრევენციულ ღონისძიებებში მონაწილეობა და თავის საქმიანობაში არასრულწლოვანთა განსაკუთრებული თავისებურებებისა და საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება; სატრანსპორტო მოძრაობის მოწესრიგება, მოძრაობის წესების, ნორმატივებისა და სტანდარტების დაცვის ზედამხედველობა.	მოსთხოვს პირს, დაიცვას კანონის მოთხოვნა და შეწყვიტოს სამართალდარღვევა, ხოლო მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში იღებს კანონით გათვალისწინებულ ზომებს; სატრანსპორტო საშუალების მართვას ჩამოაშორებს პირს, რომელსაც არა აქვს ან ჩამორთმეული აქვს მართვის უფლება, ან თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ იგი ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაშია და გამოკვლევის მიზნით წარადგენს საამისოდ უფლებამოსილ პირთან; ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის, მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, დროებითი ღონისძიების სახით გამოსცემს შემაკავებელ ორდერს და მეთვალყურეობს დამცავი და შემაკავებელი ორდერების აღსრულებას; თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ პირმა ნარკოტიკული ნივთიერება მოიხმარა, მას გამოკვლევის მიზნით წარადგენს საამისოდ უფლებამოსილ პირთან; იღებს და რეგისტრაციაში ატარებს შემოსულ ინფორმაციას დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა შესახებ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა შესახებ, დაუყოვნებლივ რეაგირებს მათზე, აღრიცხავს სამართალდარღვევებსა და მათ ჩამდენ პირებს; ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს და ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს (ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, აგრეთვე ფარული ვიდეო და აუდიოჩაწერა, კინო და ფოტოგადაღება, რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს); ახორციელებს ტექნიკურ-კრიმინალისტიკურ გამოკვლევებს ოპერატიულ-სამძებრო, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სხვა საქმეებზე; თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს; საქართველოს საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში უზრუნველყოფს შეკრებისა და მანიფესტაციის შეწყვეტასა და მათ მონაწილეთა დაშლას.

კითხვები და დავალებები

1. რომელ სამართალდამცავ ორგანიზაციებს იცნობთ? კონკრეტულად რა ფუნქცია აკისრიათ მათ?
2. საიდან შეიტყვეთ მათი საქმიანობის შესახებ?
3. რა მოვალეობები აქვს პოლიციელს?
4. რა უფლებები აქვს პოლიციელს?
5. რა სირთულეები ახლავს პოლიციელის საქმიანობას?

დავალება 1. თვალი გადაავლეთ მიმდინარე კვირის პრესასა და საინფორმაციო გადაცემებს, ჩაინიშნეთ სტატიები, სიუჟეტები სამართალდარღვევებზე და მოამზადეთ პრეზენტაცია – „კვირის სამართალდარღვევები“.

1. კონკრეტულად რა სახის (კატეგორიის) დარღვევებს ჰქონდა ადგილი?
2. როგორ შეძლებდით ამ დარღვევის პრევენციას პოლიციელი რომ ყოფილიყავით? როგორც მოქალაქე?
3. როგორ მოქმედებდნენ და რა ძალისხმევა დასჭირდებოდათ სამართალდამცველებს თითოეულ შემთხვევაში? რა იყო მათი მიზანი?
4. რა პიროვნული თვისებები უნდა ჰქონდეს პოლიციელს, რომ დაკისრებული მოვალეობა ეფექტიანად შეასრულოს?

შეჯამება

1. **სამართალდამცავ ორგანოებს ევალებათ სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა, ასევე ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.**
2. **პოლიცია უზრუნველყოფს:**

- **საზოგადოებრივი უსაფრთხოების, მართლწესრიგის, ადამიანის უფლებების დაცვას;**
- **მოსახლეობის, სახელმწიფოსა და სხვა მესაკუთრეების ქონების დაცვას;**
- **დანაშაულისა და სამართალდარღვევების გამოვლენას და გამოძიებას;**
- **საგზაო მოძრაობისა და საზოგადოებრივი წესრიგის რეგულირებას;**
- **დანაშაულის პრევენციას.**

1.3. სამართლის ძირითადი დარგები

„კანონების არსი კაცთმოყვარეობაა“ – უილიამ შექსპირი

სახელმწიფო ქმნის **სამართლებრივ ნორმებს** თავისი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად. მათი დაცვა სავალდებულოა ყველასათვის, ვისაც ეხება. სამართლის ნორმები **არის დადგენილი ან სანქცირებული.** კანონის შექმნისას სახელმწიფო **ადგენს** ახალ, ზოგჯერ მანამდე უცნობ ნორმებს, ზოგჯერ კი, **სანქციას აძლევს** ანუ **სავალდებულო ძალას ანიჭებს** საზოგადოებაში უკვე ცნობილ, აღიარებულ და დამკვიდრებულ ზნეობრივ თუ სოციალურ ნორმებს. სამართლებრივი ნორმების შესრულებას სახელმწიფო უზრუნველყოფს ორი გზით: **დარწმუნებით** ან **იძულებით**. თუ სამართლის მოთხოვნები ადამიანის მიერ **ნებაყოფლობით** და **დარწმუნების** მეთოდებით არ სრულდება, სახელმწიფო იძულებითი ხასიათის ღონისძიებებს იყენებს.

ლექსიკონი

ნორმატიული აქტი - უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს.

კოდექსი *(codex)* – ლათინური სიტყვაა და წიგნს ნიშნავს. კოდექსი არის განსაზღვრული (ერთგვაროვანი) საზოგადოებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმათა სისტემატიზებული ნორმატიული აქტი.

სამართლებრივი **ნორმები** (წესები და კანონები), რომელიც **სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ პირადი ცხოვრებისა და საქმიანობის** სხვადასხვა ურთიერთობას აწესრიგებს, ყოველდღიურ გავლენას ახდენს ჩვენს ქცევაზე: ზოგიერთ ადგილას არ შეიძლება ქუჩის გადაკვეთა, სხვაგან – მანქანის გაჩერებაა აკრძალული, წინასწარ განსაზღვრულია გადასახადების გადახდის ვადები, ბავშვის სკოლაში შესვლის ასაკი, უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებელი გამოცდების რაოდენობა და სხვა მრავალი. მართალია, „არ არსებობს კანონი, რომელიც ყველას დააკმაყოფილებს“ (ტიტუს ლივიუსი), მაგრამ ის ყველას სჭირდება. ისინი შეიქმნა იმ მიზნით, რომ დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი, ადამიანები და მათი უფლებები მათგან, ვინც არაფრად აგდებს სხვის უფლებებსა და თავისუფლებებს. აკრძალვები გარკვეულწილად სამართალდარღვევების პრევენციას ემსახურება.

კანონებს სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო – პარლამენტი იღებს. მას აგრეთვე აქვს უფლებამოსილება, ცვლილებები და დამატებები შეიტანოს კანონში, თუ დროთა განმავლობაში ამის საჭიროება წარმოიშვა.

კანონები მრავალრიცხოვანია, ვინაიდან ისინი არეგულირებენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს. ამიტომ გაჩნდა საჭიროება, რომ მოხდეს მათი დაჯგუფება რეგულირების სფეროს მიხედვით და სისტემებად ანუ სამართლის დარგებად გაერთიანება.

სამართლის ძირითადი დარგებია:

კონსტიტუციური სამართალი	ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა და მართვა-გამგეობის ფორმა ძირითადი პრინციპები სამართლის სხვა დარგებისათვის
ადმინისტრაციული სამართალი	სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოებისა და დაწესებულებების საქმიანობა, საზოგადოებრივი წესრიგის რეგულირება
სისხლის სამართალი	დანაშაულის ცნება, სასჯელი, გამოძიება, დამნაშავის დასჯა
სამოქალაქო (კერძო) სამართალი	პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი, საოჯახო და პირადი ურთიერთობების მოწესრიგება

სამართლის დარგების შესაბამისად კანონთა სხვადასხვა კოდექსები არსებობს, მაგალითად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსი, სამოქალაქო კოდექსი, სისხლის სამართლის კოდექსი, პატიმრობის კოდექსი, საგადასახადო კოდექსი, საზღვაო, შრომის, საარჩევნო და სხვა კოდექსები.

თითოეულ კოდექსს თავისი სამოქმედო არეალი აქვს. მაგალითად, სასკოლო ცხოვრებას, სხვა კანონებთან ერთად, **მასწავლებლის ეთიკის კოდექსი და მოსწავლის ქცევის კოდექსი** არეგულირებს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიზანია დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელების წესების დადგენა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის და განცხადების განხილვის, ადმინისტრაციული გარიგების მომზადების, დადებისა და შესრულების წესს.

ყველა კანონი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე არ არის. მათ შორის არსებობს იერარქია. ყველაზე ზემდგომი იერარქიის კანონი არის **კონსტიტუცია**. ნებისმიერი კანონი, კოდექსი, კანონქვემდებარე აქტები და მათი განმარტებები **საქართველოს კონსტიტუციას** უნდა შეესაბამებოდეს.

ნორმათა იერარქია საქართველოში



სიტუაცია ახალგაზრდული ქალაქი

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ და თქვენი თანაკლასელები ოჯახებთან ერთად ცხოვრობთ ახლად დაარსებულ „ახალგაზრდულ ქალაქში". ამ ქალაქში ბევრი სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი, დასასვენებელი და გასართობი ადგილი თუ დაწესებულებაა. მათ შორის ბევრია ღამის კლუბი და ბარი.

მოსახლეობამ უკვე აირჩია ქალაქის მმართველი გუნდი, რომელსაც დავალებული აქვს ქალაქში ქცევის და სამართალდარღვევების აღკვეთის წესები შეიმუშაოს.

წესების შემუშავებისას მათ უნდა გაითვალისწინონ:

ა) ახალგაზრდა მოქალაქეების სურვილები და მიდრეკილებები;

ბ) სხვა მოქალაქეების უფლებები;

გ) სამართალდამცავთათვის დაკისრებული ფუნქციების საჭიროება;

დ) შემოღებული წესების შესრულების შესაძლებლობა.

ქალაქის მმართველმა გუნდმა ჩამოთვლილი პირობების გათვალისწინებით უნდა შექმნას დოკუმენტი – ე.წ. „ახალგაზრდული ქალაქის სამართალდაცვის პროგრამა" და განსახილველად ქალაქის საზოგადოებას და მედიას წარუდგინოს.

კითხვები და დავალებები

დავალება 1

წინასწარ ინდივიდუალურად ჩამოწერეთ:
ა) 5 ძირითადი უფლება და თავისუფლება, რომელიც, თქვენი აზრით, ამ ქალაქში ყველას უნდა ჰქონდეს;
ბ) 5 წესი, რომელიც ამ ქალაქში ყველამ უნდა დაიცვას;

მითითება 1. შემდგომი მსჯელობისას თქვენს მოსაზრებებს არგუმენტებად გამოიყენებთ.

დავალება 2

მითითება 2. გადათვლის მეთოდით გაიყავით ოთხ ჯგუფად:
ჯგუფი 1. **მმართველი გუნდი** – ქმნის ქცევის წესებს;
ჯგუფი 2. **მოქალაქეები** – დაიცავენ საკუთარ უფლებებს და თავისუფლებებს;
ჯგუფი 3. **სამართალდამცველები** – დაიცავენ საზოგადოებრივ წესრიგს შემუშავებული წესების მიხედვით.

ჯგუფი 4. **ჟურნალისტები (ტელევიზიისა და პრესის)** და არასამთავრობო ოგანიზაციების წარმომადგენლები დასვამენ კითხვებს, რომ შემდეგ მოამზადონ სტატია/სიუჟეტი ან/და ფართო საზოგადოებას მიაწოდონ ინფორმაცია ახალი წესების და მათ მიმართ დამოკიდებულების შესახებ.

პირველმა სამმა ჯგუფმა მოამზადოს თავისი ხედვა გადასაჭრელ პრობლემასთან დაკავშირებით, მეოთხემ კი – ჟურნალისტებმა - შეკითხვები, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა - შენიშვნები და მოსაზრებები, რომელიც ადამიანის უფლებათა დასაცავად იქნება მიმართული.

მითითება 3. სამართალდაცვის სისტემაში ახალი წესების შემოღებასთან დაკავშირებით

მომზადებული დოკუმენტის განსახილველად ჩაატარეთ „მმართველი გუნდის“ მოდელირებული სხდომა არჩეული როლების შესაბამისად:

ა) პირველმა ჯგუფმა წარმოადგინოს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წესი, რომლის დამატებით შემოღება საჭიროა ახალგაზრდულ ქალაქში წესრიგის შესანარჩუნებლად;

ბ) მეორე ჯგუფმა შეაფასოს, რამდენად იქნა დაცული მათი უფლებები და თავისუფლებები ამ წესების შემოღების შემდეგ, ხოლო მეოთხე ჯგუფის ნაწილმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა საკუთარი პოზიცია გამოხატონ ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით;

გ) მესამე ჯგუფმა გააკეთოს კომენტარი, რამდენად შესაძლებელია მათ მიერ კანონების დაცვასთან ერთად ამ წესების დაცვის აღსრულება;

დ) მეოთხე ჯგუფმა (ჟურნალისტებმა) შეაჯამოს სხდომის შედეგები და დასვან შეკითხვები, რომლებზეც გაცემული პასუხები ქალაქის სხვა მოსახლეობას დააინტერესებს.

თითოეული ჯგუფის რეგლამენტი — 5 წუთი.

შეჯამება

1. **რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი თითოეული ჯგუფისათვის მუშაობის პროცესში?**
2. **რა იყო ყველაზე რთული თითოეული ჯგუფისათვის? რამ გამოიწვია ეს სირთულე?**
3. **რა საკითხებზე მოხდა დაპირისპირება სხდომაზე? რატომ?**
4. **რა მნიშვნელობა აქვს წესების (კანონების) მიღებას ქალაქის ცხოვრებაში?**
5. **როგორია კანონის მიღებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა?**
6. **სამართლის რომელ დარგს ეკუთვნის თქვენ მიერ შექმნილი კანონები?**
7. **რამდენად იოლად შეიძლება თქვენ მიერ მოფიქრებული სისტემით სამართალდაცვის განხორციელება „ახალგაზრდულ ქალაქში”? რატომ?**
8. **რას შეცვლიდით განხილვის შემდეგ?**
9. **შეიძლება, რომ უსამართლოდ მოეჩვენოს მოქალაქეების ნაწილს თქვენ მიერ მიღებული წესები (კანონები)? მაინც უნდა მოქმედებდეს თუ არა ასეთი წესები (კანონები)? რატომ?**
10. **რა დასკვნის გაკეთება შეგიძლიათ ამ სავარჯიშოს შესრულებისას მიღებული გამოცდილების საფუძველზე?**

თემა II
არასრულწლოვანი და კანონი

2.1. ვინ არის არასრულწლოვანი? არასრულწლოვანი და კერძო სამართალი

საქართველოს კანონმდებლობით სრულწლოვანია პირი, რომელმაც 18 წლის ასაკს მიაღწია. კერძო სამართალი პირის სრულწლოვანებას უკავშირებს ქმედუნარიანობის წარმოშობას, ანუ პირის უნარს - თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. მაგალითად, სრული მოცულობით დადოს გარიგებები, იქორწინოს და ა.შ. კანონი ითვალისწინებს გამონაკლისს, როდესაც შესაძლოა, 16 წლის ასაკს მიღწეული პირი ქმედუნარიანად მიიჩნიონ.

ასევე სრულწლოვანებასთან არის დაკავშირებული პირის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების განხორციელებაც. მაგალითად, პირს 18 წლის ასაკიდან აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, როგორც ამომრჩეველმა, იყოს პარტიის წევრი, შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარებისათვის პასუხისმგებელი პირი და სხვა.

თუმცა არასრულწლოვნება პირს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან მის მიერ კანონის დარღვევის შემთხვევაში. სამართლის სხვადასხვა დარგი პირის პასუხისმგებლობის სხვადასხვა ასაკს აწესებს. სისხლის სამართალში პასუხისმგებლობის ასაკი 14 წლიდან განისაზღვრება, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევაში ეს ასაკი 16 წელია.

მიუხედავად იმისა, რომ კერძო სამართალში პირი სრულად ქმედუნარიანად სრულწლოვანების ასაკიდან მიიჩნევა, ის უფლებაუნარიანი დაბადების მომენტიდანაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პირს დაბადების მომენტიდან გააჩნია უფლე-

ლექსიკონი

ქმედუნარიანობა – პირის უნარი, საკუთარი ნებასურვილით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები.

ქმედუნარიანი – პირები, რომელთაც თავისი ასაკობრივი და გონებრივი მდგომარეობის გამო შესაძლებლობა აქვთ, განსაზღვრონ საკუთარი მოქმედების მნიშვნელობა და შედეგები. ქმედუნარიანობა სრული მოცულობით 18 წლის ასაკიდან წარმოიშობა.

უფლებაუნარიანობა – პირის უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. უფლებაუნარიანობა წარმოიშობა დაბადების მომენტიდან, ხოლო მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა

ბები და მოვალეობები. უფრო მეტიც, მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშვება ჩასახვისთანავე, თუმცა ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე. არ შეიძლება პირს წაერთვას ან ჩამოერთვას უფლებაუნარიანობა.

პირის ქმედუნარიანობა და უფლებაუნარიანობა წყდება გარდაცვალებით. სამოქალაქო კოდექსი პირის გარდაცვალებად თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტას მიიჩნევს.

რა არის სამოქალაქო სამართალი?

სამოქალაქოსამართალიარეგულირებს კერძოხასიათის ქონებრივ, **საოჯახო და პირად არაქონებრივ ურთიერთობებს.** მოქალაქეთა პირადი და ქონებრივი უფლებების ხელყოფა არის **სამოქალაქო სამართალდარღვევა,** რისთვისაც გათვალისწინებულია სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

სამოქალაქო სამართალი გამოყოფს სამ ასაკობრივ ჯგუფს, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება პირის ქმედუნარიანობა:

7 წლამდე ბავშვის უფლებებს ახორციელებს მისი მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი. 7-დან 18 წლამდე (გარდა ქორწინების შემთხვევისა) ასაკის ბავშვი საკუთარი კერძოსამართლებრივი უფლებების მხოლოდ ნაწილს ახორ-ციელებს, ხოლო სრულწლოვანი პირი სრულად ახორცი-ელებს საკუთარ უფლებებს.

სამოქალაქო კოდექსი და მშობლის უფლება-მოვალეობები

მშობლებს განსაკუთრებული უფლებები და მოვალეობები აკისრიათ შვილების მიმართ არა მხოლოდ მორალურად, არამედ კანონითაც.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არასრულწლოვანზე ზრუნვის ვალდებულებას მშობლებს აკისრებს. კოდექსის თანახმად, **მშობლების ვალდებულებაა** ბავშვის რჩენა და მასზე ზრუნვა. **მშობლებს უფლება აქვთ** განსაზღვრონ, თუ ვისთან და სად უნდა იცხოვროს შვილმა.

ჩასახვისთანავე; უფლებაუნარიანობა პირის გარდაცვალებისას წყდება.

მეურვეობა და მზრუნველობა – არასრულწლოვან ბავშვებს, რომლებიც მშობლის მზრუნველობის გარეშე დარჩნენ, უწესდებათ მეურვეობა და მზრუნველობა მათი აღზრდის მიზნით, პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

მეურვეობა წესდება ბავშვზე, რომელსაც არ მიუღწევია შვიდი წლის ასაკისათვის.

მზრუნველობა წესდება არასრულწლოვანზე შვიდიდან თვრამეტი წლის ასაკამდე.

დელიქტიური ვალდებულება – ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რომელიც შესაძლებელია, დაეკისროს სხვა პირისთვის მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით ზიანის მიმყენებელ პირს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 992).

ჯგუფი	ასაკი	ქმედუნარიანობა	უფლება-მოვალეობები
I ჯგუფი - მცირეწლოვნები	დაბადებიდან 7 წლამდე	ითვლებიან სრულად ქმედუუნაროდ	ვერ ახორციელებენ საკუთარ უფლებებსა და მოვალეობებს. მათ ნაცვლად უფლებების განხორციელება მხოლოდ მათ მშობლებს (მეურვეებს) შეუძლიათ.
II ჯგუფი – არასრულ-წლოვნები	7 წლიდან 18 წლამდე	არიან შეზღუდულ-ქმედუნარიანები	მხოლოდ უფლებების ნაწილის განხორციელება შეუძლიათ. აქვთ გარკვეული ქმედებების დამოუკიდებლად განხორციელების უფლება. მაგ. დადონ წვრილმანი ხელშეკრულებები და იყვნენ მარტივი სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები და ა.შ.
III ჯგუფი – სრულწლოვნები	18 წლიდან ზევით	სრული ქმედუნარიანობა	სრული უფლება, ისარგებლონ თავიანთი უფლება-მოვალეობებით; სრულყოფილად აგებენ პასუხს ყველა თავიანთ ქმედებაზე. მაგ: მათ შეუძლიათ, მონაწილეობა მიიღონ ყოველ-გვარ სამართლებრივ ურთიერთობებში, დადონ ნებისმიერი ხელშეკრულება და ა.შ

ამასთან, კანონი იცავს არასრულწლოვანს, რომ არ მოხდეს მშობელთა მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.

მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ბავშვის ინტერესებს ზიანი მიადგეს. სამოქალაქო კოდექსი საშუალებას აძლევს არასრულწლოვანს, მისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის შემთხვევაში, დახმარებისათვის დამოუკიდებლად მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს, მათ შორის: თუ მშობლის მხრიდან ადგილი აქვს ბავშვის აღზრდასთან და განათლებასთან დაკავშირებული მოვალეობების შეუსრულებლობას ან არასათანადო შესრულებას ან მშობლის უფლების ბოროტად გამოყენებას. ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებისთვისაც ცნობილი გახდა არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის შემთხვევები, ვალდებული არიან, მათ შესახებ შეატყობინონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს არასრულწლოვნის ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მიხედვით. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები ვალდებული არიან, ამგვარი შეტყობინების მიღებისთანავე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ღონისძიებები განახორციელონ.

14 წლის ასაკიდან კი არასრულწლოვანს თავისი უფლებების დასაცავად შეუძლია სასამართლოს მიმართოს. სასამართლო უფლებამოსილია, განსაკუთრებულად მძიმე შემთხვევაში ბავშვის უფლებების დაცვის მიზნით მიმართოს ისეთ უკიდურეს ზომას, როგორიცაა მშობლის უფლების ჩამორთმევა.

ქონებრივი ურთიერთობები – ქონების ყიდვა-გაყიდვასთან, ჩუქებასთან, იჯარასთან და სხვა მსგავს საკითხებთან დაკავშირებული ურთიერთობები.

პირადი არაქონებრივი ურთიერთობები – ნაწარმოების ან გამოგონების ავტორობის, მოქალაქის პატივისა და ღირსების, მოქალაქისა და ორგანიზაციის საქმიანი რეპუტაციის და სხვა მსგავსი საკითხების შესახებ ურთიერთობები.

საოჯახო ურთიერთობები – ქორწინების, მშობლებისა და შვილების ურთიერთობები, მემკვიდრეობის საკითხები.

გარიგება – სამოქალაქო სამართლის მიხედვით ნებისმიერი მოქმედება, თუ უბრალო ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.

არასრულწლოვნის უფლებები, პასუხისმგებლობები და ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობას მათ მიერ ჩადენილი დელიქტების გამო. ის ფაქტი, რომ 7-დან 18 წლამდე პირი შეზღუდული ქმედუნარიანია, არ ნიშნავს, რომ მას უფლება აქვს, როგორც უნდა, ისე მოიქცეს.

თუ მესამე პირებს მართლსაწინააღმდეგოდ ზიანი მიაყენა 10 წელს მიუღწეველმა არასრულწლოვანმა, მისი მშობლები ან მის მეთვალყურეობაზე ვალდებული სხვა პირები მოვალენი არიან აანაზღაურონ ეს ზიანი. მათი პასუხისმგებლობა გამოირიცხება, როცა მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირებს არ შეეძლოთ ზიანის თავიდან აცილება.

ათ წელზე მეტი ასაკის, მაგრამ არასრულწლოვანი, პირი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა. გამონაკლისია ის შემთხვევა, როცა ზიანის მიყენებისას მას არ შეეძლო თავისი მოქმედების მნიშვნელობა გაეგო. იმ შემთხვევაში, როცა ამ არასრულწლოვანს არა აქვს საკმარისი ქონება ან შემოსავალი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, პასუხისმგებლობა დამატებით ეკისრებათ მის წარმომადგენლებსაც.

თავად ზიანის წარმოშობა შესაძლოა სხვადასხვაგვარად მოხდეს, მაგალითად, როგორიცაა ბურთით თამაშისას მეზობლის ფანჯრის მინის ჩამტვრევა, მდელოში ხანძრის გაჩენა, სხვისი საკუთრების დაზიანება, ცხოველის დასახიჩრება ან მოკვლა, ავტომობილზე საბურავის დაშვება და ა.შ.

გაეცანით წყაროებს:

ამონარიდები საქართველოს სამოქალაქო კოდექსიდან

მუხლი 11. უფლებაუნარიანობა

1. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა — უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, წარმოიშობა დაბადების მომენტიდან.
2. მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე; ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე.
3. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა წყდება მისი გარდაცვალებით. გარდაცვალების მომენტად ითვლება თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა.
4. არ შეიძლება ფიზიკურ პირს წაერთვას უფლებაუნარიანობა.

მუხლი 12. ქმედუნარიანობა

1. ქმედუნარიანობა, ანუ ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევისთანავე.
2. სრულწლოვანია პირი, რომელმაც 18 წლის ასაკს მიაღწია.
3. ქმედუნარიანად ითვლება პირი, რომელმაც 18 წლის ასაკის მიღწევამდე იქორწინა.
4. ქმედუნარიანად ითვლება ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი (შემდგომ – მხარდაჭერის მიმღები), ანუ პირი, რომელსაც აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში, თუ ეს პირი აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 ან მე-3 ნაწილის პირობებს, ამასთანავე, აღნიშნული დაბრკოლებები სათანადო რჩევისა და დახმარების გარეშე მნიშვნელოვნად ართულებს პირის მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვას და ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთებას სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროში.
5. მხარდაჭერის მიმღებად სასამართლომ შეიძლება ცნოს აგრეთვე არასრულწლოვანი იმ ფარგლებში, რომლებშიც, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მას თავისი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა არ სჭირდება.
6. 7 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი (მცირეწლოვანი) ქმედუუნაროდ ითვლება.

მუხლი 992. ცნება

პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

მუხლი 994. არასრულწლოვნის პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის

1. ათი წლის ასაკს მიუღწეველი პირი არ აგებს პასუხს იმ ზიანისთვის, რომელიც მან სხვას მიაყენა.
2. მშობლები ან ათი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მეთვალყურეობაზე ვალდებული სხვა პირები მოვალენი არიან, აანაზღაურონ ზიანი, რომელიც ამ პირმა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიაყენა სხვას. მათი პასუხისმგებლობა გამოირიცხება, როცა მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირებს არ შეეძლოთ ზიანის თავიდან აცილება.

3. ათ წელზე მეტი ასაკის, მაგრამ არასრულწლოვანი, პირი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანის მიყენებისას მას არ შეეძლო თავისი მოქმედების მნიშვნელობა გაეგო. იმ შემთხვევაში, როცა ამ პირს არა აქვს საკმარისი ქონება ან შემოსავალი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, პასუხისმგებლობა დამატებით ეკისრებათ მის წარმომადგენლებსაც.

მუხლი 1003. ცხოველის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება

ცხოველის მფლობელი ვალდებულია, აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც მისმა ცხოველმა სხვას მიაყენა. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა, ცხოველი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, დაკარგული იყო, თუ გაქცეული. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ გამოიყენება, როცა ცხოველის მფლობელმა მიიღო აუცილებელი ზომები მესამე პირთა დასაცავად.

მუხლი 1198. მშობელთა მოვალეობანი შვილების მიმართ

1. მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით.

1[1]. დაუშვებელია არასრულწლოვანი ბავშვის აღზრდისას მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ აღზრდის ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც არასრულწლოვნის ფიზიკურ ან/და ფსიქიკურ ტანჯვას იწვევს.

2. მშობლებს აქვთ ბავშვის რჩენის ვალდებულება.
3. მშობლებს უფლება აქვთ, განსაზღვრონ, თუ ვისთან და სად უნდა იცხოვროს შვილმა.
4. მშობლებს ევალებათ, დაიცვან თავიანთი არასრულწლოვანი შვილების უფლებები და ინტერესები, რაც მოიცავს შვილების ქონების მართვასა და გამოყენებას.
5. მშობლებს ენიჭებათ უფლება და ეკისრებათ ვალდებულება, ჰქონდეთ ურთიერთობა თავიანთ შვილებთან, განსაზღვრონ თავიანთ შვილებთან მესამე პირთა ურთიერთობის უფლება.
6. მშობლები არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან და განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე გამოდიან მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის, სასამართლოში.

მუხლი 11981. არასრულწლოვნის უფლება დაცვაზე

1. არასრულწლოვანს აქვს მშობელთა/სხვა კანონიერ წარმომადგენელთა მიერ უფლების ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის უფლება. არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევისას, მათ შორის, ორივე ან ერთ-ერთი მშობლის მიერ ბავშვის აღზრდასა და განათლებასთან დაკავშირებული მოვალეობების შეუსრულებლობისას ან არასათანადოდ შესრულებისას, ან მშობლის უფლების ბოროტად გამოყენებისას, არასრულწლოვანს უფლება აქვს, დამოუკიდებლად მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს, ხოლო „მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ“ ჰაგის 1996 წლის 19 ოქტომბრის კონვენციით გათვალისწინებულ შემთხვევებში – ცენტრალურ ორგანოს, 14 წლის ასაკიდან კი – სასამართლოს.
2. ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებისთვისაც ცნობილი გახდა არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის შემთხვევები, ვალდებული არიან, მათ შესახებ შეატყობინონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს არასრულ-

წლოვნის ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მიხედვით. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები ვალდებული არიან, ამგვარი შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელონ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ღონისძიებები, ხოლო „მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ“ ჰააგის 1996 წლის 19 ოქტომბრის კონვენციით გათვალისწინებულ შემთხვევებში – მიმართონ ცენტრალურ ორგანოს.

2[1]. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტისა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე სხვა სუბიექტის მიერ ბავშვზე ძალადობის გამოვლენის და ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. „მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ“ ჰააგის 1996 წლის 19 ოქტომბრის კონვენციით განსაზღვრული ცენტრალური ორგანოა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი.

მუხლი 1199. ბავშვის ინტერესების დაცვა

მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს.

სიტუაცია 1 ტყუპების გასაჭირი

ნიკა და ნანა 7 წლის ტყუპები არიან. მათი ოჯახი დარიბია, სწორად შიმშილობენ. მშობლები რამდენიმე დღის განმავლობაში სახლში არ ბრუნდებიან – ხან მათხოვრობენ, ხან მძიმე სამუშაოს ასრულებენ, ფულის შოვნის შემდეგ კი, აჯიოჰოლს ეძალებიან. ტყუპებზე არავინ ზრუნავს. ამიტომ იძულებული არიან იმათხოვრონ. სახლში დაბრუნებული მშობლები ბავშვებს მკაცრად ექცევიან, სწორად ფიზიკურად სჯიან. თუ მათ რომელიმე მეზობელი გამოესარჩლა, სამუდამოდ აგრესიას გამოხატავენ.

ბავშვებს ზამთარში განსაკუთრებულად სასტიკ პირობებში უწევთ ცხოვრება – მათ არც გათბობა აქვთ, არც შუქი. ერთმა მეზობელმა პოლიციას მიმართა მოთხოვნით, რომ ბავშვები თავშესაფარში გადაეყვანათ. სოციალურმა მუშაკებმა ოჯახის ცხოვრების სტილი შეისწავლეს და ტყუპების დედისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის მოთხოვნით სასამართლოს მიმართეს. ნიკას და ნანას დედასთან განწმორება არ სურთ.

უპასუხეთ კითხვებს

– რამდენად სწორად მოიქცა მეზობელი?
– თქვენი აზრით, რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

სიტუაცია 2 გაქცეული ნაგაზი

ნონას ცხოვრები ძალიან უყვარს. შვილის დაკარგვული თხოვნის შემდეგ მშობლებმა მას ჯავრსიანური ნაგაზი შეუძინეს, რომელსაც ჯილრზე მედალიონი შეაბეს და მისი სახელი მიუთითეს. ნონა მთელი დღე სოფელშია, შემდეგ ხაცვისა და უცხო ენების გაკვეთილებით არის დაკავებული. ნაგაზი სახლში მარტო რჩება და ელოდება. ერთ დღეს ნაგაზი დაიკარგა. შეწუხებული ოჯახი მას ყველგან ეძებდა. ჰოლიკასაც შეატყობინეს. მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ერთი თვის შემდეგ საჯარიმო ქვითარი მიიღეს. აღმოჩნდა, რომ ნაგაზმა მოქალაქე დაჯინა, ნონა, როგორც მფლობელი, ვალდებულია ანანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც მისმა ცხოვრებამ სხვას მიაყენა. რამდენადაც გოგონა არასრულწლოვანია, სოლიდური თანხის გადახდა მის მშობლებს მოუწევდათ.

– კი, მაგრამ მე რა დავაშავე, ძაღლი ხომ დაკარგული იყო და ჩემი მეთვალყურეობის ქვეშ არ იმყოფებოდა? არა ვქვს მნიშვნელობა იმ ფაქტს, რომ ის გაქცეული იყო? – კითხულობდა გაოცებული ნონა.

უპასუხეთ კითხვებს

– თქვენი აზრით, სწორია სასამართლოს დადგენილება ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით?
– რომელ არგუმენტებს/კანონს ეყრდნობა თქვენი გადაწყვეტილება?

სიტუაცია 3 მემკვიდრეობა

ბებიის გარდაცვალების შემდეგ მეთორმეტე კლასელმა ლევანმა მემკვიდრეობით მიიღო სახლი. იმის გამო, რომ მის მშობლებს ფინანსური პრობლემები შეექმნათ, ლევანმა სახლის გაყიდვა და მათი დახმარება გადაწყვიტა, თუმცა არ იცის, ვქვს თუ არა დამოუკიდებლად ასეთი გარიგების უფლება.

უპასუხეთ კითხვებს

– თქვენ რას ფიქრობთ? პასუხი დაასაბუთეთ.

სიტუაცია 4 ცრუ განგაში

თერთმეტი წლის ნიკა და გია მეზობლები არიან. ისინი თავისუფალ დროს ყოველთვის ერთად აცარებენ. ბოლო დროს ახალი გასართობი გამონახეს – ცელეფონით თამაში. ბიჭები ხან ერთ და ხან მეორე მეზობელთან სასწრაფო სამედიცინო დახმარებას იძახებენ და შემდეგ ხალისობენ, როცა ხედავენ, როგორ მოდის სამედიცინო ბრიგადა გადაცემულ მისამართზე. დღეს მათ ჰოლიკაში დარეკეს და სუპერმარკეტში დადებული ნაღმის შესახებ აცნობეს. თვითონ კი ალბანეთან უყურებდნენ როგორ ოპერაციულად გამოიყვანეს სუპერმარკეტიდან ხალხი სამართალდამცველებმა, როგორ მუშაობდნენ კრიმინალისტები და გამნაღმველები, როცა ჯარზე ზარის ხმა გაისმა. მათ სამართალდამცველებმა მოაკითხეს.

უპასუხეთ კითხვებს

– როგორი იქნება სამართალდამცველების რეაგირება ბიჭების ხუმრობაზე?
– ვინ არის პასუხისმგებელი მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე?

კითხვები და დავალებები

1. გაეცანით წყაროებს და დაფიქრდით: რატომ მიჯნავს კანონი „სრულწლოვანებას“ და „არასრულწლოვანებას“?

2. მოიძიეთ ინფორმაცია, რომელი ასაკიდან იწყება საქართველოში სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები:
- საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის აღების ვალდებულება?
- მემკვიდრეობის უფლება?
- მანქანის მართვის უფლება?
- გვარის შეცვლის უფლება?
- არჩევნებში მონაწილეობის უფლება?
- სამხედრო სამსახურის ვალდებულება?
- აზარტული თამაშებით გართობის უფლება?

დისკუსია

თქვენი აზრით, რამდენად სწორად არის დაწესებული საქართველოს კანონმდებლობით არსებული ასაკობრივი ზღვარი ზემოთ ჩამოთვლილი თითოეული უფლება/ვალდებულების მიხედვით?

შეჯამება

1. **ადამიანი დაბადების წუთიდან უფლებაუნარიანია. სახელმწიფო ზრუნავს მისი უფლებების დაცვაზე.**
2. **მშობლებს/ მეურვეებს აქვთ დელიქტიური ვალდებულებები არასრულწლოვნის მიერ ან მისი მიზეზით სხვა პირისათვის მიყენებულ ზიანზე.**
3. **არასრულწოვნის უფლებებსა და ინტერესებს იცავს კანონი.**

ლექსიკონი

დანაშაული – მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.

სასჯელი – დანაშაულის ჩამდენი პირისათვის გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომა.

ხულიგნობა – ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობას, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება – ქმედება მოიცავს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის და გამოიწვია მხედველობის, სმენის, მეტყველების ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა, ორსულობის შეწყვეტა, სახის წარუშლელი დამახინჯება.

მართლშეგნება – მოქმედი სამართლისა და, საერთოდ, სამართლებრივი კატეგორიებისა და ღირებულებებისადმი პიროვნების, ადამიანთა გარკვეული ჯგუფისა თუ მთელი საზოგადოების გაცნობიერებული დამოკიდებულება.

გამოძალვა – სხვისი ნივთის ან ქონებით

2.2. არასრულწლოვანი და სისხლის სამართალი

რა არის დანაშაული?

სხვადასხვა სახის სამართალდარღვევებიდან საზოგადოებრივად ყველაზე დიდი საფრთხის შემცველია **დანაშაული**.

დანაშაული არის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. ყველა ბრალეული ქმედება, რომელიც ასახულია სისხლის სამართლის კოდექსში, დანაშაულს წარმოადგენს.

დანაშაული შეიძლება იყოს განზრახი ან გაუფრთხილებელი.

დანაშაული განზრახია, რომელიც ჩადენილია პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით.

დანაშაული პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას.

დანაშაული არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას.

გაუფრთხილებლობითია დანაშაული, თუ ის ჩადენილია თვითიმედოვნებით ან დაუდევრობით.

დანაშაული თვითიმედოვნებითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა.

დანაშაული დაუდევრობითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულების ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდეც.

დანაშაული კანონით ისჯება. სასჯელი კანონის სამართლებრივი რეაქციაა დანაშაულზე. ის სამართალდამრღვევთა მიმართ სახელმწიფოს მიერ იძულებითი ღონისძიებების გამოყენების ზომაა.

სასჯელი კანონით არის გათვალისწინებული და ის მხოლოდ დანაშაულის ჩამდენი პირისათვის არის განსაზღვრული. მისი დანიშვნის უფლება სასამართლოს კომპეტენციაა და არა ცალკეული ინდივიდის.

დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს როგორც ერთმა პირმა, ასევე პირთა ჯგუფმა. ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული პასუხისმგებლობას ამძიმებს.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია (გამოსწორება, ხელახალი აღზრდა). სასჯელის მიზანი არაა დამნაშავის ტანჯვა ან მისი ღირსების შელახვა.

პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი.

რა შემთხვევაში ისჯება მოზარდი?

სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით არასრულწლოვნად ითვლება პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გაითვალისწინება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები.

14 წელს მიღწეული პირი სრულად აგებს პასუხს ყველა იმ ქმედებისთვის, რაც სისხლის სამართლის კოდექსით არის გათვალისწინებული, როგორც დანაშაული.

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული ზომა ჩადენილი ქმედების თანაზომიერი უნდა იყოს და მის პიროვნებას, ასაკს, საგანმანათლებლო, სოციალურ და სხვა საჭიროებებს უნდა შეესაბამებოდეს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში უპირატესობა, საქართველოს კანონმდებლობით, მიზნების მიღწევის ყველაზე მსუბუქ საშუალებას ენიჭება.

არასრულწლოვნის მიმართ, პირველ რიგში, განრიდების ან აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა განიხილება და ფასდება, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებასა და

სარგებლობის მოთხოვნა, დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების, ქონების განადგურების, სახელის გამტეხი ცნობების გავრცელების მუქარის გამოყენებით.

ქურდობა – სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მისაკუთრების მიზნით.

ძარცვა – სხვისი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. ძარცვას აშკარა ხასიათი აქვს. სხვისი ნივთის წართმევა ხდება თვალნათლივ, მესაკუთრის ან სხვა პირთა თანდასწრებით.

ყაჩაღობა – თავდასხმა სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ძალადობის გამოყენების მუქარით.

ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება – სხეულის დაზიანება, რომელიც არ არის სიცოცხლისთვის სახიფათო და არ იწვევს მძიმე შედეგებს, მაგრამ დაკავშირებულია ჯანმრთელობის ხანგრძლივ მოშლასთან, ან ადამიანის საერთო შრომისუნარიანობის დაკარგვასთან.

ჯარიმა – ფულადი გადასახდელი.

ცივი იარაღი – მჩხვლეტავი (დაშნა, ხიშტი), ასევე ბასრი საგნები (სანადირო დანა, ფინური დანა), რომლებსაც არ გააჩნიათ პირდაპირი საწარმოო ან საყოფაცხოვრებო დანიშნულება და მათი გამოყენება შეიძლება როგორც თავდასხმის, ასევე თავდაცვისათვის.

სასჯელის გამოყენებაზე უკეთ უზრუნველყოფს თუ არა იგი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.

ნებისმიერი ზომა, რომელიც არასრულწლოვნის მიმართ საქმის სასამართლოში განხილვის ნაცვლად გამოიყენება, არასრულწლოვნის უფლებებისა და სამართლებრივი გარანტიების დაცვას უნდა ემსახურებოდეს.

საქართველოს კანონმდებლობით დაუშვებელია არასრულწლოვნისთვის თავისუფლების შეზღუდვა, თუ კანონით განსაზღვრული მიზნის მიღწევა უფრო მსუბუქი ზომის გამოყენებითაც შეიძლება. არასრულწლოვნის დაკავება და დაპატიმრება, მისთვის თავისუფლების შეზღუდვა და თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ როგორც უკიდურესი ღონისძიება, რომელიც შეძლებისდაგვარად მოკლე ვადით და რეგულარული გადასინჯვის პირობით უნდა იქნეს გამოყენებული.

ამავდროულად არასრულწლოვანს:

- არ შეიძლება შეეფარდოს უვადო თავისუფლების აღკვეთა;
- თოთხმეტიდან თექვსმეტ წლამდე არასრულწლოვნისათვის დანიშნული სასჯელის, თავისუფლების აღკვეთის საბოლოო ვადა არ უნდა აღემატებოდეს ათ წელს, ხოლო თექვსმეტიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვნის შემთხვევაში – 15 წელს.

არასრულწლოვანი, რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, სასამართლომ შეიძლება გაათავისუფლოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორება მიზანშეწონილია აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების გამოყენებით, რომლის სახეობებია:

- გაფრთხილება;
- საზედამხედველოდ გადაცემა;
- ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრება;
- ქცევის შეზღუდვა;
- სპეციალურ აღმზრდელობით ან სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებაში მოთავსება.

არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი სამართალდარღვევები

სტატისტიკის მიხედვით არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულებიდან ყველაზე ხშირად ქურდობა ხდება. სიხშირით მომდევნო ადგილზეა ხულიგნობა, შემდეგ კი - განზრახ ჩადენილი სხეულის მძიმე დაზიანება.

ის, რომ **ქურდობა** არასრულწლოვანთა დანაშაულებს შორის პირველ ადგილზეა, განპირობებულია ამ დანაშაულის ხასიათით, კერძოდ, იმით, რომ ის საკუთრების წინააღმდეგ მიმართული **არაძალადობრივი, ფარული დანაშაულია,** რაც მოზარდისთვის მის ჩადენას აადვილებს. ქურდობა ხორციელდება მესაკუთრის ან სხვა ადამიანის დაუსწრებლად (მაგალითად, ბინის ქურდობა, როდესაც პატრონი სახლში არ არის), ან ფარულად, დაზარალებულის შეუმჩნევლად (მაგალითად, ავტობუსში მგზავრისათვის ჩანთიდან საფულის ამოცლა). არასრულწლოვნები დარწმუნებული არიან, რომ მათი ქმედება არ გამჟღავნდება, თუმცა დანაშაულის ადგილზე ყოველთვის ტოვებენ კვალს, რომელიც უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ კრიმინალისტებს საქმის გახსნას უადვილებს.

მნიშვნელობა არა აქვს, რამ განაპირობა მოზარდის მიერ ქურდობის ჩადენა – გაჭირვებამ, წაგებულმა ფულმა, უცოდინრობამ თუ ვინმეს დავალებამ. სხვისი მოძრავი ნივთის მითვისება

დანაშაულია და ისჯება კანონით.

ზოგჯერ არასრულწლოვნები **ძარცვას** – სხვისი ნივთის **აშკარა დაუფლებას** მართლსაწინააღმდეგო გზით ახორციელებენ. ძარცვისას მესაკუთრისთვის ნივთის წართმევა თვალნათლივ, პატრონის ან სხვა პირთა თანდასწრებით ხდება. ამ დროს დამნაშავე საშიშია, რადგან ნივთის პატრონის წინააღმდეგობის დასაძლევად ის ძალადობას მიმართავს. თუ ძალადობამ საშიში ფორმა მიიღო და სერიოზული საფრთხე შეუქმნა დაზარალებულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, სახეზე გვაქვს **ყაჩაღობა** – თავდასხმა სხვისი ნივთის მისაკუთრების მიზნით, რომელიც ჩადენილია სიცოცხლისათვის საშიში **ძალადობით**, ან მუქარით.

სასწავლო დაწესებულებებში მოზარდები ხშირად მიმართავენ გამოძალვას, რომელიც სხვისი ნივთის ან ქონებით სარგებლობის მოთხოვნას მუქარის (დაშინების) გამოყენებით გულისხმობს. გამოძალვაც დანაშაულია.

ხულიგნობა ისეთი ქმედებაა, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას და რომელიც ჩადენილია ძალადობით ან ძალადობის მუქარით. საზოგადოება ხულიგნებს ქუჩის შფოთისთავებსა და მოძალადეებს უწოდებს. სისხლის სამართლის წესით დასჯადი ე.წ. ბოროტი ხულიგნობაა, რომლის დამახასიათებელი ნიშნებია უკიდურესი ცინიზმი და უხამსობა, რომელსაც თან ერთვის ძალადობა ან ძალადობის მუქარა.

წვრილმან ხულიგნობად მიჩნეულია საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ლანძღვა-გინება, მოქალაქეებისადმი შეურაცხმყოფელი მიმართვა, გადაკიდება და სხვა ამგვარი ქმედება, რომელიც არღვევს წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს. წვრილმანი ხულიგნობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა. აჟიტირებულ მდგომარეობაში მყოფი არასრულწლოვნები ხშირად ერთმანეთის მიბაძვით ან ზეგავლენით ხულიგნობენ და არ ფიქრობენ, რომ მათი ქმედება კანონდარღვევაა.

არასრულწლოვნებში ხშირია ისეთი დანაშაულები, რომლებიც ადამიანის ჯანმრთელობას აყენებს ზიანს. ასეთია ჯანმრთელობის მძიმე, ნაკლებად მძიმე და მსუბუქი დაზიანება; ჩხუბის დროს მოზარდები ყურადღებას არ აქცევენ სხეულის ისეთ დაზიანებას, როგორიცაა დაჟეჟილობა, ცხვირის, ან ყბის გაბზარვა, სმენის შესუსტება და ა.შ. მათ არ იციან, რომ ასეთი ქმედება დანაშაულია, **ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას** მიეკუთვნება და იწვევს პასუხისმგებლობას – ჯარიმას ან გამასწორებელ სამუშაოებს; დაზიანების სიმძიმიდან გამომდინარე, ზოგჯერ, ერთ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთასაც. ასევე, ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად არის მიჩნეული ცემა. ასეთი ფაქტი ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ისჯება.

მოზარდების ჯგუფური გარჩევები, არც თუ იშვიათად, სავალალო შედეგით სრულდება. სისხლის სამართლის კანონმდებლობით მკაცრად ისჯება **ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება** ანუ ქმედება, რომელიც იწვევს სხვა ადამიანის ჯანმრთელობის ისეთ დაზიანებას, რაც სიცოცხლისათვის სახიფათოა. მაგალითად, ქმედება, რომელმაც გამოიწვია სხვა პირის მხედველობის, სმენის, მეტყველების ან რომელიმე ორგანოს ფუნქციის მოშლა ან დაკარგვა, სახის დამახინჯება და სხვა. ამ ტიპის დანაშაული არასრულწლოვანთა მიერ უმეტესად ცივი, ცეცხლსასროლი ან თვითნაკეთი იარაღის გამოყენებით არის ჩადენილი. მოზარდებმა უნდა იცოდნენ, რომ იარაღის, ფეთქებადი ნივთიერების, ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გამოყენება **დანაშაულია**.

დადგენილია, რომ ცივი და ცეცხლსასროლი იარაღით დანაშაულს, უმეტეს შემთხვევაში, დაბალი თვითშეფასების მქონე ან დაშინებული მოზარდები ჩადიან. იარაღის ტარებით მათი პიროვნული სისუსტის შევსება, „წარმატების შეგრძნება“, შიშის დათრგუნვა ხდება. აგრესი-

ულ ან იმპულსურ მდგომარეობაში იარაღის გამოყენება მათ ურთიერთობების მოგვარების უმარტივეს გზად მიაჩნიათ, ამიტომ უმნიშვნელო ინციდენტის დროს არ ერიდებიან მის გამოყენებას და თანმდევ შედეგებზე არ ფიქრობენ.

კანონის მიხედვით არ არსებობს ცივი იარაღის მართლზომიერი ტარება, ნებისმიერ შემთხვევაში ასეთი ფაქტი ითვლება სამართალდარღვევად და იწვევს პირის დაჯარიმებას, ხოლო ქმედების განმეორებისას, კანონი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით. თუ იარაღის გამოყენებას მოჰყვა მკვლელობა, ანუ სხვა პირის სიცოცხლის განზრახ ან გაუფრთხილებლობით მოსპობა, კანონი განსაკუთრებულად მკაცრი ხდება. ის ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალურ ვადებს, მათ შორის არასრულწლოვნებისთვისაც.

როგორც უკვე აღინიშნა, არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გარკვეული თავისებურებები ახასიათებს. კონკრეტულად, არასრულწლოვანს, მისი ასაკიდან და ინდივიდუალური შესაძლებლობიდან გამომდინარე, უნდა შეეძლოს აღიქვას და შეიგნოს პასუხისმგებლობა ჩადენილ ქმედებაზე. ამიტომ არასრულწლოვანთან მიმართებაში კანონი ითვალისწინებს რა მოზარდის განვითარების ფიზიკურ, მენტალურ, ემოციურ და ინტელექტუალურ თავისებურებებს და შესაძლებლობებს, სასჯელთან ერთად იმ აღმზრდელობით **ღონისძიებებს განსაზღვრავს**, რომლებიც შეიძლება არასრულწლოვანს **სასჯელის ნაცვლად დაენიშნოს**.

სასჯელი, რომელიც შეიძლება არასრულწლოვანს დაენიშნოს	**ღონისძიებები, რომელიც შეიძლება არასრულწლოვანს სასჯელის ნაცვლად დაენიშნოს**
• ჯარიმა; • საქმიანობის უფლების ჩამორთმევა; • საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა; • გამასწორებელი სამუშაო; • თავისუფლების შეზღუდვა; • ვადიანი თავისუფლების აღკვეთა.	• გაფრთხილება; • საზედამხედველოდ გადაცემა; • ზიანის ანაზღაურების დაკისრება; • ქცევის შეზღუდვა; • სპეციალურ აღმზრდელობით ან სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებაში მოთავსება.

მათ გამოყენებას განსაზღვრავს მოსამართლე მხოლოდ მაშინ, როცა ჩათვლის, რომ არასრულწლოვნის გამოსასწორებლად მხოლოდ აღმზრდელობითი ღონისძიება საკმარისია. მაგალითად, არასრულწლოვანი, რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, სასამართლომ შეიძლება გაათავისუფლოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორება მიზანშეწონილია იძულებითი აღმზრდელობითი ღონისძიების გამოყენებით. კანონმდებლობის მიხედვით არასრულწლოვანს ერთდროულად შეიძლება აღმზრდელობითი ზემოქმედების რამდენიმე იძულებითი ღონისძიება დაენიშნოს.

თუ არასრულწლოვანი სისტემატურად დაარღვევს აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების პირობებს, მაშინ სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს წარდგინებით ეს ღონისძიება გაუქმდება და საქმის მასალები არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად გადაიგზავნება.

ყველაზე ხშირად პრაქტიკაში გამოიყენება სასჯელის შემდეგი სახეები: ჯარიმა, თავისუფლების შეზღუდვა და ვადიანი თავისუფლების აღკვეთა.

არასრულწლოვნისათვის სასჯელის შეფარდებისას მხედველობაში მიიღება მისი ცხოვრებისა და აღზრდის პირობები, ფსიქიკური და მენტალური განვითარების დონე, ჯანმრთელობის და ქონებრივი მდგომარეობა, სხვა პერსონალური თავისებურებანი, მათ შორის, მასზე ასაკით უფროსი პირის ზეგავლენა.

არასრულსწლოვანი, სისხლის სამართლის საპროცესო და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსები

დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ გამოძიებისათვის უფლებამოსილი პირები (გამომძიებელი და პროკურორი) გამოძიებას იწყებენ.

დაკავება არის თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა, რომელსაც სამართალდამცველები იყენებენ, როცა არსებობს საკმაო საფუძველი, ეჭვი მიიტანონ პირზე, რომ მან ჩაიდინა ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც კანონი თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელს ითვალისწინებს.

დაკავების მიზანია ეჭვმიტანილის დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთა ან გაქცევის, დამალვის ან მტკიცებულებათა მოსპობის თავიდან აცილება.

დაკავებული, მოწმე ან დაზარალებული არასრულწლოვნის დაკითხვის პროცესუალური ნორმები საერთო წესისგან განსხვავდება და დამოუკიდებლად არის გაწერილი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში.

არასრულწლოვნის უფლებები და სისხლის სამართლის კოდექსი

სისხლის სამართლის კოდექსში ცალკეა გამოყოფილი დანაშაულები, რომლებიც არასრულწლოვნებს შეეხება: არასრულწლოვნის დაყოლიება მათხოვრობაზე და სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე, არასრულწლოვნის დაყოლიება ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების მოხმარებაზე (მათ შორის მშობლების მხრიდან) და სხვა განსაკუთრებულად მკაცრად ისჯება კანონით.

რატომ ირჩევენ არასრულწლოვნები დანაშაულებრივ გზას?

არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულის მიზეზი, უმეტეს შემთხვევაში, მათი დაბალი მართლშეგნების დონეა – მათ უმრავლესობას საკუთარი საქციელის შედეგი ბოლომდე გააზრებული არა აქვს. ისინი, სრულწლოვანი დამნაშავეებისგან განსხვავებით, გადაწყვეტილებას სპონტანურად იღებენ, ხშირად წინასწარ მომზადებული გეგმის გარეშე და ჯგუფურად მოქმედებენ.

არასრულწლოვანი დამნაშავისთვის, როგორც წესი, დამახასიათებელია სწავლისადმი ინტერესის შესუსტება, ალკოჰოლის, ნარკოტიკებისადმი, იარაღისადმი, უხეშობისაკენ, ძალადობასა და აგრესიისადმი მისწრაფება.

ბავშვის ფსიქიკაზე განსაკუთრებით ცუდად მშობლებს შორის გაუთავებელი კამათი, სიმთვრალე და უხეშობა მოქმედებს. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მშობლებთან მოზარდების ურთიერთობის ფორმასა და ნდობას.ზოგჯერ ის ბავშვი, რომელიც მატერიალურად უზრუნველყოფილ ოჯახში იზრდება, შეჩვეული უზრუნველი ცხოვრებისათვის ახალი წყაროს ძებნას იწყებს, იოლად ექცევა სხვების ზეგავლენის ქვეშ და დანაშაულს ჩადის.

მოზარდები ზრდასრული დამნაშავეებისათვის „სამიზნეს“ წარმოადგენენ. ისინი ცდილობენ, მათი გამოუცდელობით ისარგებლონ და თავიანთი ზრახვებისათვის გამოიყენონ. დამნაშავეები არასრულწლოვანთა გადმობირების მიზნით ზემოქმედების სხვადასხვა ფორმას იყენებენ: დაშინება, მოსყიდვა, შანტაჟი და ა.შ. ასეთი „გაწვრთნის“ შემდეგ მოზარდები დანაშაულებრივ საქმიანობაში საუკეთესო დამხმარეები ხდებიან. დანაშაულის გამოაშკარავების შემთხვევაში დაკავებული არასრულწლოვანი „არ თანამშრომლობს“ სამართალდამცველებთან და მთელ ბრალს საკუთარ თავზე იღებს. პროფესიონალი დამნაშავე კი ახალ „მსხვერპლს“ პოულობს.

არასრულწლოვანთა მედიაციის და განრიდების პროგრამა

2010 წლიდან საქართველოს სისხლის სამართლისსაპროცესოკოდექსშიშეტანილი ცვლილების საფუძველზე, საქართველოში „არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა“ ამოქმედდა, რომლის მიზანი არასრულწლოვნებში განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილებაა.

„განრიდებისა და მედიაციის პროგრამის“ ფარგლებში, თავისი უფლებამოსილების საფუძველზე პროკურორს შეუძლია, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას განარიდოს არასრულწლოვანი, რომელმაც ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა.

განრიდების გამოყენება შესაძლებელია შემდეგ გარემოებათა ერთობლიობისას:

- არსებობს საკმარისი მტკიცებულებები დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა;
- არასრულწლოვანი ნასამართლევი არ არის;
- არასრულწლოვანი „განრიდება-მედიაციის პროგრამაში“ ჩართული არ ყოფილა;
- არასრულწლოვანი დანაშაულს აღიარებს;
- პროკურორის/სასამართლოს შინაგანი რწმენით, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელების საჯარო ინტერესი არ არსებობს;
- არასრულწლოვანი და მისი კანონიერი წარმომადგენელი განრიდების გამოყენებაზე წერილობით ინფორმირებულ თანხმობას გამოხატავენ.

ეს არასრულწლოვანს შესაძლებლობას აძლევს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოხვედრის ნაცვლად რეაბილიტაციის ღონისძიებებში ჩაერთოს. არასრულწლოვანი, რომლის მიმართაც პროკურატურა შეწყვეტს ან არ აღძრავს სისხლის სამართლებრივ დევნას და კერძო სამართლებრივი გარიგების გზით წავა, ზედამხედველობას სოციალური მუშაკები განახორციელებენ.

განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პროკურორი უფლებამოსილია არასრულწლოვანთან გააფორმოს ხელშეკრულება განრიდების ან განრიდებისა და მედიაციის შესახებ. ხელშეკრულების ვადა ერთ წელს არ უნდა აღემატებოდეს.

თუ არასრულწლოვანი ხელშეკრულების პირობებს პირნათლად შეასრულებს, მას ნასამართლობა არ წარმოეშვება. არასრულწლოვნის მხრიდან ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში კი პროკურორს შეუძლია დაიწყოს ან განაახლოს სამართლებრივი დევნა.

პრევენცია

სხვადასხვა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ პრევენციულ პროგრამებს, რომელიც შესაძლოა, დანაშაულის ჩადენის მაღალი რისკის მქონე ბავშვებს პრობლემების გადალახვასა და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის განვითარებაში დაეხმაროს. ასეთი პროგრამები ბავშვის პიროვნების, სპორტული, ხელოვნების თუ სხვა ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენას და განვითარებას უწყობს ხელს.

სამართალდამცველების პრევენციული პროგრამები მოიცავს დანაშაულის ჩადენის ზღვარზე ან კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების გამოვლენას და შესაბამისი ზომების მიღებას, მათთან საინფორმაციო-საკონსულტაციო საუბრებს, სოციალური მუშაკების და ფსიქოლოგის დახმარებას. ასეთი პროგრამები ხელს უწყობს მოზარდების სოციალური უნარების განვითარებასა და ოჯახებში ინტეგრაციას, თანატოლებთან ურთიერთობის, საზოგადოებაში და სკოლაში დამკვიდრების ხელშეწყობას.

გაეცანით წყაროებს:

ამონარიდები კონვენციიდან „ბავშვის უფლებების შესახებ“ (საქართველოში ძალაშია 1994 წლის 2 ივლისიდან)

მუხლი 37

მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ:

ა) არც ერთმა ბავშვმა არ განიცადოს წამება ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა ან დასჯა. არც სიკვდილით დასჯა, არც სამუდამო პატიმრობა, რაც გათავისუფლების შესაძლებლობას არ ითვალისწინებს, არ მიესჯებათ დანაშაულისათვის 18 წლამდე ასაკის პირებს;

ბ) არც ერთ ბავშვს არ აღეკვეთოს თავისუფლება უკანონო ან ნებისმიერი სახით. დაპატიმრება, დაკავება ან დატუსაღება ხორციელდება კანონის თანახმად და გამოიყენება მხოლოდ უკიდურეს ზომად და დროის რაც შეიძლება შესაბამისი მოკლე პერიოდის განმავლობაში;

გ) ყოველი თავისუფლებააღკვეთილი ბავშვი უნდა სარგებლობდეს ჰუმანური მოპყრობით და მისი პიროვნების განუყოფელი ღირსების პატივისცემით მისი ასაკის პირთა მოთხოვნილებების გათვალისწინებით. კერძოდ, ყოველი თავისუფლებააღკვეთილი ბავშვი განცალკევებული უნდა იყოს უფროსებისგან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მიჩნეულია, რომ ამის გაკეთება არ ღირს ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის, და ჰქონდეს უფლება, კავშირი იქონიოს თავის ოჯახთან მიმოწერის და პაემნის მეშვეობით, გარდა განსაკუთრებული გარემოებებისა;

დ) ყოველ თავისუფლებააღკვეთილ ბავშვს ჰქონდეს უფლება, დაუყოვნებლივ ისარგებლოს სამართლებრივი და სხვა შესაბამისი დახმარებით, აგრეთვე უფლება, გაასაჩივროს თავისი თავისუფლების აღკვეთის კანონიერება სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს წინაშე და უფლება, რომ დაუყოვნებლივ მიიღონ მათ გადაწყვეტილება ნებისმიერი ასეთი პროცესუალური მოქმედების მიმართ.

მუხლი 40

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ყოველი იმ ბავშვის უფლებას, რომელმაც, როგორც მიჩნეულია, დაარღვია სისხლის სამართლის კოდექსი, ბრალად ედება მისი დარღვევა ან ბრალეულადაა მიჩნეული მის დარღვევაში, ისეთ მოპყრობაზე, რომელიც ხელს უწყობს ბავშვში ღირსების და პიროვნული მნიშვნელობის გრძნობის განვითარებას, განუმტკიცებს ადამიანის უფლებებისადმი და სხვათა ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას და რომლის დროსაც გათვალისწინებულია ბავშვის ასაკი და სასურველია ხელი შეუწყონ მის რეინტეგრაციას და მის მიერ საზოგადოებაში სასარგებლო როლის შესრულებას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

მუხლი 85. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა +

1. არასრულწლოვანს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ენიშნება ორმოციდან სამასოც საათამდე ვადით, რომელსაც ის მოიხდის სწავლისაგან ან ძირითადი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს. თავისუფლების აღკვეთის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლის შემთხვევაში, ან თუ მხარეთა შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, იგი შეიძლება დაინიშნოს უფრო მეტი ვადითაც. ეს სასჯელი გულისხმობს ისეთი სამუშაოს

შესრულებას, რომელიც ძალუძს არასრულწლოვანს. ამ სასჯელის ვადა თხუთმეტ წლამდე არასრულწლოვნისათვის არ უნდა აღემატებოდეს დღეში ოთხ საათს, ხოლო თხუთმეტიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვნისათვის – დღეში ექვს საათს.

2. არასრულწლოვანს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა დამატებით სასჯელად შეიძლება დაენიშნოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით სასჯელის სახით გათვალისწინებული არ არის.

მუხლი 86. გამასწორებელი სამუშაო

არასრულწლოვანს გამასწორებელი სამუშაო ენიშნება ორი თვიდან ერთ წლამდე ვადით.

მუხლი 87. თავისუფლების შეზღუდვა

არასრულწლოვანს თავისუფლების შეზღუდვა ენიშნება ოთხ წლამდე ვადით.

მუხლი 88. ვადიანი თავისუფლების აღკვეთა

3. თოთხმეტიდან თექვსმეტ წლამდე არასრულწლოვნისათვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა შემცირდება ერთი მესამედით. ამასთანავე, საბოლოო სასჯელი არ უნდა აღემატებოდეს ათ წელს.
4. თექვსმეტიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვნისათვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა შემცირდება ერთი მეოთხედით. ამასთანავე, საბოლოო სასჯელი არ უნდა აღემატებოდეს თხუთმეტ წელს.

სიტუაცია 1 მეზობლების ჟურდი

8 წლის ჯანა თბილისის ძველ უბანში ცხოვრობს, სადაც ვიწრო ქუჩები და დაბალი სახლებია. უფროსი ასაკის მეზობელი ბიჭები სახლის ფანჯარას ადებენ და ვაფცარა ცანის ჯანას ბინაში ადვილად გადასვამენ, რომ იქიდან კომპიუტერი, სხვა მცირე ტექნიკა და ფული გადმოაწოდოს. თუ ბინაში ბევრი სანცერელი ნივთი აღმოჩნდა, ბიჭები ჯანას 5 ლარს ჩუქნიან.

სიტუაცია 2 ინციდენტი სკოლის უკან

ზარი დაირეკა, გაკვეთილები დამთავრდა. მე-9 კლასელი ბიჭები ზრდილობიანად დაემშვიდობნენ დარაჯს და მშვიდად გაემართნენ გასასვლელისაკენ, მაგრამ კარის ზღურბლს გადაბიჯეს თუ არა, სკოლის უკანა კუთხისაკენ გაიქცნენ.

- *რაცომ მისწერე წერილი ჩემს დას, რაცომ? – მთელი ხმით უყვიროდა ბიჭებით გარშემორტყმული ზურა გელას.*
- *მინდოდა და მივწერე! – უყვირა ვასუნად გელამ. ზურა, რომელიც ბოდიშს მოელოდა, თანაკლასელის ვასუხმა დაბნა.*
- *ენა უნდა დაარტყა! – უკარნახა მას ერთ-ერთმა მეგობარმა. ზურამ ხელი მოუქნია გელას, მაგრამ მან დანა დაბნეულმა. მაშინვე თვითონაც ამოიღო წინდაში დამალული დანა და ბიჭებმა თითქმის ერთდროულად დაარტყეს ერთმანეთს.*
- *გაამშვენეთ, დახოცეს ერთმანეთი! – ყვიროდა მოხუცი დამლაგებელი. – მანდატური მოდიიან! ბიჭები ერთ წამში დაიშალნენ. მხოლოდ ზურამ ვერ შეძლო გაქცევა. ის მიწაზე უგონოდ დავარდა.*

* 2005 წლის მაისიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილია ცვლილებები, რომლებიც ითვალისწინებს მოკვლევის ორგანოების გაუქმებას და წინასწარი გამოძიების დაწყებას დანაშაულის ჩადენის მომენტიდან. ამ და სხვა მიზეზებით გაზრდილია რეგისტრირებული დანაშაულებების რაოდენობა.

სიტუაცია 3 ჯართის ქურდი

თოთხმეტი წლის გურამის ეიკანზე ელექტროსადენები დაზიანდა. ბიჭს გაახსენდა, რომ მეზობლად მდებარე ბორის ქარხნის ეზოში უამრავი ძველი სადენი ეყარა. მან ჯიბე ჩაირბინა და ქარხნის ეზოში ჯართიდან სადენების ამორჩევა დაიწყო. ის იყო ეზოდან გამოვიდა, რომ საპატრულო პოლიციის მანქანამ გზა გადაუჭრა:

– ჯართს იპარავ? – შეეკითხა პოლიციელი.

– არ მომიპარავს! – გაოცდა გურამი – დამჭირდა და ავიღე. რამდენი ღირს აქ ყრია!

სიტუაცია 4 ხანმოკლე მოლხენა

მეცხრე კლასელი ლუკა და მათე მაღაზიის წინ იდგნენ და ნაყინს მიირთმევდნენ. იქვე 7-8 წლის ბიჭი გამვლელებს ხაფანგის შეძენას სთავაზობდა. უცნობმა მამაკაცმა ბიჭს ხაფი გამოართვა და ორმოცდაათლარიანი ამოუქაჩა.

მისი წასვლის შემდგომ ლუკამ ბიჭს ხელი ჯრა, წაიქცია, თუალი წაართვა და გაიქცა. გაოცებული მათეც უკან გაეკიდა. ბიჭებმა ჯერ სახინკლეში მოიხინეს, შემდეგ კი დარჩენილი თანხა გაიყვეს და სახლებისკენ გაეშურნენ.

სახლთან მისულ მათეს ხაფანგის გამყიდველი ბიჭი დახვდა:

– მითხრეს რომ აქ ცხოვრობდი. ახლა პატრულს შევატყობინებ! – უთხრა მან და გაიქცა.

სიტუაცია 5 გაუფრთხილებლობა

15 წლის ნუცასთან სტუმრად მისული თანაკლასელები მისი მამის იარაღების კოლექციით დაინტერესდნენ. იქვე ტყვიებიც ელაგა. კაცმა მეგობრებს აჩვენა, როგორ ხდება სანადირო თოფში ტყვიების ჩაგდება. გოგონები რიგ-რიგობით ცდილობდნენ გამეორებას. მოულოდნელად სამინელი გრუხუნი გაისმა. შემინებულმა გოგონებმა მას შემდეგ გაიცნობიერეს, რომ ეს გვარლანილი თოფის ხმა იყო, როცა შეამჩნიეს, რომ ნუცას მუცელიდან სისხლი სდიოდა....

უპასუხეთ კითხვებს

1. ჩადენილია თუ არა დანაშაული აღწერილ სიტუაციაში?
2. თუ წინა შეკითხვაზე პასუხი დადებითია, რა ტიპის დანაშაულია? ვინ მიგაჩნიათ დამნაშავედ?
3. თქვენი აზრით, რამ გამოიწვია დამდგარი შედეგი?
4. რომელი კანონმდებლობით უნდა დაისაჯოს დამნაშავე?
5. კიდევ ვისი პასუხისმგებლობის დაყენებას მოითხოვდით? რატომ?

კითხვები და დავალებები

1. თქვენი აზრით, რა განაპირობებს მოზარდებში დანაშაულის მაღალ მაჩვენებელს?
2. რამდენად განაპირობებს სწავლისადმი მოზარდის დაქვეითებული ინტერესი და კულტურის დაბალი დონე მის მიდრეკილებას დანაშაულის ჩადენისაკენ? ხომ არ ფიქრობთ, რომ ასეთი კავშირი არ არსებობს? პასუხი დაასაბუთეთ.
3. როგორ ანსხვავებს კანონი „ნებით“ და „უნებლიეთ“ ჩადენილ დანაშაულს?
4. თქვენი აზრით, რა მიზანს ემსახურება საზოგადოებისაგან დამნაშავე მოზარდის იზოლირება (დესოციალიზაცია) სასჯელაღსრულების დაწესებულებაში? რომელ ალტერნატივას მიიჩნევთ უფრო ეფექტიანად არასრულწლოვანთან მიმართებაში?
5. ფსიქოლოგების აზრით ხშირად ბავშვების დანაშაულებრივი ქცევის მიღმა დგას ოჯახსა და სკოლაში არსებული გადაუჭრელი პრობლემები, ამიტომ ბავშვის დასჯა კიდევ უფრო აზიანებს მის ფსიქიკას და არაეფექტიანია. თქვენ როგორ აფასებთ ამ მოსაზრებას? მოიყვანეთ არგუმენტები.
6. დაასახელეთ 3 ყველაზე მნიშვნელოვანი პირობა ან კომპონენტი, რომელიც საჭიროა არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან ასაცილებლად.
7. როგორ შეიძლება საზოგადოებამ ხელი შეუწყოს დამნაშავე მოზარდის გამოსწორებას?
8. როგორ აფასებთ მოსაზრებას, რომ არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ დანაშაულზე პასუხი უნდა აგოს მშობელმა?

დისკუსია

როგორ უნდა მოიქცეს დანაშაულის თვითმხილველი?

შეჯამება

1. **დანაშაული არის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც მიმართულია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისკენ და არასასურველი შედეგი ახლავს.**
2. **დანაშაული საფრთხის შემცველია საზოგადოებისათვის.**
3. **დანაშაულის მიზეზი, უმეტეს შემთხვევაში, დამნაშავეთა დაბალი მართლშეგნების დონეა.**
4. **დანაშაულთან ბრძოლა შესაძლებელია არა მარტო სასჯელით ან დასჯის შიშით, არამედ საზოგადოების მართლშეგნების დონის ამაღლებით.**

2.3. ადმინისტრაციული სამართალი და საპროცესო კანონმდებლობა

რას ნიშნავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევა?

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კანონმდებლობა იცავს მოქალაქეთა, აგრეთვე საწარმოთა და ორგანიზაციათა საკუთრებას, უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ წესრიგს, ადამიანების მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას.

ყოველდღიურ ცხოვრებაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ხშირი მოვლენაა. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების ხელმყოფი ქმედება ან მმართველობის დადგენილი წესის საწინააღმდეგო ბრალეული მოქმედება ან უმოქმედობა. მაგალითად, წვრილმანი ხულიგნობა, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის დროს წესების დარღვევა, უბილეთოდ მგზავრობა, ტრანსპორტის მართვისას უსაფრთხოების ღვედის გარეშე მოძრაობა, მეტროპოლიტენში ლიანდაგზე ჩასვლა, მოძრავი მატარებლის ვაგონის კარის გაღება-დახურვის განზრახ შეფერხება, მანქანის ფანჯრებიდან ნაგვის გადაყრა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის შიდა მოწყობილობის დაზიანება, პარკში ძაღლის გასეირნება საბმელის ან ალიკაპის გარეშე, გზის არასწორ ადგილას გადაკვეთა, ექსკურსიის ან ლაშქრობის დროს დაცულ ტერიტორიებზე, ხეებსა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე წარწერებისა და ნახატების გაკეთება და ა. შ.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევა პირმა შეიძლება ჩაიდინოს როგორც **განზრახ,** ისე **გაუფრთხილებლობით.**

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას **გადაცდომა ეწოდება**, მის ჩამდენს ეკისრება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, თუ ქმედება, კანონმდებლობიდან გამომდინარე, ამასთანავე არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მხოლოდ 16 წლის ასაკს მიღწეულ პირებს ეკისრებათ.

ლექსიკონი

ადმინისტრაციული სახდელი – პასუხისმგებლობის ზომა, რომელიც გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის აღსაზრდელად კანონების დაცვის, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე როგორც თვით სამართალდამრღვევის, ისე სხვა პირთა მიერ ახალი სამართალდარღვევების ჩადენის აცილების მიზნით.

ადმინისტრაციული პატიმრობა – პატიმრობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის 15 დღემდე ვადით. ადმინისტრაციულ პატიმრობას შეუფარდებს შესაბამისი რაიონის (ქალაქის) სასამართლოს მოსამართლე.

სამართლებრივ-პროცესუალური ნორმები – საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის გამოიყენება **პასუხისმგებლობის ანუ სახდელების შემდეგი სახეები:**

- გაფრთხილება;
- ჯარიმა;
- იმ საგნის სასყიდლით ჩამორთმევა, რომელიც არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღი (საშუალება);
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღის (საშუალების) საგნის კონფისკაცია, ანუ უსასყიდლოდ ჩამორთმევა;
- მოქალაქისათვის მინიჭებული სპეციალური უფლების ჩამორთმევა. მაგ: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევა;
- გამასწორებელი სამუშაოები;
- ადმინისტრაციული პატიმრობა.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ადმინისტრაციული პატიმრობა არ შეეფარდება **თვრამეტი წლის ასაკს მიუღწეველ პირს**, ასევე ორსულ ქალებს, დედებს, რომლებსაც ჰყავთ თორმეტ წლამდე ასაკის ბავშვები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს. თვრამეტი წლიდან კი პირი ჩვეულებრივად აგებს პასუხს თავისი ქმედებისათვის.

აღნიშნული კოდექსის მიხედვით არასრულწლოვნობა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას წარმოადგენს, ხოლო **არასრულწლოვნის ჩაბმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაში** – პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა.

მაგალითად, თუ დამსაქმებელი დაარღვევს საქართველოს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულ არასრულწლოვნის უფლებებს, ის დაჯარიმდება შრომის ანაზღაურების ორას მინიმალურ ოდენობამდე არასრულწლოვნის სასარგებლოდ. კერძოდ, ასეთი დარღვევებია: არასრულწლოვნის დასაქმება მძიმე ან მავნე სამუშაოზე, რომელიც ცუდად იმოქმედებს მოზარდის ჯანმრთელობასა და ფიზიკურ განვითარებაზე; ასევე, არასრულწლოვანთან ისეთი შრომითი ხელშეკრულების დადება, რომელიც გულისხმობს სათამაშო ბიზნესთან, ღამის გასართობ დაწესებულებებთან, ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქციის გავრცელებასთან, ფარმაცევტული და ტოქსიკური ნივთიერებების დამზადებასთან, გადაზიდვასთან და გაყიდვასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულებას.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის დაკავებული პირის სურვილის შემთხვევაში, მისი დაკავების ფაქტი და ადგილსამყოფელი უნდა ეცნობოს მის მიერ დასახელებულ ახლობელს, აგრეთვე მისი სამუშაო ან სასწავლო ადგილის ადმინისტრაციას. არასრულწლოვნის ადმინისტრაციული დაკავების შესახებ აუცილებლად, პირველი შესაძლებლობისთანავე ეცნობება მის მშობელს ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული იმ პირისა და დაზარალებულის ინტერესების დაცვის უფლება, რომლებიც არასრულწლოვნები არიან ან რომლებსაც ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლიათ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე თავად განახორციელონ თავიანთი უფლებები, მათ კანონიერ წარმომადგენლებს აქვთ.

თუ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე პასუხისგებაში მიცემულ ან დაზარალებულ არასრულწლოვანს თვითონ არ შეუძლია განახორციელოს თავისი უფლებები, უფლება აქვს მოითხოვოს, მისი ინტერესები დაიცვას მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა - მშობელმა, მშვილებელმა, მეურვემ ან მზრუნველმა.

როდის აგებენ პასუხს მშობლები?

არსებობს არასრულწლოვნის სამართალდარღვევის ისეთი სახეები, როდესაც არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ გადაცდომაზე პასუხს მისი მშობლებიც აგებენ. მაგალითად, თუ ისინი მოზარდს (მისი თხოვნით ან საკუთარი სურვილით) ავტომობილის მართვის ნებას რთავენ ისე,

რომ მას არა აქვს მართვის მოწმობა. ასეთ შემთხვევაში სამართალდამრღვევია არამარტო მოზარდი, არამედ ის პიროვნება, ვინც სატრანსპორტო საშუალებას გადასცემს და დაჯარიმდება 700 ლარით, ან 1000 ლარის ოდენობით, თუ შემთხვევას სატრანსპორტო საშუალების, ვინმეს ქონების ან ადამიანის დაზიანება მოჰყვა თან.

მშობლები ან მათი შემცვლელი პირები აგრეთვე შესაძლოა დაჯარიმდნენ მშობლის ან მისი შემცვლელი პირის მიერ არასრულწლოვნის აღზრდისა და სწავლების ან მის მიმართ სხვა მოვალეობათა შეუსრულებლობის გამო. ეს გამოიხატება არასრულწლოვნის აღზრდის, სწავლების, საცხოვრებლით, საკვებით და ნორმალური განვითარებისთვის საჭირო სხვა პირობებით უზრუნველყოფის მოვალეობათა ბოროტად შეუსრულებლობით, არასრულწლოვნის მიერ ნარკოტიკული ნივთიერების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებით, წვრილმანი ხულიგნობით, ხულიგნობით, ალკოჰოლიანი სასმელის მიღებით, ცივი იარაღის ტარებით, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედების ჩადენით, საგანგებო (ექსტრემალური) სამსახურების გამოძახების ერთიანი სატელეფონო ნომრის – „112“-ის – არამიზნობრივი გამოყენებით.

მშობლები და მათი შემცვლელი პირები ასევე პასუხს აგებენ 14 წლამდე არასრულწლოვნის მიერ ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინების გამოც.

არასრულწლოვანი და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ გამოძიებისათვის უფლებამოსილი პირები (გამომძიებელი და პროკურორი) გამოძიებას იწყებენ.

დაკავება არის თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა, რომელსაც სამართალდამცველები იყენებენ, როცა არსებობს საკმაო საფუძველი, ეჭვი მიიტანონ პირზე, რომ მან ჩაიდინა ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით ითვალისწინებს კანონი. დაკავების მიზანია ეჭვმიტანილის დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთა ან გაქცევის, დამალვის ან მტკიცებულებათა მოსპობის თავიდან აცილება.

დაკავებული ან მოწმე არასრულწლოვნის დაკითხვის პროცესუალური ნორმები საერთო წესისგან განსხვავდება და კონკრეტულად არის გაწერილი საქართველოს **სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.**

- არასრულწლოვანი მოწმე შეიძლება დაიკითხოს მხოლოდ იმ პირობით, თუ მას სიტყვიერად ან სხვა ფორმით საქმისათვის მნიშვნელოვანი ცნობების წარმოდგენა შეუძლია;
- არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვა მისი კანონიერი წარმომადგენლის თანდასწრებით ტარდება;
- 7 წლამდე ასაკის მოწმის დაკითხვა შეიძლება მხოლოდ მშობლის ან მისი არარსებობისას - მეურვის, სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით;
- დაკითხვის დაწყებამდე ფსიქოლოგს, კანონიერ წარმომადგენელს ან მშობელს უნდა განემარტოთ, რომ უფლება აქვთ დაესწრონ დაკითხვას, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და, გამომძიებლის ნებართვით, დასვან შეკითხვები;
- 14 წლამდე ასაკის მოწმეს განუმარტავენ მის მოვალეობას, ილაპარაკოს მხოლოდ სიმართლე, მაგრამ არ აფრთხილებენ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის ან ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ;
- არასრულწლოვანი პირობას დებს, რომ იტყვის მხოლოდ სიმართლეს და არაფერს დამალავს, რის შესახებაც ჩანაწერი სასამართლო სხდომის ოქმში კეთდება;
- 16 წლამდე ასაკის მოწმე დაკითხვის დამთავრებისთანავე სასამართლო სხდომის დარბაზიდან უნდა გაიყვანონ გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სასამართლო, მხარეთა შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით, საჭიროდ მიიჩნევს დარბაზში მის დარჩენას;
- არასრულწლოვნის დანაშაულის შესახებ საქმის განხილვისას არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმის წარმოება უნდა განახორციელონ მხოლოდ იმ მოსამართლეებმა, პროკურორებმა და გამომძიებლებმა, რომლებმაც სპეციალური მომზადება გაიარეს პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში.

ჩამოთვლილი მოთხოვნები კანონში არასრულწლოვნის ინტერესებიდან გამომდინარე შევიდა.

გაეცანით წყაროებს:

ამონარიდები „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან“

მუხლი 89. დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების დაცვის წესებისა და რეჟიმის დარღვევა

1. დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების დაცვის წესებისა და რეჟიმის დარღვევა –
   გამოიწვევს დაჯარიმებას ორმოციდან სამოცდაათ ლარამდე.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონის, სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში, –
   გამოიწვევს დაჯარიმებას სამოციდან ოთხმოცდაათ ლარამდე

მუხლი 107³. მეტროპოლიტენით სარგებლობის წესების დარღვევა

1. მეტროპოლიტენის გასასვლელ საკონტროლო პუნქტებში სუროგატების ან გადახდისუუნარო მონეტების ჩაშვება, აგრეთვე საკონტროლო პუნქტებში გასვლა ან გასვლის მცდელობა დადგენილი საფასურის გადახდის გარეშე, –
   გამოიწვევს დაჯარიმებას 15 ლარის ოდენობით.
2. მეტროპოლიტენით ადვილად აალებადი, ფეთქებადი და მომწამლავი ნივთიერებებისა და საყოფაცხოვრებო გაზის ბალონების გადატანა, –
   გამოიწვევს დაჯარიმებას 40 ლარის ოდენობით.
3. მეტროპოლიტენის სადგურის ვესტიბიულის, გადასასვლელების, ბაქნების, ვაგონის სალონის, ესკალატორის და ლიანდაგის დანაგვიანება-გაჭუჭყიანება, აგრეთვე მეტროპოლიტენის სადგურებსა და ვაგონებში თამბაქოს მოწევა, მატარებლის მოსაბრუნებელ ჩიხებში შეყოლა და მეტროპოლიტენით სარგებლობის წესების სხვა დარღვევა, –
   გამოიწვევს დაჯარიმებას 20 ლარის ოდენობით.

მუხლი 1074. მოტოციკლით, კვადროციკლით, ველოსიპედით ან სხვა, მსგავსი ტიპის მოძრავი საშუალებით თვითმმართველი ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში ან სკვერში გადაადგილებისას საქართველოს კანონმდებლობით ან/და შესაბამისი თვითმმართველი ქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი წესების დარღვევა 3 +

1. მოტოციკლით, კვადროციკლით, ველოსიპედით ან სხვა, მსგავსი ტიპის მოძრავი საშუალებით თვითმმართველი ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში ან სკვერში გადაადგილებისას საქართველოს კანონმდებლობით ან/და შესაბამისი თვითმმართველი ქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი წესების დარღვევა –
   გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 20 ლარის ოდენობით.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით წლის განმავლობაში, –
   გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ მუხლის ნორმები არ ვრცელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილი ორგანოების მიერ გამოყენებულ მოძრავ საშუალებებზე.

მუხლი 121. სატრანსპორტო საშუალების მართვა პირის მიერ, რომელსაც არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ან ეს უფლება შეჩერებული აქვს სხვა დარღვევისათვის, ანდა სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა არასრულწლოვნისათვის ან იმ პირისათვის, რომელსაც არ აქვს მართვის უფლება ან ეს უფლება შეჩერებული აქვს სხვა დარღვევისათვის

1. სატრანსპორტო საშუალების მართვა პირის მიერ, რომელსაც არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ან ეს უფლება შეჩერებული აქვს სხვა დარღვევისათვის, –
   გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის განმახორციელებელი პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.
2. სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა არასრულწლოვნისათვის (გარდა იმ პირისა, რომელსაც მინიჭებული აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება) ან იმ პირისათვის, რომელსაც არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ან ეს უფლება შეჩერებული აქვს სხვა დარღვევისათვის, –
   გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მფლობელის/მესაკუთრის დაჯარიმებას 700 ლარის ოდენობით.
3. ამ მუხლის პირველი ან/და მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, რომელსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, –
   გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.
4. ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა 1 წლის განმავლობაში –
   გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით.

შენიშვნა:

1. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისათვის პირს დაერიცხება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარისა, ხოლო 290-ე მუხლის 1 1 ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმის ან საურავის გადაუხდელობისას ჯარიმა შეიცვლება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების 6 თვით შეჩერებით.
2. ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისას, როდესაც პირს არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, იგი მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე დაიშვება დაკისრებული ჯარიმის გადახდის შემდეგ.
3. ჯარიმის გადახდა ან ჯარიმის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერებით შეცვლა არ ათავისუფლებს პირს საურავის გადახდისაგან.
4. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისათვის პირს ჩამოერთმევა იარაღის ტარების უფლება 3 წლამდე ვადით.

მუხლი 172. მშობლის ან მისი შემცვლელი პირის მიერ არასრულწლოვნის აღზრდისა და სწავლების მოვალეობათა შეუსრულებლობა

1. მშობლის ან მისი შემცვლელი პირის მიერ არასრულწლოვნის აღზრდისა და სწავლების ან მის მიმართ სხვა მოვალეობათა შეუსრულებლობა, რაც გამოიხატება არასრულწლოვნის აღზრდის, სწავლების, საცხოვრებლით, საკვებით და ნორმალური განვითარებისთვის საჭირო სხვა პირობებით უზრუნველყოფის მოვალეობათა ბოროტად შეუსრულებლობით, არასრულწლოვნის მიერ ნარკოტიკული ნივთიერების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებით, წვრილმანი ხულიგნობით, ხულიგნობით, ალკოჰოლიანი სასმელის სმით, ცივი იარაღის ტარებით, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედების ჩადენით, საგანგებო (ექსტრემალური) სამსახურების გამოძახების ერთიანი სატელეფონო ნომრის – „112“-ის – არამიზნობრივი გამოყენებით, გამოიწვევს მშობლის ან მისი შემცვლელი პირის დაჯარიმებას 100 ლარიდან 300 ლარამდე ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა 1 წლის განმავლობაში –
   გამოიწვევს მშობლის ან მისი შემცვლელი პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.
3. მშობლის ან მისი შემცვლელი პირის მიერ არასრულწლოვნის მიმართ განსაზღვრული მოვალეობის შეუსრულებლობა, რაც გამოიხატება 14 წლამდე არასრულწლოვნის მიერ ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინებით,
   გამოიწვევს მშობლის ან მისი შემცვლელი პირის დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.
4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა 1 წლის განმავლობაში
   გამოიწვევს მშობლის ან მისი შემცვლელი პირის დაჯარიმებას 2500 ლარის ოდენობით.

სიტუაცია 1 ოჯახის ტრაგედია

მაჯა 14 წლის გოგონაა. ორი წელია, რაც მამამ მანქანის მართვა ასწავლა. როცა მამა სოფრასთან ერთად ინფორმაციულ სასმელს სვამს, თავისი ჯიპის გასაღებს ქალიშვილს აძლევს, რომ მანქანით სახლამდე მიიყვანოს.

ერთ საღამოს მანქანა, რომელშიც მაჯას მთელი ოჯახი იჯდა, გოგონამ ცენტრალურ მაგისტრალზე გაიყვანა.

– მიდი, თუ გეშინია! უფრო სწრაფად იარე, ამ შუადამისას მანქანები არ შეგხვდება! – ეუბნებოდა მაჯას ნასვამი მამა. მანქანა დიდი სისწრაფით მიქროდა. მოსახვევში მოულოდნელად საცვირთო მანქანა გამოჩნდა, გოგონამ სცადა არიდება, მაგრამ მანქანა ამოტრიალდა და საცვირთო მანქანას შეეჯახა.

მაჯა და მამამისი სხეულის მძიმე დაზიანებებით საავადმყოფოში გადაიყვანეს, უჯანა საგარეჯოზე მყოფი ოჯახის წევრების სიცოცხლე კი ცრაგიჯუნად დასრულდა.

სიტუაცია 2 ბულვარზე

16 წლის ვახო და მისი ბიძაშვილი ბათუმში ისვენებენ. დილით ადრე ისინი ზღვაში ბანაობენ, შემდეგ კი ველოსიპედებს ან ჯვადროსიკლებს ქირაობენ და სეირნობენ. დღეს დილიდან ქუჩებში ბევრი დამსვენებელია, ამიტომ ბიჭებმა „ბულვარში“ გადაუხვიეს და იქ განავრძეს ჯვადროსიკლებით სათხემავლო ხიდებზე ნახტომების შესრულება.

– დადგენილი წესების დარღვევისათვის ექვი უნდა გავათორმოთ. თქვენ ჯარიმა გეკუთვნით! – შეეჩერა ისინი დაცვის სამსახურის წარმომადგენელმა და ამჯერადაც ბრალზე მიუთითა.

– არ ვიცოდით, ჩამოსულები ვართ. – უცებ მოიფიქრა ვახომ პასუხი.

– ჩვენ სხვა მხრიდან შემოვედით, იქ ასეთი ბრალ არ ყოფილა! – დაეხმარა მას ბიძაშვილი.

– ეს არათერს ცვლის! – მიუგო მათ დაცვის თანამშრომელმა.

სიტუაცია 3 გასეირნება მოტოციკლით

16 წლის ნიკამ მანქანის მართვა იცის, მაგრამ მას ჯერ მართვის მოწმობა არა აქვს და მამა სატესტთან ჯდომის უფლებას არ აძლევს. მას შემდეგ, რაც ნიკას უფროსმა ძმამ მოცოცხილი შეიძინა, ნიკამ გადაწყვიტა, თავის შესაძლებლობებში დარწმუნებულიყო. მან ფარულად ეიღო ძმის მართვის მოწმობა და მეგობრებთან ერთად მოცოცხილი ეკლოფარეხიდან გაიყვანა. როცა სიჩქარე აარიფა, სატე ვერ დაიმორჩილა და სუპერმარკეტის ვიტრინას შეეჯახა.

ნიკამ და მისმა მეგობარმა სხეულის მძიმე დაზიანება მიიღეს. ეღაზიას კი სერიოზული ზიანი მიადგა.

სიტუაცია 4 თევზაობა

დასასვენებლად სოფელში ჩასული მათე და მამამისი ნათესავებმა სათევზაოდ მიიწვიეს. მათეს ფიქრებში წანახი ჰქონდა ანჯესით თევზაობის პროცესი, მაგრამ მასპინძლებმა სხვა მეთოდი გამოიყენეს – წყალში რაღაც ნივთიერება ჩაყარეს.

– ეს თევზის საცყუარაა? – იკითხა მათეს მამამ.

–არა, ჯალამანი სწრაფია, საცყუარას სიღრმისკენ ითრევს და შეიძლება ანჯესის ძაფ გაწყვიტოს. ამ ნივთიერების ეფექტს კი ორ წუთში ნახავ – აუხსნეს მას.

მართლაც უამრავი თევზი ამოტივტივდა. მოაგროვეს და წასაღებად გაამზადეს. ყველა ჯმაყოფილი იყო, მაგრამ მოულოდნელად ფეხის ხმა შემოესმათ.

– გავიქცეთ, რეინჯერები! – დაიძახა ერთ-ერთმა მასპინძელმა და ყველა ალაგ-იქით მიიმალა, თევზი კი ადგილზე მიატოვეს. დაბნეულმა მათემ მასპინძლებს მიბაძა.

უპასუხეთ კითხვებს

1. არის თუ არა აღწერილ სიტუაციაში ჩადენილი დანაშაული? დარღვევა? რატომ ფიქრობთ ასე?
2. თუ წინა შეკითხვაზე პასუხი დადებითია, ვინ მიგაჩნიათ თითოეულ სიტუაციაში დამნაშავედ/დამრღვევად?
3. თქვენი აზრით, რამ განაპირობა თითოეულ სიტუაციაში პერსონაჟის ქმედებები?
4. კანონის რომელი მუხლით უნდა დაისაჯოს დამნაშავე/დამრღვევი?
5. თქვენ რომ სამართალდამცველი იყოთ, კიდევ ვისი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას მოითხოვდით? რატომ?
6. ხომ არ ჩაგიდენიათ ქმედება, რომელიც ახლა შეიტყვეთ, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა?

დისკუსია

როგორ უნდა იმოქმედოს ადამიანმა, რომ ადმინისტრაციული გადაცდომებისაგან დაიცვას თავი?

შეჯამება

1. **სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების ხელმყოფი ქმედება, ასევე დადგენილი წესის საწინააღმდეგო განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედება არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. მას ადმინისტრაციული გადაცდომა ეწოდება.**
2. **ადმინისტრაციული გადაცდომის ჩამდენს ეკისრება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.**
3. **ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, თუ განმეორებული არ არის, იწვევს პირის დაჯარიმებას.**

თემა III
ძალადობა

ლექსიკონი

ძალადობა – ადამიანის გაკონტროლებისა და დათრგუნვის საშუალება, რომელიც მოიცავს ემოციურ, სოციალურ, ეკონომიკურ, ფიზიკურ, სექსუალურ იძულებას, დათრგუნვას და ზიანს.

ძალადობა მოიცავს უკანონო ქმედებათა ყველა სახეს, გამოხატულს მუქარით ან ისეთი ქმედებით, რომელსაც შედეგად ქონების დაზიანება ან განადგურება, ანდა პიროვნების შეურაცხყოფა ან სიკვდილი მოჰყვება. /იურისპრუდენციაში მიღებული ზოგადი განმარტება/

ფიზიკური ძალადობა – ძალადობის ფორმა, რომელიც იწვევს ადამიანის სხეულის განადგურებას, დაზიანებას, დასახიჩრებას;

3.1. რა არის ძალადობა?

თანამედროვე საზოგადოებაში ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული და მწვავე პრობლემაა. ადამიანის ქმედება ძალადობად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ ის თრგუნავს სხვა ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის თავისუფლებას, იწვევს ღირსების, საკუთრების ან კანონით მინიჭებული სხვა უფლებების შელახვას.

ძალადობა არ არის მხოლოდ განრისხების ან იმედგაცრუების პერიოდში/მომენტში მომხდარი განყენებული ინციდენტი. ძალადობა **სისტემატურად განმეორებადი** ქმედებაა. თითოეული შემთხვევა მსხვერპლზე ძალაუფლებისა და კონტროლის განხორციელებისა და შენარჩუნებისთვის არის გამიზნული.

სისხლის სამართლის კოდექსით ასევე დანაშაულად ითვლება რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, კუთხური, ეთნიკური, სოციალური, პოლიტიკური, ენობრივი ან/და სხვა ნიშნის მქონე პირთა ჯგუფებს შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად ძალადობრივი ქმედებისაკენ ზეპირად, წერილობით ან გამოხატვის სხვა საშუალებით საჯაროდ მოწოდება, თუ ეს ქმნის ძალადობრივი ქმედების განხორციელების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს.

ძალადობა აზიანებს როგორც ზრდასრული ადამიანების, ისე ბავშვისა და მოზარდის ფსიქიკას, საფრთხეს უქმნის მათ სულიერ მდგომარეობას და ფიზიკურ განვითარებას. ხშირია შემთხვევები, მათ შორის სასწავლო დაწესებულებებში, როდესაც მოძალადედ ჯგუფი გვევლინება. მაგალითად, რამდენიმე მოზარდი ერთიანდება და უმცროსი ასაკის მოსწავლეებს ფულს სძალავს.

ნებისმიერი ფორმის ძალადობა **შეიძლება გადაიზარდოს კრიმინალში**. ძალადობა ყველა ქვეყანაში, მათ შო-

რის საქართველოშიც, კანონით **აკრძალული და დასჯადი ქმედებაა. დაზარალებულს (მსხვერპლს) აქვს უფლება, შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების მეშვეობით ყოველმხრივ იყოს დაცული.**

ძალადობა ბავშვებზე და მოზარდებზე

გაეროს გენერალური მდივნის სამსახურის კვლევის „ბავშვების მიმართ ძალადობის შესახებ“ (2006 წლის ოქტომბერი) მიხედვით ბავშვებისა და მოზარდების მიმართ ძალადობის ფაქტებს ადგილი აქვს როგორც ოჯახში, ისე სკოლასა და სხვა სასწავლო თუ სპეციალურ და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. ბავშვებზე მოძალადედ გვევლინებიან ოჯახის წევრები, მასწავლებლები, თანატოლები, სხვა ბავშვები (როგორც უფროსი, ისე უმცროსი ასაკის), ასევე მედია საშუალებები, რომლებიც ტელევიზიით ან ინტერნეტით აჩვენებენ ისეთ სიუჟეტებს, რომლითაც მოზარდებში შიშის გრძნობას და დამთრგუნველ ემოციებს იწვევენ.

ასეთი კვლევები იმ მიზნით ტარდება, რომ ძალადობის ფაქტების გამოვლენა და მათ აცილებაზე ზრუნვა შესაძლებელი გახდეს.

თუ ბავშვი ხანგრძლივად იყო ძალადობის მსხვერპლი, ზიანდება მისი ნერვული სისტემა, რაც აუარესებს მის ემოციურ მდგომარეობას, აზროვნების უნარს, ქცევას და დაავადებებს, ტრავმებს, სოციალურ პრობლემებს იწვევს.

ძალადობის სახეები

ძალადობა შეიძლება იყოს ღია ან ფარული. ღია ძალადობის მაგალითია ფიზიკური შეურაცხყოფა, ფულის წართმევა (რეკეტი), საკუთრების განზრახ დაზიანება. ფარული ძალადობაა – მუქარა, დევნა, მოტყუება, დაბრალება.

ძალადობა შეიძლება განხორციელდეს: ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ან იძულების სახით.

სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ ფსიქიკური ხელშეუხებლობაც, მისი სიმშვიდე და მყუდრო გარემოში ცხოვრების უფლება.

ფსიქოლოგიური ზეწოლა დანაშაულია, თუ ის გამოიხატება ისეთი ქმედებით, როგორიცაა, მაგალითად, მუქარა:

– სიცოცხლის ხელყოფასთან დაკავშირებით;
– ჯანმრთელობის დაზიანებასთან დაკავშირებით;
– ქონების განადგურებასთან დაკავშირებით.

მნიშვნელობა არა აქვს, რამდენად რეალურია მუქარა ვინც იმუქრება, შეიძლება სინამდვილეში არც აპირებდეს

ასევე, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას.

ფსიქოლოგიური ძალადობა – ქმედება, რომელსაც ადამიანის სულიერი ან გონებრივი მდგომარეობისა და ფსიქიკისათვის ზიანის მიყენება შეუძლია ან იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას.

სექსუალური ძალადობა – სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ.

ეკონომიკური ძალადობა – ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას.

იძულება – ადამიანის ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა.

მოძალადე – ადამიანი, რომელიც ძალადობრივ ქმედებებს ახორციელებს.

მსხვერპლი – პიროვნება, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა ან იძულება.

მის შესრულებას, მაგრამ თუ ის პირი, ვისაც ემუქრებიან, დაშინდა, მუქარის შესრულებას მოელის და განიცდის, მაშინ დანაშაული ჩადენილად ითვლება. მაგალითად, თუ ერთი მოსწავლე დაემუქრა მეორეს, რომ სკოლაში მისვლისას აუცილებლად ფიზიკურად გაუსწორდებოდა, მას კი მუქარის შესრულების რეალური შიში გაუჩნდა და სკოლაში აღარ მივიდა, ითვლება, რომ **დანაშაული ჩადენილია**. არა აქვს მნიშვნელობა დამუქრება სიტყვიერია, წერილობითი თუ ვინმეს საშუალებით გადაცემული.

დანაშაულის სუბიექტია 14 წლის ასაკს მიღწეული მუქარის ამსრულებელი ნებისმიერი შერაცხადი ფიზიკური პირი. კანონის მიხედვით ასევე ძალადობად ითვლება ნებისმიერი სახის **რასობრივი და რელიგიური დისკრიმინაცია.**

რატომ ხდებიან მოძალადეები?

თითქმის ყველა მოძალადე, ამავე დროს, მსხვერპლიც არის და თითქმის ყველა მსხვერპლი პოტენციური მოძალადეა, ვინაიდან ძალადობამ მსხვერპლში შეიძლება გამოიწვიოს როგორც დამთრგუნველი შედეგები: შიში, სირცხვილის და უსუსურობის განცდა, თვითშეფასების დაქვეითება, დეპრესია, პიროვნული ჩაკეტილობა, საზოგადოებისაგან გარიყულობის განცდა, ასევე აგრესია, განრისხება, **სამაგიეროს გადახდის ან ზიანის მიყენების სურვილი.**

ადამიანების უმრავლესობა მათზე განხორციელებული ძალადობის ფაქტს მალავს, რითაც ხელს უწყობს მოძალადეს, კვლავ გაიმეოროს ძალადობრივი ქმედება.

ძალადობისაგან დაცვა

კანონი ძალადობისაგან იცავს ყველა მოქალაქეს, განსაკუთრებით ბავშვებს. სახელმწიფო ცდილობს დანერგოს ეფექტიანი სამართლებრივი მეთოდები ძალადობის ფაქტების გამოსავლენად და აღსაკვეთად.

ნებისმიერი ფორმის ძალადობა ადამიანის უფლებებს არღვევს და კანონის მიხედვით **განზრახი დანაშაულია.** ქმედების ძალადობად კვალიფიკაციისათვის **მნიშვნელობა არა აქვს** გამომწვევ **მოტივსა და მიზანს**, ისინი მხედველობაში მიიღება მხოლოდ სასჯელის განსაზღვრის დროს.

ნებისმიერი ფორმის ძალადობა ადამიანის უფლებებს არღვევს და კანონის მიხედვით შესაძლოა განზრახ დანაშაულს წარმოადგენდეს. ქმედების ძალადობად კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს გამომწვევ მოტივსა და მიზანს, ისინი მხედველობაში მიიღება მხოლოდ სასჯელის განსაზღვრის დროს.

ძალადობის ამსრულებელი 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ისჯება.

სამართალდამცველების მიერ **სამოქალაქო-სამართლებრივი მექანიზმები** გამოიყენება ოჯახში ან სხვა ტიპის ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

ძალადობის ფორმები

ძალადობის სახე	მაგალითი
ფიზიკური ძალადობა – ქმედება, რომელიც ადამიანის სხეულის დაზიანებას იწვევს.	ადამიანის ცემა, ხელისკვრა, ხელით, ფეხით, რაიმე ნივთით, ცივი ან ცეცხლსასროლი იარაღით ზიანის მიყენება, დასახიჩრება, თმის მოქაჩვა, ყურის აწევა, ხელის კვრა, საკუთრების ხელყოფა, ან განადგურება, ტკივილის მიყენება სხვადასხვა ნივთების გამოყენებით (წამება), სახლში გამოკეტვა, ძაღლის მიქსევა და სხვა.
ფსიქოლიგიური (ემოციური) ძალადობა – ქმედება, რომელიც ემოციურად თრგუნავს, პატივს ან ღირსებას ულახავს ადამიანს.	ერთი ადამიანის მიერ მეორეს მუდმივად დამცირება, კრიტიკა, დაჩაგვრა, დაშინება, ყვირილი, სიტყვიერი შეურაცხყოფა, უგულებელყოფა, დაცინვა, გინება, აბუჩად აგდება, დაბრალება, მოტყუება, შანტაჟი, დამამცირებელი მეტსახელით მიმართვა, იძულება, შეკითხვების უპასუხოდ დატოვება, რაიმე მოქმედების შესრულების ან ახლობლებთან ურთიერთობის აკრძალვა, შეურცხმყოფელი ან მუქარის სატელეფონო შეტყობინებების და წერილების გაგზავნა, ყურადღების გამახვილება ადამიანის ფიზიკურ ან გონებრივ ნაკლზე.
სექსუალური ძალადობა – სქესობრივი კავშირი ან გარყვნილი ქმედება მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით.	სქესობრივი კავშირი იძულებით, მუქარით. სექსუალური ან გარყვნილი საუბარი, შეხება, პორნოგრაფიული ფილმების/სურათების ჩვენება, თვალთვალი.
ეკონომიკური ძალადობა – ქმედება, რომელიც იწვევს საცხოვრებელი პირობების, საკუთრებისა და შრომის უფლებების შეზღუდვას.	მუდმივად ფულის გამორთმევა, რეკეტი, საკვების, საცხოვრებელი პირობების, საკუთრებისა და შრომის უფლებების შეზღუდვა, ქონებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა, შრომის იძულება ანაზღაურების გარეშე.

სისხლის სამართლის კოდექსი

მუხლი 126. ძალადობა

1. სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

მუხლი 150. იძულება

1. ადამიანისათვის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვა, ესე იგი მისი ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისაგან თავის შეკავება მის უფლებას წარმოადგენს, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, – ისჯება გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით თვრამეტ თვემდე.

მუხლი 151. მუქარა (28.04.2006. 2937)
სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების ან/და ქონების განადგურების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ასოციდან ასოთხმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

მუხლი 142[1]. რასობრივი დისკრიმინაცია
1. რასობრივი დისკრიმინაცია, ესე იგი ქმედება, ჩადენილი ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით, აგრეთვე რასის, კანის ფერის, სოციალური კუთვნილების, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით ადამიანის უფლებების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა, ანდა იმავე ნიშნით ადამიანისათვის უპირატესობის მინიჭება, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

კითხვები და დავალებები

1. იმსჯელეთ ჯანსაღი, არაძალადობრივი, უსაფრთხო გარემოს მნიშვნელობის შესახებ:
   ა) სკოლაში;
   ბ) ოჯახში;
   გ) საზოგადოებაში.

2. რამდენად ხშირად ხდებით ძალადობის მოწმე? რომელი საერთო მახასიათებლები აქვს ამ ფაქტებს?

3. რომელი პიროვნული უნარები სჭირდება ადამიანს ძალადობისაგან თავის დასაცავად? რატომ?

4. რატომ მიმართავენ ადამიანები ძალადობას?
   – მონიშნეთ ან ჩაწერეთ ცხრილში მიზეზი, რომელიც, თქვენი აზრით, ძალადობრივ ქცევას განაპირობებს.
   – იმსჯელეთ, როგორ შეიძლება საზოგადოებამ ძალადობის პრევენცია დაიწყოს?

მიზეზი, თუ რატომ მიმართავენ ადამიანები ძალადობას	ვეთანხმები
ცდილობენ, დაამტკიცონ საკუთარი უპირატესობა	
ამ გზით საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრება სურთ	
სურთ, დაფარონ საკუთარი შიში სხვების მიმართ	
ვერ აცნობიერებენ, რომ მათი ქმედება ძალადობაა	
ფსიქიკა ტრავმირებული აქვთ - მანამდე ძალადობის მსხვერპლი თვითონ იყვნენ და ამით საკუთარი განცდების კომპენსაციას ახდენენ	
ძალადობრივ გარემოში აღიზარდა და ასეთი ქცევა ნორმალურად მიაჩნია	
ცხოვრობს გარემოში, სადაც საზოგადოებისთვის ასეთი ქცევა და ძალადობა მისაღები და ჩვეულებრივია	
სხვა ----------	

5. რატომ არ ხდება მსხვერპლის მიერ ძალადობის გამჟღავნება?

6. როგორ უნდა დააღწიოს მსხვერპლმა ძალადობას თავი?

გაეცანით ძალადობის დაფარვასთან დაკავშირებულ ქვემოთ მოყვანილ მიზეზებს. იმუშავეთ ჯგუფებში და მიეცით რეკომენდაცია მსხვერპლს, რომელსაც სხვადასხვა მიზეზის გამო ძალადობის ფაქტის გამჟღავნება უჭირს, როგორ შეუძლია დაძლიოს პრობლემა? შეადარეთ სხვადასხვა ჯგუფის რეკომენდაციები და არგუმენტები და **მათ რეალურობასა და განხორციელების შესაძლებლობაზე** იმსჯელეთ.

მსხვერპლი არ ამჟღავნებს მის მიმართ ძალადობის შესახებ, რადგან:
1. ეშინია, რომ აღიარებას უარესი ძალადობა მოჰყვება
2. მოძალადეზე ეკონომიკურად არის დამოკიდებული, უსახსროდ დარჩენა და გაჭირვება აშინებს
3. რცხვენია ძალადობის ფაქტის გახმაურება
4. მოძალადეს „ეკედლება", რადგან ფიქრობს, რომ მისი მფარველობა უარესი მოძალადისაგან დაიფარავს
5. ძალადობას შეეჩვევია. მას ყოველთვის ჩაგრავდნენ და „ნორმალურ" ქმედებად მიაჩნია
6. გაოგნებულია, არ იცის, როგორ მოიქცეს

7. ვის უნდა მიმართოს მოსწავლემ დასახმარებლად, თუ ფიქრობს, რომ მას ჩაგრავენ, აშინებენ ან აბუჩად იგდებენ:
   ა) სკოლაში უფროსკლასელები?
   ბ) ქუჩაში მეზობელი ბიჭები?
   გ) სახლში უფროსი ძმა?
   დ) მასწავლებელი?

8. როგორ უნდა მოიქცეს საზოგადოება, თუ ცნობილია (დამტკიცებულია), რომ პიროვნების მიმართ განხორციელდა ძალადობა?

9. რა უნდა გაკეთოს საზოგადოებამ არაძალადობრივი გარემოს შექმნისა და შენარჩუნებისათვის?

დავალება 1. ქვემოთ მოყვანილი სიტუაციები წაიკითხეთ ჯგუფებში და თითოეული მათგანის შემთხვევაში იმსჯელეთ:

– ადგილი აქვს თუ არა ძალადობას?
– რა სახის ძალადობაა?
– თქვენი აზრით, უნდა დაისაჯოს თუ არა მოძალადე?
– ვის უნდა მიმართოს ძალადობის მსხვერპლმა დახმარებისათვის, თუ ძალადობა ხდება:
   ა) ქუჩაში;
   ბ) სკოლაში;
   გ) სახლში;
   დ) საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას.

სიტუაციები

1. ნიკა რამდენიმე წლის განმავლობაში უვიდა ძაღლს, რომელიც მეზობელმა ბიჭმა მოკლა იმ მიზეზით, რომ მის კაცს დასდევდა.

2. ნაცოლ ოჯახი ხელმოკლედ ცხოვრობს. მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მშობლები სამზღვარგარეთ სამუშაოდ წავიდნენ. ნაცო მოხუცებულ ბებიასთან დაცოვეს. ბებიას შენია მხოლოდ მისი ჯანმრთელობისათვის საჭირო მედიკამენტებს და საჯებს ჰყოფნის, ნაცოსთვის საჭირო ჰიგიენურ საშუალებებს და ცხენსაცმელს კი ვერ სწვდება. ნაცო თავს დათრგუნულად გრძნობს.

3. უფროსკლასელი მეზობელი დავითს ყოველთვის შინაური ცხოველის ან მულტიკულტურული ოჯახის შვილობა-თის სახელით მიმართავს, რაზეც იქ მყოფი ბიჭები ქილიკობენ. ეს დავითს ძალიან აღიზიანებს და თრგუნავს.

4. ნინოს მუსიკის მასწავლებელი უყვირის და ყურს უწევს იმ მოსწავლეებს, რომლებმაც დავალება კარგად არ შეასრულეს. ამის გამო ნინომ გაკვეთილების გაცდენა დაიწყო.

5. ბიჭები ეზოში ფეხბურთს თამაშობენ და ბურთს მეზობელი შაბვას მანქანას გაუზარავს ურტყამენ. მანქანის შეფერილი ემოციური პიროვნებაა და ადვილად კარგავს წონასწორობას. ბიჭებმა იცინეს, რომ მას ამ დროს ენა ებმება და თქვეს, რომ მისი გაბრაზება „კარგი გასართობია". შაბვამ ბიჭებს რამდენჯერმე მისცა შენიშვნა, მაგრამ მათ ეს არანაკლებ ჩაცვდეს, ვინაიდან შაბვას რეაქციები ახალისებდათ. ერთხელ, ერთმა ბიჭმა მეორეს თვალით ანიშნა და მიიხუბარი შაბვას ბურთი სახლში მოარტყა. მან დარტყმას ვერ გაუძლო და ასფალტზე დაეცა. „შემთხვევით მოგვდათ" – სიცილი დააყარეს ბიჭებმა.

6. პირველი თოვლით გახარებულმა ბავშვებმა ქუჩაში გუნდაობა დაიწყეს. მოულოდნელად, ავტობუსიდან ჩამომსვლელ მგზავრს გუნდა თვალში მოხვდა და დაავნიანა.

7. ბავშვები ზურაბი სმირად თვრება. შემდეგ კი, ყველა მეზობელს უწმაწური სიტყვებით მიმართავს და ავი-ნებს. მეორე დღეს ის ამბობს, რომ არაფერი ახსოვს და ყველა მეზობელს ბოდიშს უხდის, თუ რაიმე აწყენინა.

8. ნინო თავს უგულებელყოფილად გრძნობს. მას მშობლებისაგან ყურადღება, ზრუნვა, სითბო ენატრება. ვირიქით, მას აიძულებენ სუპერმარკეტთან იმათხოვროს, შემდეგ კი, ფულს ისე ართმევენ, რომ ნაყინის ყიდვის უფლებასაც არ აძლევენ.

9. ახალ თანაკლასელ ვახტ გოგონები ინტერნეტით მუქარის წერილებს უგზავნიან.

10. ნონას სადარბაზოში სმირად დგანან უბნის ბიჭები, რომლებიც მას ყოველ გავლაზე მობილურ ტელეფონს სთხოვენ და ანგარიშის ამოწურვამდე საუბრობენ. ამის გამო, ნონა, სანამ ეზოში ჩავიდოდეს, სადარბაზოს ფრთხილად ათვალიერებს.

დისკუსია

არსებობს მოსაზრება, რომ ძალადობა იყო, არის და ყოველთვის იქნება; მისგან საზოგადოების „განკურნება“ შეუძლებელია. თქვენ რას ფიქრობთ?

შეჯამება

1. **ძალადობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ერთი ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი თავის ძალას და მდგომარეობას იყენებს იმისათვის, რომ წინასწარ განზრახვით სხვა პირს ზიანი მიაყენოს.**
2. **ნებისმიერი ფორმის ძალადობამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანის სიცოცხლეს, ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობას და კარიერას.**

გაეცანით წყაროებს:

ამონარიდები სისხლის სამართლის კოდექსიდან

მუხლი 126. ძალადობა

1. სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე ან 118-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, –
   ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი:
   ა) ორი ან მეტი პირის მიმართ;
   ბ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ;
   გ) დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით;
   დ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის ანდა დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ;
   ე) მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით;
   ვ) შეკვეთით;
   ზ) რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო;
   თ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

ი) არაერთგზის;
კ) არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ;
ლ) ჯგუფურად;
მ) იარაღის გამოყენებით, –
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

მუხლი 1421. რასობრივი დისკრიმინაცია

1. რასობრივი დისკრიმინაცია, ესე იგი ქმედება, ჩადენილი ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით, აგრეთვე რასის, კანის ფერის, ეროვნული ან ეთნიკური კუთვნილების ნიშნით ადამიანის უფლებების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა ანდა იმავე ნიშნით ადამიანისათვის უპირატესობის მინიჭება, რამაც არსებითად ხელყო მისი უფლება, –
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

მუხლი 150. იძულება

1. ადამიანისათვის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვა, ესე იგი მისი ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისაგან თავის შეკავება მის უფლებას წარმოადგენს, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება, –
ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ,–
ისჯება გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით თვრამეტ თვემდე.

მუხლი 150.1. ქორწინების იძულება

1. ქორწინების (მათ შორის, არარეგისტრირებულის) იძულება, –
ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ორასიდან ოთხას საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, –
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.

მუხლი 151. მუქარა

სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, –
ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოცდან ას ოთხმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

მუხლი 2391. ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდება

1. რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, კუთხური, ეთნიკური, სოციალური, პოლიტიკური, ენობრივი ან/და სხვა ნიშნის მქონე პირთა ჯგუფებს შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად ძალადობრივი ქმედებისაკენ ზეპირად, წერილობით ან გამოხატვის სხვა საშუალებით საჯაროდ მოწოდება, თუ ეს ქმნის ძალადობრივი ქმედების განხორციელების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს, –
ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ორასიდან ოთხას საათამდე.
2. იგივე ქმედება, რასაც მოჰყვა ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, –
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით ისჯება.

3.2. მოზარდი და ძალადობა

მოზარდებს ძალადობასთან შეხება სხვადასხვა სოციალურ გარემოში უხდებათ – ოჯახში, სკოლაში, ეზოში, ქუჩაში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. ასევე, ძალადობის შესახებ ინფორმაციას იღებენ მხატვრული თუ დოკუმენტური ფილმებით, მასმედიის საშუალებებით, განსაკუთრებით კი ინტერნეტით, რომლითაც მოზარდების ძალადობაზე ყოველდღიურად უამრავი ვიდეო მასალა ვრცელდება.

ბავშვების მიმართ ძალადობა მათი კანონმდებლობით აღიარებული და გარანტირებული **უფლებების** ხელყოფაა, შესაბამისად დასჯადია.

ძალადობა სკოლაში

სკოლაში მოზარდებს შორის ძალადობა ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა. დაძაბული ურთიერთობების ჩამოყალიბებას ხელს უწყობს მათი ასაკობრივ-ფსიქოლოგიური თავისებურებები, ცხოვრების სტილი და გატაცებები, სხვადასხვა დაჯგუფებებში გაერთიანება, საკუთარი უპირატესობის დამტკიცების სურვილი.

მოზარდების მიერ სხვადასხვა ქვეყნებში ჩადენილი ძალადობრივი ქმედებები ერთმანეთის მსგავსია და გამოხატულია ფიზიკური, ეკონომიკური, სექსუალური ან ემოციური ფორმით, რომელთაც ზოგჯერ ტრაგიკული დასასრული მოსდევს.

საზოგადოების წარმოდგენის შექმნა საგანმანათლებლო და აღმზრდელობით დაწესებულებებში არსებულ ძალადობაზე, ძირითადად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ხდება. ისინი ყურადღებას ამახვილებენ ტერორისტების მიერ სკოლასა თუ ბანაკში ატეხილ სროლასა და მასობრივ მკვლელობებზე. საბედნიეროდ, ამგვარი ტრაგიკული სიტუაციები საკმაოდ იშვიათია. უფრო ხშირია ძალადობის ე.წ. „მსუბუქი" ფორმები, რომელთაც საზოგადოება არ იცნობს. ამ ძალადობას მოზარდები, ძირითადად, სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ სკოლის ეზოებსა და მიმდებარე ტერიტორიებზე სჩადიან. ზოგჯერ ასეთ ფაქტებს სასწავლო დაწესებულებისათვის ჩვეულ მოვლენად მიიჩნევენ და შემწყნარებლურად ეკიდებიან, თუმცა ბევრი ბავშვისათვის ეს რთული და მტკივნეული თემაა. მათ თავი დაჩაგრულად მიაჩნიათ უფროსი ასაკის მოსწავლის, მასწავლებლების თუ რომელიმე დაჯგუფების მხრიდან.

ლექსიკონი

ბულინგი (ჩაგვრა) – ფიზიკური და/ან ფსიქოლოგიური ტერორი, რომელიც ხორციელდება განსაზღვრული მიზნის გარეშე.

მუქარა – (დასჯადია სსკ 151-ე მუხლით) იგი უნდა გამოიხატებოდეს სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ან ქონების განადგურების მუქარაში. მუქარა გადაიცემა სიტყვიერად, ტელეფონით, წერილით.

შანტაჟი – პირის იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს რაიმე მოქმედება მისთვის ან მისი ახლობლებისათვის სახელის გამტეხი ან სხვა საზიანო ცნობების გახმაურების მუქარით.

სკოლებში განსაკუთრებით აქტუალურია ე.წ. **ბულინგის** (bulling) მოვლენა ანუ **თანატოლებს შორის ჩაგვრა**. ბულინგს დაშინებისა და დამორჩილების მიზნით იყენებენ. ის გავრცელებულია როგორც ვაჟებში, ისე გოგონებში. ნებისმიერი ასაკის ბავშვი შეიძლება გახდეს როგორც ბულინგის მსხვერპლი, ისე მისი ინიციატორი. ბულინგს გამოხატვის სხვადასხვა ფორმა აქვს.

რა არის ბულინგი?

ბულინგად მიჩნეულია სიტყვიერი ზემოქმედებით ფსიქიკური ჯანმრთელობისათვის საზიანო მდგომარეობების პროვოცირება – დამცირება, მუქარა, დაშინება, დაბრალება, დაცინვა, იგნორირება, ინტერესების გაუთვალისწინებლობა და სხვა.

ბულინგის **მსხვერპლი** ხშირად ხდება ბავშვი, რომელიც სხვა სკოლიდან არის გადმოსული ან რაიმე ნიშნით გამორჩეულია.

ხშირია მოზარდების მიერ თანატოლების შანტაჟი და იძულება, რომ მან შეასრულოს ან არ შეასრულოს რაიმე მოქმედება. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ემუქრებიან, რომ გაახმაურებენ ცნობებს, რომლითაც სახელი გაუტყდება ან სხვაგვარი ზიანი მიადგება მას.

ბევრმა მოზარდმა არ იცის, რომ სკოლაში თანატოლებისაგან შექმნილი დისკომფორტი, ნორმალური მოვლენა არ არის და ეს ბულინგია. მან არც ის იცის, ვის შეიძლება მიმართოს დასახმარებლად.

ბულინგი ყოველთვის აგრესიულად არ ხორციელდება, მოძალადეები ზოგჯერ მიმართავენ ზემოქმედების შეფარულ ან „ხუმრობის სტილს“. მაგრამ თუ მსხვერპლი თავდაცვაზე გადადის, ბულინგს თან სდევს კონფლიქტი, ჩხუბი, შეიარაღებული ინციდენტიც კი.

ბოლო პერიოდში საქართველოში საკმაოდ გავრცელდა კიბერ ბულინგის (შანტაჟი სხვადასხვა ტექნოლოგიების საშუალებით, ღირსების შელახვა ვიდეო კადრების და სურათების გამოქვეყნებით სოციალურ ქსელებში) შემთხვევები. აღნიშნული ქმედებები ხშირ შემთხვევაში დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

მოზარდი, რომელმაც ბულინგი გამოსცადა, ცდილობს თანატოლებთან შედარებით შეუმჩნეველი იყოს, რომ აგრესიას თავი დააღწიოს. ხშირად ის შესვენებებზე საკლასო ოთახში რჩება, გაურბის საზოგადოებრივ ღონისძიებებს, თავს არიდებს ბუფეტში, სპორტულ დარბაზში თუ საპირფარეშოში შესვლას, სკოლაში წასვლისას და სკოლიდან წამოსვლისას ცდილობს მოსწავლეების დიდ ჯგუფს ამოეფაროს. ასეთი ბავშვი შეიძლება ხანგრძლივი დროის განმავლობაში განიცდიდეს მუდმივ შიშს, რაც აზიანებს მის ფსიქიკას. ამის შედეგად გულს ვეღარ უდებს სწავლას.

ფსიქიკური ტრავმა შეიძლება იმ ბავშვებმაც მიიღონ, რომლებიც ძალადობის უშუალო მსხვერპლი არ არიან, მაგრამ ბულინგის ფაქტს შეესწრნენ და ეშინიათ, რომ შემდეგში თავად არ გახდნენ მსხვერპლი.

რატომ ავლენს მოზარდი თანატოლის მიმართ აგრესიას?

მოზარდი, რომელიც მიდრეკილია ძალადობისაკენ, მუდმივად ცდილობს უფროსად და ძლიერად გამოიყურებოდეს. ის ხშირად ეუხეშება მასწავლებლებს, მშობლებს, საკუთარ დაძმას, თანატოლებს. ყოველდღიურ ურთიერთობებში თუ თამაშებში ძალისა და სისასტიკის დემონსტრირებას ახდენს. ის არასოდეს იცავს წესებს, არ აქვს დანაშაულის გრძნობა, სხვი-

სი განცდების გაგების უნარი და მუდმივად აქვს სხვებზე მბრძანებლობის სურვილი. თუმცა, ამავე დროს ეშინია, რომ თავადაც არ დაამცირონ. ამიტომ ის სულ დაძაბულია და ემოციებს ვერ მართავს, კონფლიქტის გადასაჭრელად კი ძალისმიერ გზას ირჩევს. თუ ძალადობრივი გზით წარმატებას ვერ მიაღწია, ჩაკეტილი და ნაკლებ კონტაქტური ხდება. **ასეთ მოზარდებს სხვანაირად არ შეუძლიათ თავის დამკვიდრება და თვითრეალიზება.** ვინაიდან მათმა უმეტესობამ თვითონ განიცადა ჩაგვრა, მათი საქციელი გაუწონასწორებელი და უკონტროლოა. ისინი, ძირითადად, ფიზიკურად სუსტ, შემოქმედ და მოწესრიგებულ ბავშვებს მტრობენ, რადგან თვითონ ეს თვისებები არ გააჩნიათ.

მოზარდები ხშირად უყურებენ ფილმებს ან რეპორტაჟებს ომზე, ძალადობაზე, აგრესიაზე. ეს ხელს უწყობს მათ მიერ „ძალადობრივი ქცევების დასწავლას". მათ უყალიბდებათ აზრი, რომ თვითდამკვიდრება ადვილად შეიძლება ძალისმიერი გზით, მაგრამ პირიქითაც – ისინი დაშინდებიან და მსხვერპლად ყოფნას შეეგუებიან.

როგორია გარემოს დამოკიდებულება ძალადობის მიმართ?

ძალადობისაკენ მიდრეკილ ბავშვებთან კონტაქტს თანატოლები ერიდებიან, პატივს არ სცემენ, მათი ეშინიათ. არიან ისეთი მოზარდები, რომლებიც მათთან „თავდაცვის" მიზნით მეგობრობენ, ფიქრობენ, რომ თუ მოძალადის კეთილგანწყობას მოიპოვებენ, მისი ან სხვა მოძალადის აგრესიისაგან უფრო დაცული იქნებიან.

მსოფლიოს არაერთი **სკოლა ებრძვის ბულინგს.** ადმინისტრაცია ცდილობს, შექმნას უსაფრთხო, დაცული სასწავლო გარემო, პრევენციული ღონისძიებებით შეამციროს მოზარდების აგრესია: მიმართავენ სხვადასხვა ფსიქოლოგიურ და სამართლებრივ პროგრამებს, სამართალდამცველების ჩართვას. ღონისძიებები უშედეგო იქნება, თუ ძალადობას სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი – მსხვერპლი, თვითმხილველი, თანაკლასელი, მასწავლებელი ერთობლივად არ დაუპირისპირდება. ეს პრობლემა სკოლაში არ მთავრდება: ბულინგის ინიციატორი მოსწავლეები აგრესიულობის დემონსტრირებას მოზრდილობის ასაკშიც აგრძელებენ და ხშირად კრიმინალური ცხოვრების გზას ირჩევენ.

სამართლებრივი რეგულირება

არასრულწლოვანთა ძალადობრივ ქმედებებში არის სხვადასხვა ტიპის სამართალდარღვევათა ნიშნები. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ქმედებების შესახებ რეგულაციები და პასუხისმგებლობის ზომები სხვადასხვა კანონებში, მათ შორის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებში გვხვდება.

სკოლის **შინაგანაწესები და მასწავლებლისა და მოსწავლის ეთიკის კოდექსები** განიხილავს სახდელებს, რომელიც მოსწავლის ან მასწავლებლის მხრიდან ძალადობის, ფიზიკური დასჯის და იძულების შემთხვევაში მოქმედებს.

ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციები და საკონსულტაციო ცენტრები არსებობს. თუმცა საკმაოდ იშვიათია ისეთი ადამიანი, ვინც თავის პრობლემას ამხელს და კონსულტაციისათვის ამგვარ დაწესებულებას მიმართავს. ასევე მცირეა ძალადობის იმ მსხვერპლთა ან თვითმხილველთა რაოდენობა, რომელიც დახმარებისათვის სამართალდამცველებს მიმართავს. მოსახლეობის ასეთი დამოკიდებულება ძალადობის პრევენციაზე უარყოფით გავლენას ახდენს.

გაეცანით წყაროებს:

წყარო1. „ეროვნული კვლევა საქართველოს სკოლებში ძალადობის შესახებ“

2007 წ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. გაეროს ბავშვთა ფონდი.
მიზანი: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ძალადობის ფორმებისა და გავრცელების დადგენა და, შესაბამისად, სკოლაში ძალადობის პრობლემის მასშტაბის განსაზღვრა. გამოიკითხა 1300 მოსწავლე საქართველოს 93 (თბილისის 33 და რეგიონების 60) სკოლიდან.
კვლევის ძირითადი დასკვნებია:
- სკოლის მოსწავლეთა უდიდესი ნაწილი სკოლაში თავს უსაფრთხოდ გრძნობს (77%);
- სკოლის მოსწავლეთა უდიდეს ნაწილს სკოლის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება აქვს (67%);
- სკოლის მოსწავლეთა მცირე ნაწილი აღნიშნავს, რომ გასული წლის განმავლობაში ყოფილა სკოლის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელებული ძალადობის მსხვერპლი.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ძალადობის უდიდესი ნაწილი მსუბუქ ფორმებზე მოდის. კერძოდ, მოსწავლეთა 47,1 % აცხადებს, რომ ყოფილა ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი. აქედან, ძირითადად, ფიქსირდება ძალადობის შემდეგი ფორმები: დარტყმა 20,5%; ყურის აწევა: 17,4%; თმის მოქაჩვა: 17,2%; რაიმე ტკივილის მიყენება 13.2%; თავზე ან სახეში გარტყმა: 10.3%; ხელის კვრა: 9.5%; ბასრი საგნით დაჭრა: 0.5%; რაიმე საშიშის დაძალება: 2.0%; დაბმა: 0.4%

სიტუაცია 1 შემთხვევა სკოლის ეზოში

სკოლის ეზოში ბიჭები ერთმანეთს ვენოსიპედებით ეჯიბრებოდნენ. მოულოდნელად გახანგრძლივებული ჯგუფის ადმზრდელმა ეზოში ბავშვები გამოიყვანა. ნიკამ მიმართულების შეცვლა ვერ შეძლო და პაგრარა გოგონას დაეჯახა, რომელიც წაიქცა და თავი გაიგრეხა. ბიჭი ძალიან შეწუხდა. ადმფოთებული და შემინებული ადმზრდელი ბიჭებს გაუბრაზდა: ამ ეზოში ვენოსიპედით სიარული არ შეიძლება, როგორ გაბედეთ შემოსვლა! ნიკამ მიუთითა იქვე მდგომ ლაშაზე, რომელიც შენობიდან ხმაურზე გამოვიდა, - „ის იჯდა ვენოსიპედზე“. მას მეგობრებმაც აუბეს მხარი: - რამდენჯერ გთხოვეთ, რომ სკოლის ეზოში ვენოსიპედით არ შემოხვიდე. ლაშა გაოცდა, ნიკას საქციელი მას ჯერ ხუმრობა ეგონა, შემდეგ თავის მართლება სცადა – „მე არაფერ შუაში ვარ“. მაგრამ ბიჭები ხმის ამოღების საშუალებას არ აძლევდნენ.

ადმზრდელი ლაშას ქცევამ აღაშფოთა:

– „მოინანიე მანამდე, შენ გამო ბავშვმა თავი გაიგრეხა!“ - საყვედურით მიმართა მან ბიჭს.

სიცუალეა კიდევ უფრო დაიძაბა, როცა სკოლის ექიმმა საჭირაფო საქმიანი დახმარება და დირექტორი გამოიძახა, მანდატურმა კი შემთხვევის შესახებ საპატრულო პოლიციას შეატყობინა.

ნიკას მეგობრები ლაშაზე ზეწოლას ახდენდნენ და ემუქრებოდნენ:

- თუ არ აღიარებ, მაგრად გცემთ!

ლაშას ცრემლი მოერია.

- „გაიქეცი, სანამ პატრული მოვა!“ – ურჩია მას ნიკამ...

უპასუხეთ კითხვებს
- შეაფასეთ აღწერილი სიტუაცია. არის მასში ძალადობის ნიშნები? პასუხი დაასაბუთეთ.
- თქვენ როგორ იმოქმედებდით მოცემულ შემთხვევაში:
  ა) ლაშას ადგილზე რომ ყოფილიყავით?
  ბ) ნიკას ადგილზე რომ ყოფილიყავით?
- რა უნდა გააკეთოს იქ მყოფმა საზოგადოებამ, რომ კონფლიქტი ლაშასათვის სადამსჯელო ღონისძიების შეფარდებით არ დასრულდეს?

სიტუაცია 2 რომელი სტრატეგიაა უკეთესი?

თამაზს სახეზე თანდაყოლილი დიდი ნაჭა აქვს. ამის გამო ზოგიერთი თანაკლასელი სწორად დასცინის. რამდენიმე ბიჭი კი ეოყაზე ხელს უყაყანუნებს. ბოლო დროს ასეთი ფაქტები სისტემატური გახდა.

თამაზის უფროსმა და რომ ამ ფაქტის შესახებ შეიტყო, ძმას ურჩია, არ აპატიოს ასეთ „თავხედებს“ და ყველას „პასუხი დაუბრუნოს“. თამაზი ასეც მოიქცა და თანაკლასელს ხელი გაარტყა. მისმა ქმედებამ გაოცება და სასაცილო გამოიწვია: თამაზს რამდენიმე ბიჭი შემოესია და სცემა.

ჯანის დამრიგებელი თამაზის საქციელმა გაოცა და ურჩია, რომ შემდგომში ყურადღება არ მიაქციოს თანაცოცების მსგავს გამოწვევას, ღირსეულად მოითმინოს, ვინაიდან მათ მაგე მობეზრდებათ და თავს დაანებებენ.

უფროსკლასელმა მეზობელმა კი თამაზს სხვა რჩევა მისცა: „შიში არ შეგამჩნიონ, ყველა სუსტის დაჩაგვრას ცდილობს. შეეცადე დაანახო, რომ საკუთარ თავში დარწმუნებული ხარ და ვერაფერს გაგიბედავენ. თვალი გაუსწორე მათ და წყნარად, მაგრამ დაბეჯითებით უთხარი: „აღარ გაბედო! მე არ მომწონს, როცა სახეზე მეხებიან, ყურადღება არ მიაქციო მათ რეპლიკებს და უსიცოცხლოდ გაბრუნდი. ნახავ, რომ აღარავინ შეგეხება“.

დედამ კი თამაზს ურჩია, ინციდენტისთანავე თავდაცვისა და მოძალადე თანაკლასელების დასჯის მიზნით მანდატური ან პოლიციის პატრული გამოიძახებინა და ფაქტის შესახებ ეცნობებინა.

უპასუხეთ კითხვებს

– რომელი რჩევა მიგაჩნიათ მართებულად? რატომ?
– როგორ მოიქცევით, თუ გახდებით თანაკლასელის მიმართ ძალადობის შემსწრე?

სიტუაცია 3 დათა და მისი „დამქაშები“

დათა სკოლაში ერთ-ერთი „პოპულარული“ ბიჭია, მას ყველა იცნობს, ყველა ანგარიშს უწევს. დათას ადვილად შეუძლია სხვებზე ზეგავლენის მოხდენა. ის სწორად მოსწავლეებს დასცინის. დაცინვის მიზეზი ნებისმიერი რამ შეიძლება იყოს: ვიღაც დაბალია ან მაღალი, მსუქანია ან გამხდარი, ღარიბია ან მდიდარი, წყნარია, ჭკვიანია, წითურია ან შავგრემანი, დიდი ჩანთა აქვს ან უჩანთოდ დადის და სხვა.

დათას მუდმივად თან ახლავს რამდენიმე მეგობარი. ისინი მის ქიბიკს მხარს უბამენ და ძალადობის ეფექტს აძლიერებენ. ბავშვებს დათას ჯგუფის ეშინიათ და მათთან კოცტაქტს თავს არიდებენ. გარდა ამისა, დათას მეგობრები, ე.წ. „თანაშემწეები“, უმცროსკლასელებს ბუფეტის ფულს სძალავენ – ემუქრებიან, დათას სჭირდება და თუ არ მომცემ, ხომ იცი, რაც მოგივა. ბავშვები ფულს ნებით იხდიან და ფაქტებს არ ახმაურებენ.

ბოლო დროს დათას ჯგუფმა ბავშვებს სასინდისო ძვირფასი ნივთების მოცანა მოსთხოვა. როდესაც ერთმა მე-7 კლასელმა ბიჭმა უარი უთხრა და გაბედნიერებულ, რომ ემბობელს და მასწავლებელს შეაცყობინებდა, მათ ირონიულად ჩაიცინეს: – „არ გაგიგია ეს ბრიკი, დათას ასეთი „ბიძა პატრონობს“, რომ ის ხელშეუხებელია“.

უპასუხეთ კითხვებს

– არის თუ არა სიტუაციაში ძალადობა? პასუხი დაასაბუთეთ არგუმენტებით.
– როგორ იმოქმედებდით, თქვენ რომ ამ სკოლის მოსწავლე იყოთ?
– როგორ შეაფასებთ მე-7 კლასელი ბიჭის საქციელს? თქვენ რას ურჩევდით, როგორ იმოქმედოს მსგავს შემთხვევაში?

სიტუაცია 4 ველოსიპედი

ნაძმას დიდი ხნის ოცნება აუსრულდა – მამამ ველოსიპედი შეუძინა, მაგრამ მისით სარგებლობის სამუალებას არ ეძლევა – დაინახავენ თუ არა ეზოს ბიჭები ნაძმას ველოსიპედით, გასაქანს არ აძლევენ და თითო წრის დარბყმას სთხოვენ. შემდეგ კი ისე გადადის ველოსიპედი ხელიდან ხელში, რომ ყურადღებას არავინ აქცევს მისი პატრონის პროტესტს, რომ მასაც უნდა სეირნობა. ზოგჯერ კი სახლში აკითხავენ ველოსიპედის სათხოვნელად და სახლში შეცანასაც არ ანებებენ.

უპასუხეთ კითხვებს

– არის თუ არა სიტუაციაში ძალადობის ფაქტი?

– როგორ უნდა იმოქმედოს ლაშამ?

კითხვები და დავალებები

1. მოიყვანეთ თქვენთვის ცნობილი ძალადობრივი ფაქტების მაგალითები. ჯგუფებში იმსჯელეთ, როგორ შეიძლება თითოეული მათგანის თავიდან აცილება?
2. გაეცანით წყაროს – „ეროვნული კვლევა საქართველოს სკოლებში ძალადობის შესახებ" და თქვენი სკოლის მაგალითზე შეაფასეთ, რამდენად რეალურად ასახავს დღევანდელ მდგომარეობას.
3. როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია თუ არა, არსებობდეს სკოლა ძალადობის გარეშე? რა არის საჭირო ამისათვის?
4. თქვენი აზრით, ეფექტურია თუ არა სკოლებში ბავშვების მიმართ ძალადობის პრევენციისთვის გატარებული ღონისძიებები? რატომ?
5. რა დამატებითი ღონისძიებებია შესაძლებელი სკოლებში ძალადობის პრევენციისათვის?

დავალება:

განაწილდით 2 ჯგუფად და იმუშავეთ თქვენთვის განსაზღვრული სეგმენტის მიხედვით ქვემოთ მოცემულ სქემაზე „ძალადობა მოზარდებში":

I ჯგუფი – ძალადობა სკოლაში;

II ჯგუფი – ძალადობა ქუჩაში;

თითოეულმა ჯგუფმა სამუშაოს დასრულების შემდეგ ნამუშევარი წარუდგინეთ კლასს. შეაჯამეთ:

– რა უწყობს ხელს მოზარდებში ძალადობას?

– როგორ შეიძლება ამ პრობლემის გადაჭრა?

– ვის ეკისრება პასუხისმგებლობა სკოლაში ძალადობის აღკვეთაზე? საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში?

– რამდენად რთულია საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრება ადამიანისათვის, რომელიც ძალადობის მსხვერპლია? რა შეიძლება გაკეთდეს, რომ მათ დავეხმაროთ?

– როგორ უნდა მოიქცეს ძალადობის თვითმხილველი პიროვნება?

დისკუსია

არსებობს აზრი, რომ „ძალადობა მოზარდებში ყოველთვის იყო, არის და იქნება, რომ შეუძლებელია მისი აღმოფხვრა". თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხის შესახებ?

შეჯამება

1. **ძალადობის შედეგები ხანგრძლივად რჩება და აზიანებს როგორც ცალკეულ პიროვნებებს, ისე საზოგადოებას.**
2. **სახელმწიფო და კანონი ზრუნავს, რომ მოზარდები უსაფრთხო გარემოში ცხოვრობდნენ და სწავლობდნენ.**

3.3. ოჯახში ძალადობა

რას ნიშნავს ოჯახში ძალადობა?

ოჯახი ის ბუნებრივი გარემოა, რომელშიც მისი წევრები ყველაზე უფრო დაცულად და კომფორტულად გრძნობენ თავს. თუმცა, არსებობენ ადამიანები, მათ შორის ბავშვებიც, ვისთვისაც ოჯახი უსაფრთხო ადგილი არ არის.

ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

ოჯახში ძალადობას ადგილი შეიძლება ჰქონდეს მეუღლეებს, მშობლებსა და შვილებს, დებს და ძმებს შორის. აგრეთვე, ოჯახის ხანდაზმული, უძლური, ავადმყოფი წევრების მიმართ, როცა მათზე არ ზრუნავენ, ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებენ, აბუჩად იგდებენ, დასცინიან, ჩაგრავენ ან ამცირებენ.

ოჯახური ძალადობა ყველა ადამიანისათვის ფაქიზი და ხშირად ტაბუდადებული თემაა, რადგან ის ერთმანეთთან ემოციურად დაკავშირებულ პიროვნებებს შორის ხდება. ამიტომ მასზე საუბარი უჭირთ, მსხვერპლის ან თვითმხილველის მიერ იშვიათად ხდება მისი გამჟღავნება, რაც მსხვერპლისათვის დახმარების აღმოჩენას ართულებს, მოძალადეს კი დაუსჯელობის სინდრომი უფრო ათამამებს. ეს პრობლემა საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ოჯახის თითოეულ წევრს, არამედ საზოგადოებას, ვინაიდან იმ ღირებულებების, ნორმებისა და თვისებების შეძენა, რომლებიც ადამიანს ხშირად ცხოვრების ბოლომდე მიჰყვება, სწორედ ოჯახში ხდება.

გაეროს „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“ ადამიანის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში თვითნებურ ჩარევას დაუშვებლად მიიჩნევს, მაგრამ თუ ოჯახის რომელიმე წევრის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები ირღვევა, ანუ ოჯახში ადგილი აქვს ძალადობას, სამართალდამცველები ვალდებულნი არიან ჩაერთონ

ლექსიკონი

ოჯახში ძალადობა – ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები – ყველა ის უფლება, რომელიც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით: კანონის წინაშე თანასწორობა; სიცოცხლის უფლება; თავისუფალი განვითარების უფლება; პატივისა და ღირსების ხელშეუვალობა; ადამიანის წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობის დაუშვებლობა; თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის დაუშვებლობა; სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება; საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება; განათლების მიღების უფლება და სხვა.

ოჯახური ძალადობის მსხვერპლი – ოჯახის წევრი, რომელმაც

განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა ან იძულება და რომელსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა ან/ და სასამართლო ორგანომ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელ-მა ჯგუფმა.

ბავშვზე ფიზიკური ძალადობა – ნებისმიერი ფიზიკური მოქმედება, რომელიც ტკივილს აყენებს ბავშვს და იწვევს სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებას: განსაკუთრებული დასჯის გამოყენება – წამება, ბნელ ადგილას ჩაკეტვა, ისეთი სამუშაოების შესრულების მოთხოვნა, რომელსაც ბავშვი ვერ გაუმკლავდება, იარაღით დამუქრება და სხვა.

ბავშვზე ფსიქოლოგიური ძალადობა – სიტყვიერი ან ქცევითი ზემოქმედებით ბავშვში შიშის, დამცი-რების, მარტოობისა და ფსიქიკური ჯანმრთელო-ბისათვის საზიანო სხვა მდგომარეობების პროვოცირება: მუქარა, დაშინება, დაბრალება, დაცინვა, ურთიერთობების შეზღუდვა, ინტერესების გაუთვალისწინებლობა და სხვა.

და დაიცვან დაზარალებულის ღირსება, ფიზიკური და ფსიქოლოგიური კეთილდღეობა.

ოჯახის წევრების მიმართ ძალადობა კანონით ისჯება. ოჯახში ძალადობის ფაქტს დადასტურება სჭირდება. „უხი-ლავი“ ოჯახური გარემოებები ძალადობას ნიღბავს და მის დასაბუთებას აძნელებს. სამართალდამცველებისათვის კიდევ უფრო რთულია არასრულწლოვნის მიმართ ჩა-დენილი ძალადობის დადგენა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მოძალადე მშობელია. სოციალური ქსელების საშუალებით მოზარდები უფრო თამამად ავრცელებენ ინფორმაციას მათ ოჯახებში არსებული ძალადობრივი დამოკიდებულებების შესახებ: ჩივიან აუტანელ ოჯახურ სიტუაციაზე, აქვეყნებენ ფოტოებს, რომლებზეც აშკარადაა გამოხატული ფიზიკური ძალადობის ნიშნები, ზოგიერთი მათგანი წერს, რომ სახლიდან გაქცევას ფიქრობს. მიუხედავად ამისა, პირადი კონტაქტისას იგივე მოზარდები სირცხვილის ან შიშის გამო ძალადობაზე საუბარს თავს არიდებენ. ბევრია ისეთი მოზარდიც, რომელიც მშობლების მხრიდან მკაცრ მოპყრობას და შენიშვნას განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდის და „ძალადობას“ არქმევს, თუმცა, არ არსებობს ამის საფუძველი.

კონფლიქტიდან ძალადობამდე

ოჯახური ძალადობა გახშირებული კონფლიქტებიდან იწყება. როგორც წესი, ოჯახური დაპირისპირების მიზეზებია: ოჯახის წევრებს შორის დამამცირებელი მითითებები და შენიშვნები, განსხვავებული პოზიციები და ინტერესები, ეჭვიანობა, ალკოჰოლიზმი ან ნარკომანია, აზარტული თამაშებით გატაცება, მცირე შემოსავალი და სიღარიბე, ხასიათის შეუთავსებლობა ან პიროვნული მიუღებლობა. თუ ტიპურ კონფლიქტურ სიტუაციაში ოჯახის რომელიმე წევრი პოზიციის განმტკიცებას „სწრაფად“ და „ძალისმიერი მეთოდებით“ ცდილობს, არსებობს საფრთხე, რომ კონფლიქტი ძალადობაში გადაიზარდოს. დროთა განმავლობაში ძალადობრივი ქმედებები მოძალადის ჩვევად იქცევა და ხშირად მეორდება.

ოჯახში ძალადობა მრავალჯერადი პროცესია – შედგე-ბა ძალადობის განმეორებადი ციკლისაგან. ის განპირო-ბებულია მოძალადისა და მსხვერპლის ურთიერთობის პერიოდული დაძაბვით და დამოკიდებული არ არის იმაზე, ნანობს თუ არა მოძალადე ჩადენილ ქმედებას ძალადობის ფაქტის შემდგომ.

ბავშვის ფსიქიკასა და განვითარებაზე მძიმე ზეგავლე-ნას ახდენს მშობლებს შორის სისტემატური დავა, ჩხუბი, ფიზიკური შეურაცხყოფა. ზოგჯერ შვილები მშობლების კონფლიქტში ერთვებიან და სულიერთან ერთად ძლიერ ფიზიკურ ტრავმებსაც იღებენ. მოზარდი თანდათანო-ბით აგრესიული ხდება, რაც შემდგომ უნებურად თავის და-ძმაზე, პაპა-ბებიაზე, ცხოველებზე ან თანატოლებზე გადააქვს.

ძალადობა, როგორც აღზრდის მეთოდი

ზოგიერთი მშობელი შვილის „გამოსასწორებლად“ ბავშვს ართმევს თამაშის უფლებას, უკრძალავს თანატოლებთან ურთიერთობას, აიძულებს, შეასრულოს მძიმე, ასაკისათვის შეუფერებელი სამუშაო ან ფიზიკურადაც კი სჯის. ცნობილია შემთხვევები, როცა „მოსარჯულებლად“ ბავშვს ბნელ ოთახში კეტავენ ან რამდენიმე დღის განმავლობაში საკვებს უზღუდავენ. თუ ბავშვის აღზრდის მიზნით განხორციელებული ქმედება ძალადობრივია და სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, კანონი პასუხისმგებლობას აკისრებს მშობელს.

ზოგჯერ ოჯახში ბავშვზე ფსიქოლოგიური ძალადობა გაუცნობიერებლად ხდება. მაგალითად, როცა ოჯახის წევრები ბავშვის თანდასწრებით საუბრობენ ისეთ თემაზე ან უყურებენ ფილმს, რომლისაც მას ეშინია და ითრგუნება; თუ მოზარდს მიმართავენ ბავშვობის მეტსახელით, რომელიც მას დამამცირებლად მიაჩნია და აღიზიანებს. იმ შემთხვევაში, როცა ბავშვი პროტესტს არ გამოთქვამს, მშობელს უჭირს იმის გააზრება, რომ მისი ასეთი ქმედება ძალადობაა.

რა გავლენას ახდენს არასრულწლოვანზე ოჯახში ძალადობა?

ოჯახებში, სადაც ძალადობა ურთიერთობის ჩვეული ფორმაა, ცხოვრება დაძაბულია. ოჯახის წევრები ფსიქოლოგიურად ტრავმირებულნი არიან. იკარგება ურთიერთპატივისცემა და ურთიერთგაგების სურვილი. ისინი ერთმანეთს იყენებენ, რომ აგრესიისაგან გათავისუფლდნენ. ბავშვი, რომელიც ასეთი ძალადობრივი ქმედების მოწმე ან მსხვერპლია, ითრგუნება, ხდება დეპრესიული ან აგრესიული, უჭირს თანატოლებთან ურთიერთობა, მომავლის შიში, დაქვეითებული ყურადღება და სწავლისადმი ნაკლები ინტერესი, ჯანმრთელობის ხშირი პრობლემები აქვს. ამასთან, ის თანდათან ეგუება ძალადობას და ოჯახში ძალადობრივი ურთიერთობები ნორმად მიაჩნია. ხშირად ისინი მიდრეკილი ხდებიან ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარებისაკენ, კრიმინალური საქციელისაკენ, სახლიდან გაქცევისა და საკუთარი სხეულის დაზიანებისაკენ.

შემაკავებელი ორდერი – პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის მსხვერპლის დაცვის მიზნით დროებითი შემზღუდველი ღონისძიებები მოძალადის მიმართ და რომელიც გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს.

დამცავი ორდერი – განსაზღვრავს მოძალადის მიმართ ამკრძალავი ღონისძიებების გამოყენების ადეკვატურ ფორმებს, რომელიც მიმართულია ძალადობის აღკვეთისა და მსხვერპლის დაცვისაკენ.

მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები – მოძალადისაგან მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის დაცვის ზომები; მოძალადისაგან მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის გარიდებისა და თავშესაფარში მათი მოთავსების საკითხები.

ოჯახური ძალადობის საკანონმდებლო რეგულირება

ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის სახელმწიფო იყენებს სისხლისსამართლებრივ, სამოქალაქო სამართლებრივ და ადმინისტრაციულ სამართლებრივ მექანიზმებს.

თუ ძალადობის მსხვერპლმა, მოწმემ ან სხვა დაინტერესებულმა პირმა ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ სამართალდამცავ ორგანოებს მიმართა, პოლიცია ვალდებულია, დაუყოვნებლივ გამოცხადდეს ძალადობის ადგილზე და რეაგირება მოახდინოს.

ოჯახში ძალადობის სამართლებრივი რეგულირება „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონით“ ხორციელდება. თუ ოჯახური ძალადობის ფაქტი დანაშაულის ელემენტებს არ შეიცავს, ის ადმინისტრაციული სასამართლოს განსასჯელ საქმეებს მიეკუთვნება, თუმცა შეიძლება თან სდევდეს დარღვევები, რომელიც სამოქალაქო სამართლებრივი მექანიზმების ჩართვას საჭიროებს, მაგალითად, თუ ძალადობა გამოიხატა ქონების დაზიანებით ან ზარალის მიყენებით და სხვა.

კანონი არეგულირებს საკითხებს, რომელიც მოძალადისგან არასრულწლოვანი მსხვერპლის დაცვას და უსაფრთხოებას ეხება. შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადა არ აღემატება 1 თვეს, ხოლო დამცავი ორდერის – 6 თვეს.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მინიჭება, ასევე სამართალწარმოება, დაუყოვნებლივ ხდება.

დამცავ და შემაკავებელ ორდერებში გათვალისწინებულია:

- ✓ არასრულწლოვნის დაცვის, მოძალადისაგან განცალკევების და მასთან შეხვედრის საკითხები;
- ✓ იმ სასწავლებელთან და ადგილებთან მიახლოების საკითხები, სადაც შეიძლება არასრულწლოვანი იმყოფებოდეს;
- ✓ საჭიროების შემთხვევაში მოძალადე მშობლისათვის ჩამორთმევა (თუ ასეთი აქვს) კუთვნილი იარაღის ან დროებით სარეაბილიტაციო ცენტრში მოთავსება;
- ✓ ორდერში არის გაფრთხილება იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც დადგება, თუ მოძალადე ორდერით გათვალისწინებულ ვალდებულებებს არ შეასრულებს.

იმისათვის, რომ 14 წლამდე მოზარდმა მშობლის თანხმობის გარეშე თავშესაფარი მოითხოვოს, აუცილებელია, არსებობდეს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ბავშვზე პასუხისმგებელი პირი არ ასრულებს თავის მოვალეობას და ბავშვის უფლებას ზღუდავს, მასთან ბავშვის დარჩენა არასრულწლოვნის კეთილდღეობასა და ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს.

თუ მსხვერპლი 14 წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვანია და საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ვერ ხერხდება პოლიციელის მიერ შემაკავებელი ორდერის გაცემა, პოლიციელი ვალდებულია არასრულწლოვანს განუმარტოს, რომ „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის თანახმად, უფლება აქვს, თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად სასამართლოს მიმართოს. მან დეტალური ინფორმაცია უნდა მიაწოდოს დაზარალებულს, თუ როგორ მიმართოს სასამართლოს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს საპროცესო წარმომადგენელს და განიხილავს საქმეს.

კანონის მოთხოვნით ოჯახის წევრებისა და არასრულწლოვნისთვის ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება კონფიდენციალობის დაცვით უნდა განხორციელდეს.

პირის მიერ სასამართლოს გამოცემული დამცავი ან შემაკავებელი ორდერის პირობების დარღვევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იწვევს პასუხისმგებლობას.

გაეცანით წყაროებს:

ამონარიდები კანონიდან „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“

მუხლი 6. ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმები

1. ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმები გულისხმობს იმ სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და სხვა ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია ოჯახში ძალადობის მიზეზებისა და წინაპირობების თავიდან აცილებისაკენ, ოჯახში ძალადობის ფაქტების აღკვეთის, მოძალადის სამართლებრივი დევნისა და მსხვერპლისა და მოძალადის რეაბილიტაციისა და ადაპტაციისაკენ.
2. სახელმწიფო თავისი უფლებამოსილი ორგანოების მეშვეობით ხელს უწყობს და უზრუნველყოფს ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმების დანერგვასა და განხორციელებას.
3. ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმები გულისხმობს:

   ა) იმ ფაქტორების ანალიზს, შესწავლასა და შეფასებას, რომლებიც ოჯახში ძალადობის მიზეზებია;

   ბ) ეფექტიანი სამართლებრივი მეთოდების დანერგვას ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოსავლენად და აღსაკვეთად;

   გ) შესაბამისი სტატისტიკის წარმოებას;

   დ) პრევენციული ღონისძიებების გატარებას იმ პირების მიმართ, რომლებიც ოჯახში ძალადობის ჩადენის რისკ-ჯგუფებს განეკუთვნებიან ან რომელთაც ოჯახში ჩადენილი აქვთ ძალადობა;

   ე) სათანადო საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის წარმართვას, რათა ადამიანები ფლობდნენ ინფორმაციას თავიანთი უფლებებისა და ვალდებულებების, ასევე დაცვის გარანტიების თაობაზე, მათ შორის, იმ უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფს ოჯახის წევრთა თანასწორობასა და ურთიერთვალდებულებებს;

   ვ) ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მოძალადის პასუხისმგებლობის, მსხვერპლის უფლებებისა და ამ უფლებების დაცვის გარანტიების შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და ხელმისაწვდომობას;

   ზ) ოჯახში ძალადობის ფაქტების შემთხვევაში მსხვერპლთათვის დახმარებისა და დაცვის, ხოლო მოძალადეთათვის – სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელებას;

   თ) ოჯახში ძალადობის პრევენციის უზრუნველსაყოფად დაინტერესებულ ინსტიტუტებთან ერთად ერთობლივი პროგრამების შექმნასა და მხარდაჭერას.

მუხლი 14. არასრულწლოვნის განცალკევება მოძალადე მშობლისაგან/მშობლებისაგან

1. ოჯახში ძალადობის ფორმების არსებობისას ამ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებული პირის მიერ დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის შემთხვევაში სასამართლო განიხილავს არასრულწლოვანთან მოძალადე მშობლის/მშობლების ურთიერთობის საკითხს. არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის კვალის არსებობისას სასამართლოს წინაშე შეიძლება დაისვას დროებითი ღონისძიების სახით მოძალადე მშობლისაგან/მშობლებისაგან არასრულწლოვნის განცალკევების საკითხი სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

2. არასრულწლოვნის წარმომადგენლის უფლების საკითხის განხილვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოება, რომ მოძალადე მშობლისათვის წარმომადგენლის უფლების დატოვება საზიანოა არასრულწლოვნის ინტერესებისათვის. დაუშვებელია მშობლებისათვის არასრულწლოვანზე ერთობლივი მეურვეობის დატოვება, თუ არსებობს მის მიმართ ერთ-ერთი მშობლის მხრიდან ძალადობის საფუძვლიანი ვარაუდი.
3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში არასრულწლოვანს 14 წლის ასაკიდან უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. ამ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს საპროცესო წარმომადგენელს და განიხილავს საქმეს. არასრულწლოვან მოსარჩელეს უფლება აქვს, არ დაეთანხმოს თავის საპროცესო წარმომადგენელს და თვითონ დაიცვას თავი. სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეში ჩააბას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

არსებობს ოცდაოთხსაათიანი ცხელი ხაზი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად 2 309 903
ბავშვზე ზრუნვის სამმართველო: www.ssa.gov.ge

სიტუაცია 1 ძმები

სანდრო და ვანო ძმები არიან. ვანო ფიზიკურად სუსტია და ძალა მის გამოწრთობას ცდილობს, ამიტომ ბიჭებს ხშირად ახსუბებს ერთმანეთთან.

– მიდი, მაგრად დაარტყი . . . უფრო ძლიერად! ნუ გენანება! – აქეზებს ის ვანოს. ამასთან, ძმის მოგრიებას უკრძალავს სანდროს.

სანდრო სკოლაში ხშირად თვალდაღურჯებული, დაჯახრული მიდის. მას თანაკლასელები დასცინიან: ვანომ როგორ გცემეთ?! ვანოც გათამამდა და სკოლაში, სხვების დასანახად, უფროს ძმას ურტყამს და თავს იწონებს.

სანდრო განიცდის, მეგობრების რცხვენია. ამასთან, ბოლო დროს თავს ცუდად გრძნობს, მუცელი სტკივა, ხშირად თავბრუ ესხმის.

მან გულისტკივილი ძალას გაუზიარა, ის კი გაუწყრა – ძმა არ გიყვარს და იმიტომ წუწუნებო.

სიტუაცია 2 დაკარგული „ვარცხნილობა"

გურამის ძალა ბოლო დროს შვილს სყვედურობს, რომ ის თვინიერი, დამჯერი და ბეჯითი ბიჭი აღარ არის და უცნაურ ვარცხნილობას აყვარებს. ძალა შვილისგან მოითხოვს, რომ გრძელი თმა შეიჭრას. მას სურს, რომ გურამმა „ჯაცური" ვარცხნილობით იაროს, თუმცა იცის, რომ ბიჭი წარმატებული მოცეკვავეა და გრძელი თმის ყარება ანსამბლში ცეკვის ერთ-ერთი პირობაა.

ერთხელაც ნასვამმა ძალამ გურამის მორჯულება გადაწყვიტა და მძინარე შვილს თმები შეაჭრა. გურამმა დიდით სარკეში რომ ჩაიხედა აღმოფოთებული სახლიდან გავარდა და სარდაფში ჩაიკეტა. მას მშობლების დანახვა აღარ სურდა.

სიტუაცია 3 ეზოს ბინადარი

ვათა ცხრა წლისაა. მამა მას ადრე გარდაეცვალა. მამინაცვალს ვათას მიმართა ავრესია აქვს და სამსახურიდან დაბრუნებული სწორედ ეჩხუბება მეუღლეს: „მომაშორე ეს ბავშვი, ჩემმა თვალებმა არ დაინახოს“. დედა ვათას ეზოში უშვებს.

გვიან საღამოს, როცა ეზოში უკვე აღარავინაა, მეზობლები სწორედ ხედავენ, როგორ ზის ვათა მარცხენა-მარცხო წვიმაში, ქარსა თუ თოვლში. ზოგჯერ რომელიმეს შეეცოდება და თავის სახლში შეჰყავს. მამინაცვლის დაძინების შემდეგ დედა ვათას ეძებს და სახლში მიჰყავს, მეორე დღეს კი, დილაადრიანად აღვიძებს და მამინაცვლის ადგომამდე სოფელში უშვებს.

სიტუაცია 4 ძალადობის ჯაჭვი

სამი შვილის დედა ნათია ჯ. მისი მეუღლის, მაღალჩინოსანი ნ. ჯ.-სგან მუდმივ ძალადობას განიცდიდა. სწორედ სამსახურიდან სახლში დაბრუნებული მეუღლე მას უმიზეზოდ, ან ბავშვების ცელქობით გაღიზიანებული სცემდა და შვილებთან ერთად ქუჩაში აგდებდა. მეუღლის თანამდებობის გამო ნათია ვერ ბედავდა სამართალდამცველებისთვის მიემართა, ამიტომ რამდენჯერ ხნით მეუღლეს გარიდა და ბავშვებთან ერთად ძალადობის მსხვერპლთა დროებითი განთავსების ცენტრში გადავიდა, მაგრამ შემდეგ მეუღლის თხოვნით სახლში დაბრუნდა.

ერთ საღამოს ძალადობა განმეორდა. ნ. ჯ.-მ მეუღლე ქუჩაში გაგდო. ბავშვებს მამასთან დარჩენის შეეშინდათ და ცბიერდნენ. ნათია ცდილობდა, სახლში შეეღწია და შვილები დაეძებინა, მაგრამ მეუღლემ მას მუცელში ფეხი ჩაარტყა, ქუჩაში გაგდო და ჯარი მიუხურა. ნაცემმა ქალმა დახმარებისათვის თავის მამას მიმართა, რომელიც, მსგავსი შემთხვევებით შეწუხებული, სიძის სახლში მივიდა და ბავშვების გამოშვება სთხოვა. ნათიას მამამ სიძესთან შელაპარაკების შემდეგ მას ცეცხლსასროელი იარაღი წაართვა და ესროლა. ინციდენტი იმ ბავშვების თვალწინ მოხდა, ვის დახმარებასაც ნათიას მამა ცდილობდა.

კითხვები და დავალებები

1. როგორ გესმით კონსტიტუციური უფლებების და თავისუფლებების შეზღუდვა? რა ფორმით შეიძლება გამოიხატოს ის?
2. ჯგუფებში განიხილეთ ზემოთ მოყვანილი სიტუაციები და უპასუხეთ კითხვებს:
   – არის თუ არა აღწერილ სიტუაციაში ოჯახური ძალადობის ნიშნები?
   – ვინ არის მოძალადე? ვინ არის მსხვერპლი?
   – როგორ შეიძლება ასეთ ოჯახებში ძალადობის აღკვეთა?
3. გაეცანით „წყაროებს“ და უპასუხეთ კითხვებს:
   ზემოთ მოყვანილი რომელი სიტუაციის შემთხვევაში მიგაჩნიათ მართებულად:
   – მსხვერპლის განცალკევება ოჯახისაგან? რატომ?
   – ოჯახში ძალადობის ფაქტების აღკვეთა სამართალდამცველების მიერ?
   – მოძალადის სამართლებრივი დევნის თუ რეაბილიტაციის დაწყება?
   – მსხვერპლის რეაბილიტაციის დაწყება?
   საკუთარი მოსაზრება არგუმენტებით დაადასტურეთ.
4. როგორ შეუძლია საზოგადოებას, სკოლას, თანატოლებს, დაეხმაროს მოზარდს, რომელიც ოჯახური ძალადობის მსხვერპლია?
5. საჭიროდ მიგაჩნიათ თუ არა ოჯახური ძალადობის ფაქტის შემთხვევაში მეზობლების ჩარევა? სამართალდამცველების ჩარევა? პასუხი დაასაბუთეთ.

დისკუსია

დავუშვათ, მასწავლებლებსა და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს უტყუარი მტკიცებულება აქვთ, რომ ერთ-ერთი მოსწავლე ძალადობის მსხვერპლია. როგორ ფიქრობთ, უნდა მოახდინონ თუ არა მათ სათანადო რეაგირება?

– თუ ეთანხმებით, ახსენით რა ფორმით უნდა მოხდეს რეაგირება?

– თუ არ ეთანხმებით, მოიყვანეთ არგუმენტები ასეთი ჩარევის რისკებთან დაკავშირებით.

შეჯამება

1. **ოჯახური ძალადობა სერიოზული პრობლემაა. ზიანდება არა მხოლოდ კონფლიქტში მონაწილე პირების, არამედ ოჯახის სხვა წევრების ჯანმრთელობაც, განსაკუთრებით კი, მოზარდის ფსიქიკა.**
2. **მოზარდს ოჯახში ნასწავლი ძალადობა ხშირად ქუჩაში გადააქვს და კონფლიქტების მოგვარებას ძალადობრივი მეთოდებით ცდილობს – დანაშაულს სჩადის.**
3. **ბავშვების მიმართ ძალადობის დაძლევა შესაძლებელია, თუ საზოგადოება მოინდომებს და ძალისხმევას არ დაიშურებს.**

თემა IV
მავნე ჩვევები

4.1. მავნე ჩვევები და მათი სახიფათო შედეგები

რას შეიძლება ვუწოდოთ მავნე ჩვევა?

„მავნე ჩვევები“ არის ადამიანის ისეთი ქმედებები, რომლებიც მიუღებელია საზოგადოებისათვის, ვინაიდან ზიანის მომტანია როგორც თვით მავნე ჩვევის მქონე ადამიანისათვის, ისე მის გარშემო მყოფთათვის.

მავნე ჩვევა მრავალჯერ განმეორებადი ქმედებაა, ვინაიდან მათი გავლენის ქვეშ მოქცეული ადამიანი სუსტი ნებისყოფის გამო ვეღარ ახერხებს მათზე უარის თქმას.

დროთა განმავლობაში ასეთი ჩვევის ნეგატიური შედეგები მძაფრად აისახება როგორც საზოგადოებაზე, ისე თავად ამ ქმედების შემსრულებელ პირზე.

ზოგიერთ მავნე ჩვევას მედიცინა დაავადებად (პათოლოგიურ დამოკიდებულებად) მიიჩნევს. მაგრამ არსებობს ისეთი მავნე ჩვევებიც, რომლებიც ჩამოყალიბებული ქცევითი დარღვევებია და არა დაავადებები.

მავნე ჩვევებად განიხილავენ:
- ალკოჰოლიზმს;
- ნარკომანიას;
- თამბაქოს წევას;
- აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას;
- უცენზურო სიტყვებით საუბარს;
- ტოქსიკომანიას;
- ინტერნეტდამოკიდებულებას;
- კომპიუტერულ თამაშებზე დამოკიდებულებას;
- და სხვა.

გარდატეხის ასაკისათვის დამახასიათებელი ემოციური პრობლემები და თავისებურებები მავნე ჩვევებს მიმზიდ-

ლექსიკონი

ჯანმრთელობა – სრული ფიზიკური, გონებრივი და სოციალური კეთილდღეობა და არა მხოლოდ დაავადების ან უძლურების არარსებობა, არამედ სოციალურად და ეკონომიკურად პროდუქტიული „ცხოვრებისუნარიანობა“ (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია – ჯანმო).

მავნე ჩვევა – ქმედება, რომელიც მრავალჯერ ავტომატურად მეორდება და რომელსაც თან სდევს ნეგატიური შედეგები როგორც საზოგადოებისთვის, ისე თავად შემსრულებლისთვის.

ნარკოტიკის მომხმარებელი – ადამიანი, რომელიც ნარკოტიკულ საშუალებას მოიხმარს არასამედიცინო დანიშნულებით, ვინაიდან მისდამი ჩამოყალიბებული დამოკიდებულება აქვს.

ნარკოტიკული დანაშაული – პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება; ასევე, ნარკოტიკული საშუალების წარმოება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება; ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება; ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის ბინის ან სხვა სადგომის დათმობა; ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე დაყოლიება.

ნიკოტინი – შხამი, რომელსაც თამბაქო შეიცავს.

ალკოჰოლიზმი – მაგარი სასმელების ხშირი სმა; ლოთობა.

ალკოჰოლიკი (ლოთი) – პირი, რომელსაც არ შეუძლია სმას თავი დაანებოს და სმა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მისი ცხოვრების წესზე.

მოთამაშე – პირი, რომელიც თამაშობაში მონაწილეობს მოგების მიღების მიზნით.

სამორინე – სპეციალური სათამაშო დაწესებულება,

ველს ხდის მოზარდებისთვის, რადგან მიაჩნიათ, რომ მათი საშუალებით „მშვიდდებიან“, პრობლემებს „აგვარებენ“.

არსებობს ე.წ. **„უვნებელი“ მავნე ჩვევები**, მაგალითად, კალმის ღრღნა, უცენზურო სიტყვებით საუბარი, ფრჩხილების კვნეტა და მსგავსი, რომლებიც, რა თქმა უნდა, მავნეა ადამიანისათვის, მაგრამ ნაკლებად საშიშია საზოგადოებისათვის და არ ახლავს რისკი, გადაიზარდოს „დანაშაულში“. ზოგიერთი მავნე ჩვევა იწვევს არა მხოლოდ პიროვნების **დეგრადაციას და მძიმე დაავადებებს**, არამედ გამოუსწორებელი შეცდომებისა და **დანაშაულის ჩადენისაკენ უბიძგებს. მათი ზეგავლენით ადამიანი საფრთხეს უქმნის როგორც საკუთარ თავს, ასევე საზოგადოებას.**

როდესაც რაიმე **ქცევაზე ან ნივთიერებაზე მიჩვევა** იმდენად მნიშვნელოვანი ხდება, რომ გადაფარავს ადამიანის ყველა სხვა სურვილს, ინტერესსა თუ ღირებულებას, ამბობენ, რომ პიროვნება **დამოკიდებულებულია ამ ქცევაზე ან ნივთიერებაზე.**

არაერთი მოზარდი ექცევა მავნე ზეგავლენის ქვეშ და იძენს ისეთ მავნე ჩვევებს, როგორიცაა: ჭარბი ალკოჰოლის სისტემატური მიღება, სიგარეტის მოწევა თუ ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება, აზარტული თამაშებით გატაცება. ყოველივე ეს ხშირად სავალალო შედეგით მთავრდება. მით უფრო, რომ ამ ჩვევების „თანამგზავრი“ ხდება კონფლიქტები, ძალადობა, ცივი იარაღის ტარება-მოხმარება, გამოძალვა და ა.შ.

ალკოჰოლიზმი

ალკოჰოლიზმი ფართოდ გავრცელებული მავნე ჩვევაა და ნიშნავს მაგარი (ალკოჰოლიანი) სასმელების ხშირად დალევას, ლოთობას. განურჩევლად ასაკისა და სქესისა, ადამიანს უჩნდება ალკოჰოლური **სასმელებისადმი უმართავი ლტოლვა.** მიუხედავად ჯანმრთელობის, გარეგნობის თუ ურთიერთობების მხრივ აშკარად გამოხატული ნეგატიური შედეგებისა, ადამიანი ვერ ახერხებს სასმელზე უარის თქმას. ეს ჩვევა დროთა განმავლობაში სერიოზულ დაავადებად ყალიბდება. ალკოჰოლის გამო შეურაცხად მდგომარეობაში მყოფი ადამიანის აგრესიის გამოვლინება, ძალადობრივი თუ ხულიგნური ქმედებები ოჯახის წევრებსაც და საზოგადოებასაც აზარალებს.

ჩვენი კულტურისათვის ალკოჰოლი დღესასწაულებისა და ცერემონიების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. მოზარდები ცდილობენ, მიბაძონ უფროსებს, არასრულწლოვნების მეგობრული შეკრებების თუ დღესასწაულების

ნაწილი მუსიკასა და ცეკვასთან ერთად ალკოჰოლიც არის. ზოგჯერ ეს მშობლების ხელშეწყობითაც ხდება, მიუხედავად იმისა, რომ კანონით დასჯადი ქმედებაა.

ნარკომანია

ნარკოტიკი ბერძნული სიტყვაა (ნარკოტიკოს) და გამაბრუებელს ნიშნავს. ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენების შედეგად სწრაფად ყალიბდება ძლიერი ფსიქოლოგიური და ფიზიკური დამოკიდებულება, რომელსაც ადამიანი ინტელექტის, სხეულისა და მორალურ განადგურებამდე მიჰყავს. ფსიქიკური დამოკიდებულება გამოიხატება ნარკოტიკზე გამუდმებული ფიქრით, ნარკოტიკის უქონლობის დროს დაუკმაყოფილებლობის გრძნობით და მისი მიღების შემდეგ განწყობის გაუმჯობესებით. ფიზიკური ლტოლვა კი გამოიხატება ნარკოტიკის მიღების დაუძლეველი სწრაფვით.

ნარკოტიკების ინექციური მოხმარება არის უკურნებელი ინფექციური დაავადებების – შიდსისა და ჰეპატიტების გავრცელების მთავარი მიზეზი. ხანგრძლივი მოხმარების შედეგად ვიღებთ **მორალურ-ზნეობრივი ნორმებისგან გადახრილ ქცევას, აგრესიას, „წამლის გამო ჩადენილ დანაშაულს“**, რომელიც ზოგჯერ ძალიან მძიმე ან ამორალურია.

სტატისტიკის მიხედვით, იმ ახალგაზრდების დიდი ნაწილი, რომლებიც თავისულების აღკვეთის დაწესებულებებში არიან, ნარკოტიკების არაკანონიერი დამზადების, შეძენის, შენახვის, გადატანის გამო იხდიან სასჯელს.

მათ თავიდან ნარკოტიკი ინტერესის გამო მიიღეს, რადგან შეცდომაში შეიყვანეს და ნარკოტიკული თრობის ეფექტი შთამბეჭდავად დაუხატეს.

ყველა დამწყებს ჰგონია, რომ ნარკოტიკს არ მიეჩვევა – უბრალოდ გასინჯავს, „გემოს გაუგებს“, გაერთობა და როგორც კი მოისურვებს, გადააგდებს, მაგრამ შემდეგ თავის დანებება აღარ შეუძლიათ.

მიჩვევა პირველივე გასინჯვისას არ იწყება.

ნარკოტიკული საშუალებების თავდაპირველად მოხმარება მოტივირებული არ არის ნარკოტიკის მოთხოვნილებით–მომხმარებელიინტერესსიკმაყოფილებს ან ვინმეს წინაშე „თავს იწონებს“. მეორე-მესამე მოხმარების შემდეგ ყალიბდება ფსიქოლოგიური დამოკიდებულება – იმავე გარემოში მოხვედრისას პიროვნებას უჩნდება ნარკოტიკის მიღების სურვილი, გამუდმებით ფიქრობს ნარკოტიკზე.შემდეგ ეტაპზე კი, ფიზიკური დამოკიდებულებაც უყალიბდება მას და ნარკოტიკის მიღების

სადაც სათამაშო ბორბლის (რულეტის), ბანქოს, სათამაშო მაგიდების, კამათლების, სათამაშო აპარატებისა და სხვა ინვენტარის საშუალებით ხორციელდება ფულადი მოგების გათამაშება.

სათამაშო დარბაზი – სამორინეში თამაშობების ჩასატარებელი სპეციალური ადგილი, სადაც უზრუნველყოფილია მოთამაშეთა უსაფრთხოება და დაცულია საზოგადოებრივი წესრიგი და რომელიც სანიტარიულ, ჰიგიენურ და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმებს აკმაყოფილებს.

სათამაშო აპარატი – მექანიკური ან ელექტრონული მექანიზმი, რომელიც მოქმედებაში მოჰყავთ მონეტებით, ჟეტონებით ან სხვა საშუალებით და მოგება განისაზღვრება ციფრების, სიმბოლოების ან მათი კომბინაციის მთლიანი ან ნაწილობრივი დამთხვევით.

სათამაშო აპარატების სალონი – სპეციალური სათამაშო ადგილი, სადაც განთავსებულია სათამაშო აპარატები.

ლატარია – ნებაყოფლობითი ჯგუფური ან მასობრივი თამაშობა, რომლის დროსაც ლატარიის ორგანიზატორი საჯაროდ გამოქვეყნებული,

დადგენილი წესისა და პირობების დაცვით ათამაშებს საპრიზო ფონდს. მოგების დამთხვევა ლატარიის რომელიმე ბილეთზე დამოკიდებული არ არის ლატარიის ორგანიზატორის ან სხვა სუბიექტის ნება-სურვილსა და მოქმედებაზე, წარმოადგენს შემთხვევითობას და არ შეიძლება იყოს სპეციალურად მოწყობილი. მომგებიანი თამაშობები: ლოტო, ბინგო, ტოტალიზატორი.

წამახალისებელი გათამაშება – თამაშობა, რომელიც ტარდება კონკრეტული სახის პროდუქციის (მომსახურების) სწრაფად და ეფექტიანად რეალიზების მიზნით; წამახალისებელი გათამაშების ბილეთი გაიცემა უფასოდ.

დაუძლეველი სწრაფვა ეწყება, „ნარკოტიკული შიმშილით იტანჯება“, რომლის დასაკმაყოფილებლად მზად არის, ნებისმიერი ქიმიურად აქტიური ნივთიერება მიიღოს. მის მოსაპოვებლად არც დანაშაულის ჩადენას ერიდება, შეურაცხადი და დაუნდობელი ხდება. მომხმარებელს ნარკოტიკის მოსაპოვებლად შეუძლია, უკანასკნელი ლუკმა გამოაცალოს საკუთარ ოჯახს, გაიმეტოს უახლოესი ადამიანი. ამის გამო ბევრი ნარკომანი კარგავს ოჯახს და სამსახურს, ხდება დამნაშავე, მაწანწალა.

მსგავსად სხვა განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნებისა, საქართველოშიც მრავალი ადამიანი ხდება ნარკოტიკების მსხვერპლი, მათ შორის არიან მოზარდებიც. მათი გზა ერთნაირად დამღუპველია:

26 ივნისი საქართველოში ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღედ არის გამოცხადებული.

მოწევა

მოწევა არის მცენარეული ნედლეულის დაწვის შედეგად წარმოქმნილი კვამლის შესუნთქვა. ამ დროს ნედლეულში არსებული აქტიური ნივთიერებები ფილტვებისა და სასუნთქი გზების მეშვეობით ორგანიზმში ხვდება და ადამიანს მსუბუქად აბრუებს, სინამდვილეში კი მას სასიკვდილოდ აავადებს. არასრულწლოვნები ყველაზე ხშირად თამბაქოს ეწევიან. შედარებით ნაკლებად გავრცელებულია მარიხუანას, ჰაშიშის, ოპიუმის მოწევა. ერთი მწეველი სხვა უამრავ მცირეწლოვანს „ითრევს“ და ამ „თვითმკვლელ“ საქმიანობას აჩვევს.



ტოქსიკომანია

ტოქსიკომანია მოზარდებში საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა. ტოქსიკომანები ზოგიერთი მომწამვლელი ნივთიერების, საყოფაცხოვრებო-ქიმიური საშუალების შესუნთქვის გზით ცდილობენ ეიფორიის განცდას. ასევე ავადმყოფურ ლტოლვას ამჟღავნებენ ფსიქოტროპული, საძილე და დამამშვიდებელი პრეპარატების მიმართაც. შესასუნთქად უფრო ხშირად აიროვან ნივთიერებას – ბენზინის ორთქლს, ზოგიერთი სახის წებოს, ქიმიურ გამხსნელებს და სხვადასხვა ნივთიერებებს იყენებენ, რითაც შეუქცევად ზიანს აყენებენ საკუთარ ჯანმრთელობას და ფსიქიკას. მნიშვნელოვნად შემცირებულია მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა. ასეთი მოზარდები ცდილობენ, მსგავს ქმედებაში სხვებიც ჩაითრიონ.

ინტერნეტდამოკიდებულება

მოზარდების და ახალგაზრდების დიდი ნაწილი ინტერნეტდამოკიდებულია. ისინი თვითონაც აცნობიერებენ, რომ მთელ დროს ინტერნეტში, სოციალურ ქსელებში ატარებენ, მაგრამ თავს ვერ ერევიან. ისინი რეალურ ცხოვრებისეულ ურთიერთობებს ნელ-ნელა ივიწყებენ და მთლიანად ინტერნეტ-სამყაროში გადადიან. ასეთ ადამიანებს დეპრესია ახასიათებთ. ყველაზე ახლობელი ადამიანების მიმართაც კი გულგრილი ხდებიან.

კომპიუტერული თამაშებით გატაცება

კომპიუტერული ტექნიკისა და ინტერნეტის დამკვიდრებამ ბევრი მოზარდი მოწყვეტა რეალურ სამყაროს და მთლიანად არარეალურ ცხოვრებაში ჩაითრია. ისინი უმეტესად ისეთ კომპიუტერული თამაშებს ეტანებიან, სადაც ძალმომრეობა სჭარბობს, ხდებიან მძაფრი სიუჟეტის მონაწილენი, იბრძვიან, იმარჯვებენ და მდიდრდებიან ვირტუალურ სამყაროში. ასეთი თამაშები საფრთხეს უქმნის ბავშვების ფსიქიკას. თამაშებისადმი მძაფრი დამოკიდებულების განცდის გამო კი ეწყებათ კონფლიქტი საზოგადოებასთან. უყურადღებო, ნერვიული და იმპულსური ხდებიან. ნებისყოფის, მორალური კონტროლის და პასუხისმგებლობის უქონლობის გამო ადვილად ჩადიან ცუდ საქციელს, დანაშაულს.

აზარტული თამაშები

აზარტული თამაშები ისეთი თამაშებია, რომელთა შედეგი მთლიანად ან ნაწილობრივ დამოკიდებულია შემთხვევითობაზე, ტარდება ბანქოს დასტის, კამათლის, სათამაშო ბორბლის (რულეტის) ან სათამაშო აპარატის მეშვეობით და მასში მონაწილეობა ფულადი მოგების შესაძლებლობას იძლევა.

აზარტულ თამაშებში ჩაბმის მიზეზი იოლად გამდიდრების, უშრომლად, თამაშით ფულის მოპოვების სურვილი და სუსტი ნებისყოფაა.

აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას გემბლინგი ეწოდება. გემბლინგს ნარკომანიის კლასიკური გამოვლინებები ახასიათებს – ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას იწვევს.

აზარტული თამაშების თემა აქტუალურია მოზარდებში და ახალგაზრდებში. ამ „საქმიანობით“ ბევრი მათგანია დაკავებული. ახალგაზრდას თამაშის მოტივაციას უქმნის იმედი, რომ გაუმართლებს, გამდიდრდება და ყველა სურვილს აისრულებს. სინამდვილეში კი, შედეგი საპირისპიროა - იმასაც აგებს, რაც აქვს, მაგრამ მოზარდს აზარტული თამაშების მიმართ დაუძლეველი ლტოლვა უყალიბდება. მას ფსიქოლოგიური და სოციალური პრობლემები ეწყება.

სათამაშო ფულის საშოვნელად მოზარდი არ ერიდება არანაირ ქმედებას, იღებს ვალს ან ოჯახიდან გასაყიდად თუ დასაგირავებლად გააქვს ნივთები. წაგებული ფულის გამო წარმოქმნილ პრობლემებს თავი რომ დააღწიოს, იწყებს ტყუილის თქმას, ხდება კონფლიქტური ოჯახის წევრების მიმართ, როცა ისინი ფულს აღარ აძლევენ. წარუმატებელი თამაშის შედეგად იგი ზოგჯერ სასოწარკვეთილ მდგომარეობაში ვარდება და საკუთარი სიცოცხლის ხელყოფას ცდილობს.

რამ შეიძლება უბიძგოს მოზარდს მავნე ჩვევებისკენ?

შეუძლებელია, ჩამოვთვალოთ ყველა ის ფაქტორი, რაც მოზარდში მავნე ჩვევების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. მით უმეტეს, რომ ანალოგიურ პირობებში მყოფი ყველა მოზარდი არ ხდება მათი მსხვერპლი. შეგვიძლია, გამოვყოთ შემდეგი ძირითადი მიზეზები:

- ინფორმაციის ნაკლებობა მავნე ჩვევების შედეგებთან დაკავშირებით;
- მიმბაძველობა (განსაკუთრებით ტელეგმირების);
- ცნობისმოყვარეობა და სურვილი, თავი დააღწიოს ერთფეროვნებას;
- თავისუფალი დროის პრობლემა;
- კარგ გუნება-განწყობაზე ყოფნის ან დაძაბულობის მოხსნის სურვილი;
- ფიზიკური ხასიათის პრობლემები;
- სურვილი, რომ თავი „უფროსად“ წარმოაჩინოს;
- თანატოლების ან უფროსების ზეგავლენა;
- თამბაქოს, ნარკოტიკების, ალკოჰოლის ხელმისაწვდომობა და „პოპულარობა“;
- არასრულფასოვნების კომპლექსი;
- თამაშების მეშვეობით თვითრეალიზაცია;
- სუსტი ნებისყოფა.

შეიძლება თუ არა მავნე ჩვევების დაძლევა?

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ადამიანმა იცის, თუ როგორ ზემოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე ალკოჰოლის, თამბაქოსა და ნარკოტიკების მოხმარება, ასეთი ადამიანების რაოდენობა მაინც საგანგაშოა. სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევების შედეგების მიხედვით ალკოჰოლიზმი, თამბაქოს მოხმარება და ნარკომანია მსოფლიო პრობლემაა.

მავნე ჩვევებთან ბრძოლა და მათი დაძლევა ნებისმიერ ასაკშია შესაძლებელი. ამისათვის კი აუცილებელია სურვილი და ნებისყოფა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) მრავალწლიანი კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ ადამიანის ჯანმრთელობის 50% დამოკიდებულია მისი ცხოვრების წესზე, 20% - გარემო ფაქტორებზე, 20% – გენეტიკაზე და 10% – მედიცინისა და სამედიცინო მომსახურების განვითარების დონეზე. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, როგორი ცხოვრების წესს ავირჩევთ. ადამიანი ვალდებულია, დაძლიოს მავნე ჩვევები საკუთარი თავის, ოჯახისა და საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, აირჩიოს ცხოვრების ჯანსაღი წესი.



ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, მოწევა – განკურნებადია, მაგრამ სურვილს, დიდ დროს, ნებისყოფას და ახლობლების თანადგომას მოითხოვს.

მავნე ჩვევები და სახელმწიფო რეგულირება

სახელმწიფო და კანონი არასრულწლოვანს მავნე ზეგავლენისგან იცავს. კანონი კრძალავს ნარკოტიკების მოხმარება-გასაღებას, არასრულწლოვნებზე თამბაქოსა და ალკოჰოლის გაყიდვას, კაზინოებსა და ტოტალიზატორებში მათ დაშვებას და სხვა. საქართველოს შრომის კოდექსით აკრძალულია არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების დადება ისეთი სამუშაოების შესასრულებლად, რომელიც დაკავშირებულია სათამაშო ბიზნესთან, ღამის გასართობ დაწესებულებებთან, ფარმაცევტული და ტოქსიკური ნივთიერებების დამზადებასა და გადაზიდვა-გაყიდვასთან.

საქართველში მოქმედებს კანონი „მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“, რომლის მიზანია არასრულწლოვანთა დაცვა იმ მავნე ზეგავლენისაგან, რომელიც ალკოჰოლური სასმელების და თამბაქოს მოხმარება-გასაღებასა და აზარტულ თამაშობებში მონაწილეობასთან არის დაკავშირებული. მაუწყებლობაში არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვის საკითხები მაუწყებელთა ქცევის კოდექსით რეგულირდება.

სისხლის სამართლის კანონმდებლობით, არასრულწლოვნის დაყოლიება ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების მოხმარებაზე მძიმე დანაშაულად ითვლება და დამნაშავე ისჯება განსაკუთრებული სიმკაცრით - თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ათ წლამდე.

სახელმწიფო აკონტროლებს, რომ თამბაქო ადვილად ხელმისაწვდომი არ გახდეს არასრულწლოვნებისთვის – აკრძალულია მათი გაყიდვა სკოლებისა და აღმზრდელობითი დაწესებულებების ახლოს.

„საქართველოში თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონის შესაბამისად, იმ მიზნით, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს მომხმარებლების რიცხვი, თამბაქოს მწარმოებლები და რეალიზატორები მათ აფრთხილებენ, რომ „მოწევა მავნებელია“, რომ „მოწევა იწვევს ფილტვის კიბოს“, „მოწევა კლავს“ და ა.შ. სახელმწიფო ასევე ავალდებულებს რეალიზატორებს, რომ კოლოფზე განათავსონ საკონსულტაციო ტელეფონის ნომერი თამბაქოს წევისაგან გათავისუფლების მსურველთათვის. მოთხოვნის დარღვევისათვის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს პასუხისმგებლობა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით ეკისრებათ.

თამბაქოს მოწევა ხშირად უკავშირდება ალკოჰოლიზმს, რადგან სწორედ ნასვამ მდგომარეობაში მყოფი არასრულწლოვნები იწყებენ მოწევას, რაც შემდეგ ჩვევაში გადადის.

არასრულწლოვნებში ალკოჰოლიზმის შემცირების მიზნით საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში არაერთი მუხლი შეიტანეს. სახელმწიფომ თექვსმეტ წლამდე არასრულწლოვნის მიმართ ალკოჰოლიზმი დასჯადად გამოაცხადა. ამასთან, კანონი სჯის მოზარდის მშობლებსაც, თუ მათ ვერ უზრუნველყვეს თავიანთი შვილის არიდება ამ მავნე ქმედებისაგან.

მავნე ზეგავლენისა და წესრიგის დარღვევისაგან საზოგადოებისა და არასრულწლოვნების დაცვის მიზნით საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სპირტიანი სასმელების მოხმარება კანონით აკრძალულია.

აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების რისკის თავიდან აცილების მიზნით, სახელმწიფო მკაცრად აკონტროლებს არასრულწლოვანთა მონაწილეობას აზარტულ თამაშებში და პასუხისმგებლობას, მეტწილად, სრულწლოვან ორგანიზატორებს აკისრებს. 21 წლამდე ასაკის პირისათვის – სამორინეში, ხოლო 18 წლამდე ასაკის პირისათვის სათამაშო აპარატებთან თამაში ან/და სხვა მომგებიან თამაშობებში (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) მონაწილეობა აკრძალულია. აზარტული თამაშობების ორგანიზატორი ვალდებულია, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით უზრუნველყოს მოთამაშეთა ასაკის შემოწმება; ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, აზარტული თამაშობების კანონდამრღვევი ორგანიზატორი 5000 ლარით დაჯარიმდება.

როგორ ებრძვის სახელმწიფო ნარკომანიას?

ნარკომანიასთან ბრძოლა, პირველ რიგში, საკანონმდებლო დონეზე მიმდინარეობს. ნარკოტიკული ნივთიერებების წარმოების, ტრანსპორტირებისა და გავრცელებისთვის სისხლის სამართლის მკაცრ სანქციებს პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში ითვალისწინებენ, პარალელურად კი ფართო პროპაგანდას უწევენ ჯანსაღი ცხოვრების წესს.

ჩვენმა სახელმწიფომაც ნარკოტიკების წინააღმდეგ საბრძოლველად არაერთი კანონი მიიღო. მათ შორის არის კანონი „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ," რომელიც მთელ რიგ შეზღუდვებს აწესებს ნარკოტიკული დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ: მომხმარებელთა, ხელშემწყობთა და გამსაღებელთა. ამ კანონის მიხედვით უმკაცრესად ისჯებიან ის პირები, ვინც ეწევა ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადებას, წარმოებას, შენახვას, ყიდვას ან გასაღებას; აგრეთვე ის პირები, რომლებიც თავის ბინას ან სადგომს დაუთმობენ სხვას ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონოდ მოხმარებისათვის, ან მათი დამზადებისათვის. მათ ამასთანავე 3 წლით ჩამოერთმევათ მრავალი უფლება: სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო და საგანმანათლებლო საქმიანობის, პასიური საარჩევნო და სხვა.

მართალია, კანონი მავნე ჩვევების წინააღმდეგ სანქციებს აწესებს, მაგრამ თუ მთელი საზოგადოება არ დაინტერესდა ამ პრობლემით, მარტო სამართალდამცავების ძალისხმევით მისი გადაჭრა შეუძლებელია.

გაეცანით წყაროებს:

ამონარიდები „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან"

მუხლი 155[3]. თამბაქოს პროდუქციის რეალიზაციისათვის დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა 1

1. თამბაქოს პროდუქციის რეალიზაცია იმ სავაჭრო ობიექტში, სადაც წარმოებს ბავშვთა ტანსაცმლისა და სათამაშოების რეალიზაცია, –
   გამოიწვევს დაჯარიმებას ასი ლარით.
2. თამბაქოს პროდუქციის რეალიზაცია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში, სკოლაში, 18 წლამდე ასაკის პირებისათვის განკუთვნილ დაწესებულება-ორგანიზაციებში და მათი კუთვნილი ტერიტორიებიდან 50 მეტრის დაშორებით, აგრეთვე ყველა სახის სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებაში, –
   გამოიწვევს დაჯარიმებას ორმოცდაათი ლარით.
3. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, –
   გამოიწვევს დაჯარიმებას ას ორმოცდაათი ლარით.
4. თამბაქოს პროდუქციის რეალიზაცია 18 წლამდე ასაკის პირზე, –
   გამოიწვევს დაჯარიმებას ასი ლარით.
5. სიგარეტის ღერების, ერთეული შეფუთვის (კოლოფის) რეალიზაცია, თუ მასში სიგარეტის 20 ღერზე ნაკლებია, –
   გამოიწვევს დაჯარიმებას ათი ლარით.
6. ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, –
   გამოიწვევს დაჯარიმებას ორასი ლარით.

მუხლი 155[5]. თამბაქოს პროდუქციის რეალიზაციის ადგილებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სამედიცინო გაფრთხილებისაგან და თამბაქოზე უარის თქმის მსურველთათვის კონსულტაციის მისაღებად საკონტაქტო ტელეფონის განთავსებისაგან თავის არიდება

თამბაქოს პროდუქციის რეალიზაციის ადგილებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სამედიცინო გაფრთხილებისაგან და თამბაქოზე უარის თქმის მსურველთათვის კონსულტაციის მისაღებად საკონტაქტო ტელეფონის განთავსებისაგან თავის არიდება, –
გამოიწვევს დაჯარიმებას ასი ლარით.

მუხლი 170. არასრულწლოვნის დათრობა

არასრულწლოვნის დათრობა, ანდა მშობლის ან იმ პირის მიერ, რომელსაც ევალება არასრულწლოვნის მეთვალყურეობა, არასრულწლოვნის დათრობის არაღკვეთა – გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.

მუხლი 171. საზოგადოებრივ ადგილებში ალკოჰოლური სასმელების სმა ან ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება

1. ალკოჰოლური სასმელების სმა სტადიონზე, სკვერში, პარკში, ყველა სახის საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, გარდა სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა და იმ ადგილებისა, სადაც ალკოჰოლური სასმელები ჩამოსხმით იყიდება, –
   გამოიწვევს დაჯარიმებას 50-დან 150 ლარამდე ოდენობით.
2. საზოგადოებრივ ადგილებში ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება, რაც გამოიხატება საზოგადოებაში მიღებული ქცევის წესების აშკარა უპატივცემულობით და იწვევს ადამიანისთვის დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას (სექსუალური ხასიათის ქცევა, სრული ან ნაწილობრივი უხამსი გაშიშვლება, საზოგადოებრივ ადგილებში ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილება), –
   გამოიწვევს დაჯარიმებას 100-დან 200 ლარამდე ოდენობით.
3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა 1 წლის განმავლობაში –
   გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში, თუ საქმის გარემოებათა მიხედვით და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით ჯარიმა არასაკმარისად ჩაითვლება, – ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით.

შენიშვნა: ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისათვის პირს ჩამოერთმევა იარაღის ტარების უფლება 3 წლამდე ვადით.

ამონარიდი სისხლის სამართლის კოდექსიდან

მუხლი 260. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება +

1. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა –
   ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვს წლამდე.
2. ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა –
   ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.
3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:

ა) დიდი ოდენობით;
ბ) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;
გ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
დ) არაერთგზის;
ე) იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, –
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე.

4. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო გასაღება –
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან თერთმეტ წლამდე.

5. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:
ა) დიდი ოდენობით;
ბ) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;
გ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
დ) არაერთგზის;
ე) იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, –
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თოთხმეტ წლამდე.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:
ა) განსაკუთრებით დიდი ოდენობით;
ბ) ორგანიზებული ჯგუფის მიერ, –
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

შენიშვნა:

1. ამ თავით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ის, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს ნარკოტიკულ საშუალებას, მის ანალოგს, პრეკურსორს, ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებას, ფსიქოტროპულ ნივთიერებას, მის ანალოგს ან ძლიერმოქმედ ნივთიერებას, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.
2. ამ თავის მიზნებისათვის ნებაყოფლობით ჩაბარებად ჩაითვლება მხოლოდ ისეთი ქმედება, როდესაც პირი გამოძიების დაწყებამდე წერილობით ან კომუნიკაციის ნებისმიერი ტექნიკური საშუალების გამოყენებით განაცხადებს ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების წარმოდგენის თაობაზე და აქტიური ქმედებით ხელს შეუწყობს მის ამოღებას.
3. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით.
4. ამ მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილები ვრცელდება ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების ნებისმიერ ოდენობაზე.
5. ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებაზე არ ვრცელდება ამ მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები.

კითხვები და დავალებები

1. დაიყავით ჯგუფებად. ყურადღებით გაეცანით ყველა ფაქტს თამბაქოს მოწევასთან დაკავშირებით და ჯგუფში შეთანხმებული მსჯელობის შედეგად წარმოადგინეთ საკუთარი არგუმენტები, რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ აღნიშნული კანონის თითოეული დებულება. თქვენი შეფასება აღნიშნეთ ცხრილში:

„საქართველოში თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონით აკრძალულია	მიუღებელია	ნაწილობრივ მისაღებია	სრულად მისაღებია
თამბაქოს მოხმარება:			
• სააღმზრდელო, საგანმანათლებლო, საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებსა და დახურულ სპორტულ ნაგებობებში			
• სამედიცინო და ფარმაცევტულ დაწესებულებათა შენობებში			
• ბენზინგასამართი, გაზგასამართი და გაზგამანაწილებელი სადგურების მთელ ტერიტორიაზე			
• ყველა შენობა-დაწესებულებაში, სადაც ინახება ცეცხლსაშიში ნივთიერებები			
• საზოგადოებრივ ტრანსპორტში, მათ შორის, ავტობუსში, სამარშრუტო ტაქსში, თვითმფრინავში, მეტროპოლიტენში			
თამბაქოს პროდუქციის რეალიზაცია:			
• სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, სკოლებში, აგრეთვე 18 წლამდე ასაკის პირებისათვის განკუთვნილ დაწესებულება-ორგანიზაციებში და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე 50 მეტრის დაშორებით			
• იმ სავაჭრო ობიექტებში, რომლებშიც ხდება ბავშვთა ტანსაცმლისა და სათამაშოების რეალიზაცია			
• სიგარეტის ერთეული ღერებით, ერთეული შეფუთვით (კოლოფით) თუ მასში 20 ღერ სიგარეტზე ნაკლებია			
• 18 წლამდე ასაკის პირებზე			
• ყველა სახის სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებაში			

1. დაიყავით ჯგუფებად. ყურადღებით გაეცანით ყველა ფაქტს თამბაქოს მოწევასთან დაკავშირებით და ჯგუფში შეთანხმებული მსჯელობის შედეგად წარმოადგინეთ საკუთარი არგუმენტები, რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ აღნიშნული კანონის თითოეული დებულება. თქვენი შეფასება აღნიშნეთ ცხრილში: გააცანით კლასს აღნიშნული ფაქტის მიმართ თქვენი დამოკიდებულება და დაასაბუთეთ ის; ყურადღებით მოისმინეთ სხვა ჯგუფების მოსაზრებები.
2. ყურადღებით გაეცანით წყაროებს და იმსჯელეთ, რა როლს ასრულებენ ისინი მავნე ჩვევების პრევენციაში. თქვენ რომ კანონმდებლები იყოთ, როგორ შეცვლიდით ამ მუხლებს?

რატომ? დაასაბუთეთ.

3. როგორ გგონიათ, რისთვის არის საჭირო ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა და ვისზეა დამოკიდებული? პასუხი დაასაბუთეთ.
4. რომელი ფაქტორი ასრულებს წამყვან როლს ნარკომანიის პრევენციაში?
5. ხომ არ ამჩნევთ საკუთარ თავს მიდრეკილებას რომელიმე მავნე ჩვევის მიმართ? როგორ შეგიძლიათ მისი დაძლევა?
6. რომელია ყველაზე პოპულარული აზარტული თამაშობები თქვენს თანატოლებს შორის. მეწყვილესთან ერთად ჩამოაყალიბეთ ის მიზეზები, რის გამოც ესა თუ ის თამაშობა პოპულარულია. ამასთანავე, მოიფიქრეთ ის ალტერნატივები, რაც, ერთი მხრივ, დააკმაყოფილებდა მოზარდების სურვილს, რომ ითამაშონ და მეორე მხრივ, თავიდან აარიდებდა მათ კანონის დარღვევას.
7. რა შეუძლია გააკეთოს საზოგადოებამ იმისათვის, რომ მოზარდებს სწორი დამოკიდებულება ჩამოუყალიბდეთ „მავნე ჩვევების“ მიმართ?

სიტუაცია 1 მამის დაბადების დღე

გოგი 10 წლისაა. გოგის ძმაძმ თავისი დაბადების დღე ცრადიციული წესით აღნიშნა და მეგობრები დაპატიჟა. ძმაძმ გოგის სთხოვა მისი სადღეგრძელო დაეღია. გოგიმ თხოვნა შეასრულა და სადღეგრძელო განსხვავებული სასმისით დაღია, რის გამოც ძმაძის ძმაკაცები აღფაფრებულნი დარჩნენ. შეგულიანებულმა ბიჭმა კიდევ რამდენიმე ჭიქა სასმელი დაღია, რის შედეგადაც ანკოჰოლური ინტოქსიკაცია დაეწყო და სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება დასჭირდათ.

უპასუხეთ კითხვებს

- თუ გსმენიათ ან გინახავთ მსგავსი შემთხვევა?
- გაეცანით წყაროებს და შეაფასეთ, რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ კანონით დაკისრებული პასუხისმგებლობა?

სიტუაცია 2 გასეირნება პარკში

მე-9 კლასის მოსწავლეებმა გაკვეთილების შემდეგ პარკში გასეირნეს. ვაჟებმა იქ დანახეს, როგორ სვამდა ღუდ რამდენიმე სტუდენტი. თანაკლასელი გოგონებისთვის თავი რომ მოწონებინათ, ღუდი შეიძინეს და დაიწყეს სმაში შეჯიბრი, თან სიგარეტს აბოლებდნენ, გამომწვევად იქცეოდნენ და გამვლელებს დასცინოდნენ. სიმთვრალეში მათ ერთმანეთთან ჩხუბი მოუვიდათ, გამვლელი ბიჭი და ერთ-ერთი თანაკლასელი გოგონა, რომელიც მათ გამვლელებს ცდილობდა, დაზიანდნენ და საავადმყოფოში გადაიყვანეს, დანარჩენები საპატრული ეკიპაჟმა პოლიციის შენობაში წაიყვანა.

უპასუხეთ კითხვებს

- რამ განაპირობა ამ სიტუაციაში მოსწავლეების ქცევა?
- გაიხსენეთ, თუ გსმენიათ ან გინახავთ მსგავსი შემთხვევა?
- გაეცანით წყაროებს და შეაფასეთ, რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ კანონით დაკისრებული პასუხისმგებლობა?

სიტუაცია 3 ნარკომანის მსხვერპლი

სკოლიდან სახლში მიმავალი დათო, რაფი და გიგა მეზობელმა სტუდენტმა ბიჭმა გაჩერა და მოსაწვევი შესთავაზა; „არ უნდა იცოდეთ, რა ჯაიფია?“. ბიჭებმა ჯერ იუარეს, მაგრამ მეზობელმა ისინი დაიყოლია. თან შესთავაზა, თუ მოაგროვეთ, მომიცანეთ და „წამალსაც“ გიმოვიანო.

მეორე დღეს ბიჭებმა ინვნეს სტუდენტთან „სექმის დაჭერა“ და გადაწყვიტეს სახლში შემოვლითი გზით წასულიყვნენ. ეს ამბავი მაინც დაავიწყდათ. მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ რაღის და გიგას ყურადღება დათოს „უცნაურობებმა“ მიიპყრო. ის თავის თავში ჩაიკეტა, გულჩახვეული გახდა, გაჩვეთიდან მასწავლებელს დაეთხოვებოდა ხოლმე და დიდი ხნით იკარგებოდა. საშინლად ეიზიანებოდა, როდესაც მეგობრები ეკითხებოდნენ: „სად იყავი ამდენ ხანს, რაღომ არ დარეკეო?“ სახლშიც გვიან ღამით ბრუნდებოდა – ძმობლები თანაკლასელებთან კითხულობდნენ მის ასავალ-დასავალს.

დათო ეღარ მეკადინეობდა. ეღარც სპორტი და კომპიუტერი იტაცებდა.

სკოლისას კონცენტრაციის უჭირდა. ხასიათიც შეეცვალა: მეტწილად უგუნებოდ და დათრგუნული იყო. მას შემდეგ რაც დედის საფულიდან ფული დაიკარგა, შინიდან კი ძვირფასი ნივთები გაქრა, ყველას გარკვეული ეჭვი გაუჩნდა. რაღი და გიგა დათოს ჩუმად ადევნენ და დარწმუნდნენ, რომ მას ახალი მეგობრები ჰყავდა – ნარკომანმა სტუდენტმა ის თავის წრეში ჩაითრია.

უპასუხეთ კითხვებს

– თქვენი აზრით, რატომ გახდა დათო ნარკომანის მსხვერპლი, მისი მეგობრები კი - არა?
– როგორ უნდა იმოქმედოს დათოს დასახმარებლად მისმა ოჯახმა? მეგობრებმა?

დისკუსია

რომელი ფაქტორი ასრულებს წამყვან როლს მავნე ჩვევების ჩამოყალიბებაში?

შეჯამება

1. **თამბაქოს მოწევა, ალკოჰოლური სასმელის მოხმარება, აზარტული თამაშები და სხვა დროთა განმავლობაში მავნე ჩვევად იქცევა და სახიფათო ხდება ჩვენი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის.**
2. **ნარკოტიკებზე დამოკიდებულება ძალიან სწრაფად ყალიბდება, ნარკომანიისგან გათავისუფლებას კი დიდი დრო სჭირდება.**
3. **ალკოჰოლიზმი და ნარკომანია საფრთხის შემცველია არა მხოლოდ მომხმარებლისათვის, არამედ მისი ოჯახის წევრებისა და ახლობლებისთვისაც.**
4. **უმეტესწილად, ადამიანი ნარკომანი ხდება სხვების დანაშაულებრივი ქმედების შედეგად და ნარკოტიკის მოსაპოვებლად ხშირად თავად ხდება დამნაშავე.**

თემა V
ორგანიზებული დანაშაული

ლექსიკონი

სინდიკატი – ეკონომიკური ან საზოგადოებრივი სარგებლის მიღების მიზნით ადამიანთა ან ადამიანთა ჯგუფების გაერთიანება.

კორუფცია – ოფიციალური პირის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის გამოყენება პირადი გამორჩენის მიზნით, სახელმწიფო მოხელეთა მოსყიდვა და სხვა.

ტერორიზმი – ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა, მიმართული ფიზიკური ან იურიდიული პირების წინააღმდეგ, შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო საშუალებების, კომუნიკაციების და სხვა მატერიალური ობიექტების განადგურება-დაზიანება ან მათი განადგურება-დაზიანების მუქარა იარაღის, ასაფეთქებელი მასალების,

5.1. ორგანიზებული დანაშაული და მისი შედეგები

ორგანიზებული დანაშაულის ცნება

ორგანიზებული დანაშაული გულისხმობს რამდენიმე პირის სტრუქტურირებული ჯგუფის მიერ უკანონო სარგებლის მიღების, ძალაუფლების მოსაპოვებლად ან სხვა მარ-თლსაწინააღმდეგო ინტერესის მიზნით, წინასწარი განზრახვით და შემუშავებული გეგმის მიხედვით ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებას. ორგანიზებული დანაშაული მეტწილად კრიმინალური დაჯგუფებების მიერ ხორციელდება. ისინი ძალისმიერ ზემოქმედებას ახდენენ პოლიტიკაზე, მედიაზე, საზოგადოებრივ სამსახურებზე.

ორგანიზებული დანაშაული ჯგუფური დანაშაულის ფორმაა. დამნაშავეთა ჯგუფი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შემოსავალს არალეგალური საქმიანობის შედეგად იღებს. ჯგუფს დაწესებული აქვს შიდა იერარქია – ჰყავთ ლიდერები. ჯგუფის სხვა წევრების სტატუსი განსაზღვრულია. დანაშაულის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესს უმეტესად კრიმინალური ავტორიტეტები ხელმძღვანელობენ. ასეთი ჯგუფები მიზნის მისაღწევად იყენებენ ძალას, მუქარას. ხელისუფლების და პოლიციის ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი მოხელეების ნეიტრალიზაციის მიზნით კი მათ მოსყიდვას (კორუფციას) ან შანტაჟს მიმართავენ.

ორგანიზებული დანაშაულის ფორმები

ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების არსებობის ძირითადი მიზანი ფულისა და ძალაუფლების მოპოვებაა.

ორგანიზებული დანაშაულის გავრცელებული ფორმებია: ქურდული სამყაროს წევრობა, რეკეტი, ადამიანის ან სხვისი ქონების გატაცება ფულის გამოძალვის ან სხვა დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად, ნარკოტიკებით, ადამიანებით, ცეცხლსასროლი იარაღით, ტოქსიკური, ფეთქებადი და რადიოაქტიური ნივთიერებებით და ანტიკვარული ნივთებით უკანონო ვაჭრობა, უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია. ისინი ხელს უწყობენ პროსტიტუციას და ა. შ. მაფია, მეკობრეობა, ტერორიზმი, როგორც ორგანიზებული დანაშაულის ფორმები, დიდი ხანია არსებობს.

ცალკეული დანაშაულებრივი ჯგუფები ცდილობენ მონოპოლიის აღებას გარკვეულ არალეგალურ ნაწარმზე, პროდუქტებსა და მომსახურებაზე, ამიტომ ხშირად ერთმანეთთან სისხლიანი დაპირისპირება აქვთ. კრიმინალურ ორგანიზაციაში დისციპლინის დასაცავად, მოღალატეების და ინფორმატორების დასჯისა თუ დაშინების მიზნით არ ერიდებიან საკუთარი წევრების მიმართ ძალადობას, მათ წამებას და მკვლელობას.

პირდაპირი ან არაპირდაპირი ფინანსური ან სხვა მატერიალური მოგების მისაღებად კრიმინალური ჯგუფები მცირედს არ სჯერდებიან, ამიტომ დეტალურად გეგმავენ ყოველ ოპერაციას. დანაშაული ჯგუფის მიერ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მზადდება, იგეგმება, ფუნქციები ნაწილდება. ქმედებებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებითაც კი უწევენ კოორდინირებას. გაეროს მე-20 კონგრესზე, რომელიც დანაშაულობის პრობლემებს ეძღვნებოდა, აღნიშნეს, რომ ოცდამეერთე საუკუნეში ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების ყველაზე გავრცელებული საქმიანობაა ნარკოტიკებით ვაჭრობა, მას მოჰყვება ადამიანით უკანონო ვაჭრობა (ტრეფიკინგი), შემდეგ კი კონტრაბანდული საქონლით ვაჭრობა, იარაღით ვაჭრობა და ეკონომიკური დანაშაული – რეკეტი, ასევე გადასახადებისგან თავის არიდების მიზნით ფინანსური დოკუმენტების გაყალბება, ტერორისტული საქმიანობა და სხვა.

ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური თუ სხვა, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ნივთიერების გამოყენებით ან ადამიანის გატაცებითა თუ მძევლად აყვანით, რათა ხელისუფლება ანდა მისი რომელიმე ორგანო ან საერთაშორისო ორგანიზაცია იძულებული გახდეს, განახორციელოს გარკვეული ქმედება ან თავი შეიკავოს გარკვეული ქმედების განხორციელებისაგან, რომელიც ტერორისტების მართლსაწინააღმდეგო ინტერესებში შედის.

ორგანიზებული დანაშაული
– დანაშაულებრივი ქმედებები ჩადენილი პირთა სტრუქტურირებული ორგანიზებული ჯგუფის მიერ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

ზოგჯერ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი ლეგალურ ბიზნესს არის ამოფარებული და ისე ახორციელებს თავის უკანონო საქმიანობას, მათი აღმოჩენა გაძნელებულია. მით უფრო, თუ ეს საქმიანობა ერთი ქვეყნის ტერიტორიას სცდება და საერთაშორისო მასშტაბისაა – ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებს ქმნის. დღეისათვის ორგანიზებული დანაშაული უფრო ხშირად საერთაშორისო მოვლენაა.

ორგანიზებული დანაშაული და თანამედროვე ტექნოლოგიები

თანამედროვე ეპოქაში ორგანიზებული დანაშაული სულ უფრო ნაკლებად იმართება მოძველებული ვერტიკალურ-იერარქიული მეთოდით. ის დაუკავშირდა **კიბერდანაშაულს** — კომპიუტერთან დაკავშირებულ დანაშაულებებს და უფრო მეტად ქსელური გახდა. კრიმინალური ჯგუფები უახლეს საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს და ჰაკერებს იყენებენ სამართალდამცავი ორგანოების ოპერაციების შესახებ წინასწარი ინფორმაციის მიღების მიზნით. ინტერნეტის გლობალური ხასიათი საშუალებას აძლევს კრიმინალებს არაკანონიერი ქმედება მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, სხვადასხვა ქვეყანაში ჩაიდინონ. გარდა ამისა, გაადვილებულმა კომუნიკაციამ, ფიჭვურმა სატელეფონო და ინტერნეტ კავშირებმა მათ ქსელური წვდომის სხვა მეთოდების გამოყენების საშუალებაც მისცა. დანაშაულებრივ ჯგუფებს ტერიტორიების დაზვერვისა და შორიდან კონტროლის საშუალება მიეცა. ინტერნეტისა და სხვა ქსელების გამოყენებით დანაშაულის ჩადენა იშვიათობა აღარ არის. დანაშაულებრივ სტრუქტურებს სხვადასხვა სისტემაში შეუძლიათ შეაღწიონ და გამოიყენონ ვიდეოკამერების სისტემა, რომელიც კონკრეტულ ადგილებში რეალურ რეჟიმში მიმდინარე პროცესების დანახვის საშუალებას იძლევა. ასევე, ინტერნეტით ადვილდება მცოდნე ადამიანების ძებნა — მაგალითად, პროგრამისტების, რომელთა ჩართვა კრიმინალურ საქმიანობაში ქსელითვე ხდება ისე, რომ დამკვეთს არც კი ხვდებიან. შემდეგ დანაშაულის დაგეგმვის პროცესში მოსალოდნელ რისკებს წინასწარ ითვალისწინებენ.

ანალოგიურად, თანამედროვე გლობალური ტექნოლოგიების ეპოქაში, **სამართალდაცვის სისტემაშიც საკმარისი ბერკეტები არსებობს ორგანიზებული დანაშაულის გასახსნელად და/ან თავიდან ასაცილებლად.** ის საკომუნიკაციო მეთოდები და ხერხები, რომლებიც ხელმისაწვდომია კრიმინალებისთვის, რა თქმა უნდა, ხელმისაწვდომია სამართალდამცავებისათვისაც. იქმნება კიბერ-დეტექტივების სპეციალური ჯგუფები, რომლებიც ამ ტიპის დანაშაულებს წარმატებით ხსნიან.

სამართალდამცავების მხრიდან კრიმინალური დაჯგუფებების საქმიანობას გრძელვადიანი შესწავლა სჭირდება, ვინაიდან მათში ბევრი ადამიანი მონაწილეობს — ზოგი პირდაპირ და წინასწარ განზრახვით, ზოგიც – გაუცნობიერებლად. ამის გამო გამოძიება ხანგრძლივი პროცესია, ის მოიცავს ელექტრონულ თუ ფიზიკურ თვალთვალს, ფარული ოპერაციების მომზადებას, ჯგუფში შეღწევას, კონფიდენციალურ ინფორმატორებთან მუშაობას, ოპერატიული უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ზოგჯერ საჭირო ხდება მოწმეთა დაცვაც. საბოლოოდ, ორგანიზებული ჯგუფი გამოაშკარავდება და ისჯება.

ნარკოტიკებით ვაჭრობა

ნარკომანია და ნარკობიზნესი საერთაშორისო პრობლემაა და მას ყველა ქვეყანაში ებრძვიან. კოლუმბიური და მექსიკური ნარკოტიკებით მოვაჭრე ორგანიზაციები საერთაშორისო მასშტაბის მქონე კრიმინალურ საქმიანობას – კოკაინის წარმოებას და გაყიდვას ეწევიან. გლობალური მასშტაბის მქონე ქსელი ნარკოტიკებს ყველა კონტინენტზე ავრცელებს. ნარკოკარტელებს კავშირები აქვთ მსოფლიოს სხვადასხვა დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან, რაც მთლიანობაში მსოფლიო მასშტაბის ორგანიზებულ დანაშაულებრივ სისტემას ქმნის.

კიბერდანაშაული

კიბერდანაშაულში იგულისხმება სხვის კომპიუტერულ სისტემაში (პერსონალური კომპიუტერი, აგრეთვე მობილური ტელეფონი) უნებართვო შეღწევა და უკანონო გამოყენება; მონაცემების უნებართვო დაზიანება, წაშლა ან შეცვლა; პაროლის ან კოდის უნებართვო დამზადება, გავრცელება; სხვათა პირადი ინფორმაციის ან პირადი მიმოწერის უკანონოდ გავრცელება. კიბერდანაშაული მოიცავს კომპიუტერთან და ინტერნეტთან დაკავშირებულ ორგანიზებულ დანაშაულებებს, რომელიც ხშირად სხვა ტიპის ორგანიზებულ დანაშაულს ან ტერორიზმს უკავშირდება.

ჩვენ როცა საზოგადოება ყოველდღიურად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს, სახელმწიფო, ბანკები თუ სხვა ორგანიზაციები კი მოქალაქეებს სულ უფრო მეტ მომსახურებას აწვდიან ელექტრონულად, კიბერდანაშაულის საფრთხე დღითიდღე იზრდება.

დამნაშავეები უნებართვოდ აზიანებენ, შლიან ან ცვლიან კომპიუტერულ მონაცემებს, პირადი მიზნებისთვის იყენებენ სხვა ადამიანების თუ ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციას, იპარავენ პირად თუ საბანკო მონაცემებს და დანაშაულებრივ ოპერაციებს აწარმოებენ.

კომპიუტერული დანაშაული ყველაზე მეტად საბანკო და საფინანსო სექტორშია გავრცელებული, **ინტერნეტქურდობა** – სხვისი ფინანსების ან ინფორმაციის მოპარვა-გამოყენება, ფულის გადარიცხვა – ორგანიზებული დანაშაულის ახალი სახე გახდა. ფართოდ გავრცელებულია ისეთი კიბერდანაშაულებიც, როგორიცაა: ბავშვთა პორნოგრაფია, ფულის გათეთრება (უკანონო ინტერნეტ გადარიცხვა ვინაობის დაფარვით), კიბერვანდალიზმი – საინფორმაციო ბაზების განადგურება ან დაზიანება, კიბერტერორიზმი – მუქარა, დაშინება, მოსალოდნელ ტერორისტულ აქტზე წინასწარ შექმნილი ვიდეომასალის ინტერნეტით გავრცელება და სხვა.

კომპანია *Symantec Corp*-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ყოველწლიურად გლობალური კიბერდანაშაულით უფრო მეტი ადამიანი ზარალდება, ვიდრე სხვა რომელიმე ტიპის დანაშაულით.

განსაკუთრებული საფრთხის მატარებელია **კიბერტერორიზმი**. ეს არის კანონით დაცული კომპიუტერული ინფორმაციის (უმეტესად, სახელმწიფო მნიშვნელობის) მართლსაწინააღმდეგო დაუფლება, მისი გამოყენება ან გამოყენების მუქარა, რაც საზოგადოებრივ უსაფრთხოებას დიდ საშიშროებას უქმნის, ხელყოფს სახელმწიფოს სტრატეგიულ, პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ინტერესს. მისი მიზანი მოსახლეობის დაშინება და ხელისუფლების რომელიმე ორგანოზე ზემოქმედებაა. კიბერდანაშაულის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მაგალითია კიბერომი. ასეთი იყო რუსეთსა და საქართველოს შორის 2008 წლის აგვისტოში განხორციელებული ომი. ორივე მხარე ცდილობდა, კონტროლი გაეწია კიბერსივრცისათვის და მსოფლიოსთვის მიეწოდებინა სათავისოდ ხელსაყრელი ინფორმაცია. არაერთი შეტევა განხორციელდა ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ინფრასტრუქტურაზე, საჰაერო და სარკინიგზო მიმოსვლაზე. დროებით გაითიშა მთავრობის და პარლამენტის, ბეჭდვითი მედიის და ტელეკომპანიების საიტები.

ქვეყნის კიბერუსაფრთხოება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. კანონი ამ დანაშაულის ყველა ფორმას ითვალისწინებს, როგორიცაა: კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა, კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის უკანონოდ გამოყენება და ხელყოფა, დამაზიანებელი პროგრამის შექმნა ან არსებულ პროგრამაში ცვლილების შეტანა – ანუ ყველა ისეთ ქმედებას, რაც იწვევს ინფორმაციის განზრახ, არასანქცირებულ განადგურებას, ბლოკირებას ან მოდიფიცირებას.

ტერორიზმი

ტერორიზმი არის პიროვნების, საზოგადოების ან საკუთრების წინააღმდეგ მუქარის და ძალადობის გამოყენება პოლიტიკური, რელიგიური ან იდეოლოგიური მიზნების მისაღწევად. მისი მიზანია არა მოწინააღმდეგისადმი რაიმე სტრატეგიული ზიანის მიყენება, არამედ შიშის დანერგვა, შანტაჟი. ტერორისტული აქტი შეიძლება მიმართული იყოს ადამიანების წინააღმდეგ, რომლებსაც ტერორისტების პოლიტიკურ პოზიციასთან საერთო არაფერი აქვთ. გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის 2002 წლის ოქტომბრის განცხადებით: „ტერორიზმი არის გლობალური საფრთხე, გლობალური ეფექტებით... თავისი ბუნებიდან გამომდინარე ეს არის თავდასხმა სამართლის, წესრიგის და ადამიანის უფლებების ფუნდამენტურ პრინციპებზე“. ადრე ტერორისტები მსხვერპლს საგულდაგულოდ არჩევდნენ – უმეტესად, პოლიტიკოსს ან თანამდებობის პირს, დღეს კი ტერორიზმის სამიზნე უფრო ხშირად უბრალო ადამიანები, მშვიდობიანი მოსახლეობაა. ამის მაგალითად 2001 წ 11 სექტემბრის ტერაქტი და ბესლანის ტრაგედიაც გამოდგება. ამ ტერაქტებს ათასობით ადამიანი შეეწირა, მათ შორის ბევრი ბავშვი.

ტერორისტებს მძევლად აჰყავთ უცხოელი ჟურნალისტები ან ტურისტები იმ მიზნით, რომ მძევლის გათავისუფლების პირობით აიძულონ სახელმწიფო ხელისუფლება ან/და საერთაშორისო ან რელიგიური ორგანიზაცია, შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება. ზოგჯერ, პირობის შესრულების და გამოსასყიდის მიღების მიუხედავად, ტერორისტები მძევლებს კლავენ. ტერორიზმის თანმდევია მისი ფინანსირების მთავარი წყარო — საერთაშორისო ნარკობიზნესი, იარაღით და ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში მასალებით უკანონო ვაჭრობა.

სხვა დამნაშავეებისგან განსხვავებით, ტერორისტები არ ცნობენ, ან გამართლებულად თვლიან თავიანთი საქმიანობის უკანონობას. ისინი არც ასობით უდანაშაულო ადამიანის სიკვდილს ნანობენ, ვინაიდან „იდეას“ ემსახურებიან, მათი ქმედება მოტივირებულია „შურისძიებით“ ან კონკრეტული მიზნით. მათ მიაჩნიათ, რომ ჩადენილი ქმედება აუცილებელია, რათა ხელისუფლება ან საერთაშორისო ორგანიზაცია აიძულონ ისეთი გადაწყვეტილების მიღებაში, რომელიც ტერორისტების მართლსაწინააღმდეგო ინტერესებში შედის.

კორუფცია

კორუფცია – ლათინური სიტყვაა (corrumpere – ვაფუჭებ) და გაუარესებას/დაზიანებას, გაუფასურებასა და გარყვნილებას უკავშირდება. კორუფცია ეწოდება ოფიციალური პირის მიერ სახელმწიფო ძალაუფლების ან სამსახურებრივი მოვალეობის არადანიშნულებისამებრ გამოყენებას, ფულის და ნაცნობობის სანაცვლოდ, პირადი კეთილდღეობისა და გამორჩენისთვის. კორუფციის წყარო მმართველობის ყველა ფორმა შეიძლება გახდეს. სახელმწიფო მოხელეთა კორუფციაში ჩართვა უფრო ხშირად ნარკობიზნესის, ფულის გათეთრების, ეკონომიკური მაქინაციების და სხვა ორგანიზებული კრიმინალური ქმედებების ხელშეწყობის მიზნით ხდება.

სახელმწიფო მოხელეთა მოსყიდვით კრიმინალებს საშუალება ეძლევათ, არაკანონიერი ქმედება უშიშრად განაგრძონ, ამიტომ კორუფციას ხშირად განიხილავენ, როგორც ორგანიზებული დანაშაულის შედეგს.

კორუფციის მაგალითებია:

- პოლიციის, მოსამართლეებისა და პროკურორების მოქრთამვა, რომ მათ არაკანონიერ ქმედებებზე დახუჭონ თვალი;
- ამომრჩეველთა მოსყიდვის მიზნით თანამდებობის ბოროტად გამოყენება;
- დაფინანსებითა და ნაცნობობის საშუალებით პოლიტიკურ ლიდერებზე არაპირდაპირი ზემოქმედება;
- მოქრთამვით საზოგადოებაზე საკუთარი გავლენის გაზრდა და სხვა.
- ორგანიზებული დანაშაული კორუფციას საკუთარი არსებობის გახანგრძლივებისა და წარმატებული საქმიანობისთვის იყენებს.

კორუფციის გავლენა საზოგადოებაზე

კორუფცია ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაზე. მას შედეგად მოჰყვება:

- **კანონიერების დარღვევა** – სახელმწიფო მოხელეთა კორუფცია არღვევს კანონის უზენაესობის პრინციპებს;
- **ძლიერის გამარჯვება სუსტზე** – კორუმპირებულ გარემოში, მდიდარი და გავლენიანი ადამიანი კანონზე მაღლა დგება და ჩაგრავს სუსტსა და ღარიბს;
- **არათანაბარი პირობები** – სახელმწიფო მოხელეების კორუფცია არ წარმოადგენს უმსხვერპლო დანაშაულს. მას საზოგადოებისათვის სოციალური უთანასწორობა და უსამართლობა მოაქვს. კრიმინალები გადაჭარბებული, არასტანდარტული უფლებებით და უპირატესობებით სარგებლობენ, რითაც საზოგადოება ზარალდება;
- **ნდობის დაკარგვა** – ორგანიზებული დანაშაული და კორუფცია სწრაფად ვრცელდება საზოგადოების ყველა სფეროში. ხდება მოსამართლეების, ბანკირების, ჟურნალისტების, სამღვდელო პირების, პოლიციის, პოლიტიკოსებისა და საზოგადოებრივი ლიდერების მოქრთამვა. საზოგადოების წევრები ფულს არაკანონიერად იხდიან სხვადასხვა დაწესებულებაში, ამიტომ სახელმწიფო მოხელე, რომელიც ქრთამს იღებს, ხალხის ნდობას კარგავს. სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები სუსტდება. ხალხში რწმენისა და ნდობის დაკარგვას მოსდევს საზოგადოების დეგრადაცია და მისი დაბრუნება პირვანდელ, ველურ ფორმასთან, სადაც არსებობის უფლება მხოლოდ ძლიერს აქვს. ეს დიდ საფრთხეს უქმნის საზოგადოებას და მისი დაშლის მომასწავებელია.

კორუფცია სახელმწიფოს უსპობს საშუალებას, დაიცვას თითოეული მოქალაქის პიროვნული უფლებები, თავისუფლებები, ქონება და სიცოცხლეც კი. ის საზოგადოებაში კანონიერების კულტურის დამკვიდრებას ეწინააღმდეგება.

ორგანიზებული დანაშაულის გავლენა საზოგადოებაზე

ეკონომიკური ზეგავლენა	ორგანიზებულ დანაშაულს თან ახლავს ადამიანების ფინანსური და მატერიალური დანაკარგები. საზოგადოების ნაწილი ხშირად ხდება გამოძალვის, გატაცების ან ქურდობის ობიექტი, მეორე ნაწილი კი - დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ან ქონების მფლობელი.
ფიზიკური ზეგავლენა	იგულისხმება პიროვნების ცემა, დაჭრა, გატაცება და მკვლელობა. ასეთი სახის დანაშაული ეხება კონკრეტულ პიროვნებას, მაგრამ არაპირდაპირი ზეგავლენა აქვს დაზარალებულის ოჯახსა და მთელ საზოგადოებაზე, შესაძლებელია, გამოიწვიოს შემთხვევითი მსხვერპლიც. ორგანიზებული დანაშაული ხშირად ფართო საზოგადოებასაც აზარალებს. მაგალითად, როდესაც კრიმინალების მიერ ხდება ადამიანისა და გარემოსთვის მეტად საშიში მომწამლავი ნივთიერებების არალეგალური ტრანსპორტირება ან ქიმიური ნარჩენების მდინარეში ჩაყრა.
ფსიქოლოგიური ზეგავლენა	კრიმინალური ორგანიზაციები ხშირად იყენებენ მსხვერპლისა და მოწმეების დაშინების მეთოდს. დაშინებული მოქალაქეები ვერ ბედავენ დახმარებისათვის მიმართონ პოლიციას, მოწმედ წარდგნენ სასამართლოში ან განახორციელონ ნაფიც მსაჯულთა მოვალეობა. იმ საზოგადოების რიგითი წევრები, სადაც ორგანიზებული დანაშაული იმარჯვებს, უნდობლად არიან განწყობილნი კანონის უზენაესობის მიმართ. ისინი ხედავენ, რომ მისი შესრულება ყველასთვის არ არის სავალდებულო და, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი კანონზე მაღლა დგას. ეს გარემოება საზოგადოების სხვა წევრებსაც უბიძგებს დანაშაულისკენ.

კორუფციაზე რეაგირება

თანამდებობის პირებისა და სახელმწიფო მოხელეების კორუფცია – განზრახი უკანონო ქმედება, სამსახურებრივი უფლებამოსილების არაჯეროვნად გამოყენება ან გადამეტება, სამსახურებრივი გულგრილობა და მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება – საზოგადოებისთვის საშიში დანაშაულია და კანონის შესაბამისად ისჯება.

კორუფციის ნეგატიური შედეგები

კორუფციის სფერო	საზოგადოებრივი შედეგები
განათლება	✓ განათლების დაბალი ხარისხი ✓ საზოგადოებრიივი ცნობიერების დეგრადაცია ✓ არაპროფესიონალიზმი ყველა დარგში ✓ ღირებულებების გაუფასურება
სამართალდამ-ცავი ორგანოები	✓ პოლიციის მიმართ ნდობის დაკარგვა ✓ პოლიციის მუშაობის არაეფექტურობა ✓ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მოშლა ✓ კორუმპირებული მოხელეების რაოდენობის ზრდა ✓ უსამართლობის განცდა ✓ კრიმინალებისადმი არასამართლებრივი, შემწყნარებლური დამოკიდებულება
სამხედრო საქმე/თავდაცვა	✓ იარაღით უკანონო ვაჭრობა და გავრცელება ✓ ხელისუფლების მიმართ ნდობის დაკარგვა ✓ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მოშლა
მშენებლობა	✓ მშენებლობის სტანდარტების დარღვევა ✓ არამდგრადი და უხარისხო მასალების გამოყენება ✓ საზოგადოების წევრთა სიცოხლისათვის საფრთხის შექმნა
საბაჟო სისტემა	✓ კონტრაბანდული საქონლის და ნარკოტიკების შემოდინება ✓ ეკონომიკის დეგრადაცია ✓ ადგილობრივი საწარმოების გაკოტრება
საბანკო სისტემა	✓ ფულის დაკარგვა ✓ უნდობლობა სისტემის მიმართ

გაეცანით წყაროებს:

ამონარიდები სისხლის სამართლის კოდექსიდან

მუხლი 27. ჯგუფური დანაშაული

1. დანაშაული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში წინასწარ შეუთანხმებლად ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი.
2. დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად.
3. დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად მოქმედმა, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა, რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად ან რომლის მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება.
4. ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ორგანიზებული ჯგუფის შექმნისათვის ან ხელმძღვანელობისათვის დაეკისრება იმას, ვინც შექმნა ასეთი ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას. მასვე დაეკისრება პასუხისმგებლობა ამ ჯგუფის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის, თუ მათ მოიცავდა მისი განზრახვა. ორგანიზებული ჯგუფის სხვა მონაწილე პასუხს აგებს ჯგუფის მონაწილეობისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე იმ დანაშაულისათვის, რომლის მომზადებაშიც ან ჩადენაშიც იგი მონაწილეობდა.

შენიშვნა: ამ მუხლის მე-3 ნაწილის მიზნებისათვის, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფად მიიჩნევა ჯგუფი, რომელიც არ არის შემთხვევით შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად და რომელშიც არ არის აუცილებელი, ფორმალურად იყოს განაწილებული როლები მის წევრთა შორის, წევრობას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი ან ჩამოყალიბებული იყოს განვითარებული სტრუქტურა.

მუხლი 284. კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა

1. კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა, –
   ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.
2. იგივე ქმედება:
   ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;
   ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
   გ) არაერთგზის;
   დ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, –
   ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

შენიშვნა:

1. კომპიუტერული სისტემა არის ნებისმიერი მექანიზმი ან ერთმანეთთან დაკავშირებულ მექანიზმთა ჯგუფი, რომელიც პროგრამის მეშვეობით, ავტომატურად ამუშავებს მონაცემებს (მათ შორის, პერსონალური კომპიუტერი, ნებისმიერი მოწყობილობა მიკროპროცესორით, აგრეთვე მობილური ტელეფონი).
2. კომპიუტერული მონაცემი არის კომპიუტერულ სისტემაში დამუშავებისათვის ხელსაყრელი ნებისმიერი ფორმით გამოსახული ინფორმაცია, მათ შორის, პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირებას.
3. უნებართვო გულისხმობს უკანონოს, აგრეთვე იმ შემთხვევას, როდესაც უფლების მფლობელს პირდაპირ ან არაპირდაპირ არ გადაუცია უფლება ქმედების ჩამდენი პირისათვის.

4. ამ თავში მნიშვნელოვნად ითვლება 2000 ლარზე მეტი ოდენობის ზიანი.
5. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.

მუხლი 285. კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის უკანონოდ გამოყენება

1. კომპიუტერული პროგრამის ან/და სხვა მოწყობილობის, აგრეთვე კომპიუტერულ სისტემაში შეღწევისათვის საჭირო პაროლის, დაშვების კოდის ან სხვა მსგავსი მონაცემის უნებართვო დამზადება, შენახვა, გაყიდვა, გავრცელება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფა ამ თავითა და ამ კოდექსის 158-ე ან 159-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის მიზნით, –
   ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.
2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება:
   ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;
   ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
   გ) არაერთგზის;
   დ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, –
   ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ექვს წლამდე.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.

მუხლი 286. კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფა 1 +

1. კომპიუტერული მონაცემის უნებართვო დაზიანება, წაშლა, შეცვლა ან დაფარვა, –
   ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.
2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, აგრეთვე კომპიუტერული მონაცემის უნებართვო ჩასმა ან გადაცემა, რამაც კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირების განზრახ მნიშვნელოვანი შეფერხება გამოიწვია, –
   ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.
3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება:
   ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;
   ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
   გ) არაერთგზის;
   დ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, –
   ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.

ამონარიდები კანონიდან „ორგანიზებული დანაშაულის შესახებ“:

მუხლი 2. რეკეტი, რეკეტული დაჯგუფება, რეკეტირი +

1. რეკეტი არის შემოსავლის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის სისტემატურად მიღების მიზნით წარმოებული არაერთჯერადი და ორგანიზებული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია განზრახი დანაშაულის ჩადენასთან (თუ ნასამართლობა არ არის გაქარწყლებული ან მოხსნილი), თუ იგი განხორციელდა ორჯერ მაინც ხუთი კალენდარული წლის განმავლობაში, რომელშიც არ შედის რეკეტირის დაპატიმრებისა და სასჯელის მოხდის ვადა.
2. რეკეტულ დაჯგუფებად ითვლება თავისი საქმიანობით რეკეტთან დაკავშირებული

იურიდიული პირი, აგრეთვე ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირთა ნებისმიერი გაერთიანება.

3. რეკეტირი არის პირი, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა პირთან (პირებთან) ერთად წარმართავს რეკეტული დაჯგუფების საქმიანობას, ან სხვაგვარად მონაწილეობს რეკეტული დაჯგუფების საქმიანობაში და მისთვის ცნობილია, რომ ეს დაჯგუფება რეკეტული დაჯგუფებაა, აგრეთვე უკანონოდ წყვეტს რეკეტულ დაჯგუფებებს ან რეკეტულ დაჯგუფებასა და სხვა პირთა შორის დავებს ან მონაწილეობს ასეთი დავების გადაწყვეტაში.

მუხლი 3. ქურდული სამყარო, ქურდული სამყაროს წევრი, კანონიერი ქურდი +

1. ქურდული სამყარო – პირთა ნებისმიერი ერთობა, რომელიც მოქმედებს მათ მიერ დადგენილი/აღიარებული სპეციალური წესების შესაბამისად და რომლის მიზანია დაშინებით, მუქარით, იძულებით, დუმილის პირობებით, ქურდული გარჩევის გზით, დანაშაულებრივ ქმედებებში არასრულწლოვანთა ჩაბმით, დანაშაულის ჩადენით ან დანაშაულის ჩადენისაკენ წაქეზებით მისი წევრებისათვის ან სხვა პირებისათვის სარგებლის მიღება.
2. ქურდული სამყაროს წევრი – ნებისმიერი პირი, რომელიც აღიარებს ქურდულ სამყაროს და აქტიურად მოქმედებს ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად.
3. ქურდული გარჩევა – ქურდული სამყაროს წევრის მიერ ორ ან ორზე მეტ პირს შორის არსებული დავის გადაწყვეტა, რომელსაც ახლავს მუქარა, იძულება, დაშინება ან სხვა უკანონო ქმედება.
4. კანონიერი ქურდი – ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად ნებისმიერი ფორმით მართავს ან/და ორგანიზებას უწევს ქურდულ სამყაროს ან პირთა გარკვეულ ჯგუფს.

მუხლი 4. ოჯახის წევრი, ახლო ნათესავი, დაკავშირებული პირი +

1. რეკეტირის ან ქურდული სამყაროს წევრის ოჯახის წევრი არის მისი მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, აგრეთვე რეკეტირთან ან ქურდული სამყაროს წევრთან მუდმივად მცხოვრები პირი.
2. რეკეტირის ან ქურდული სამყაროს წევრის ახლო ნათესავი არის პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავი, და და ძმა, აგრეთვე მშობლისა და შვილის გერები, მეუღლის და, ძმა და მშობელი.
3. რეკეტირთან ან ქურდული სამყაროს წევრთან დაკავშირებული პირი არის პირი, რომელსაც იურიდიული დოკუმენტაციის საფუძველზე საკუთრებაში აქვს ქონება და არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომ იგი მიღებულია რეკეტის ან ქურდული სამყაროს წევრის დანაშაულებრივი ქმედების შედეგად და ამ ქონებით სარგებლობს რეკეტირი ან ქურდული სამყაროს წევრი.

მუხლი 5. რეკეტული ქონება, ქურდული სამყაროს წევრის ქონება +

1. რეკეტული ქონება არის რეკეტიდან მიღებული ქონება, ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რეკეტიდან მიღებული შემოსავლით შეძენილი ქონება, აგრეთვე რეკეტული დაჯგუფების, რეკეტირის, რეკეტირის ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის შემოსავალი, ქონება ან ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს.
2. ქურდული სამყაროს წევრის ქონება – ქურდული სამყაროს წევრის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის შემოსავალი, ქონება ან ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს.
3. რეკეტული და ქურდული სამყაროს წევრის ქონება ექვემდებარება ჩამორთმევას და მესამე პირის კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილების შემდეგ გადაეცემა მის კანონიერ მესაკუთრეს, ხოლო კანონიერი მესაკუთრის დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში – სახელმწიფოს.
4. რეკეტული და ქურდული სამყაროს წევრის ქონების ჩამორთმევის და სახელმწიფოსათვის გადაცემის წესი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

სიტუაცია 1 კიბერ გამოძალვა

ბიზნესმენი ჯ.შ. ევროპორეგის ჯაჭვში იჯდა, როდესაც პერსონალური კომპიუტერით მიიღო შეტყობინება „ენ. ფოსტა შეამოწმეთ!“ გადაეგზავნა ჯ.შ.-მ ფოსტა შეამოწმა. იქ საიტის მისამართი ეწერა, რომელიც გახსნა. ამასობაში მიიღო შემდეგი შეტყობინება – „ეს წუთია თქვენს კომპიუტერში ინტერნეტით შემოვუშვით ვირუსი, რომელიც 10 წთ-ში ყველა ფაილს წაგიშლით. თუ თქვენი ინფორმაციის ძვირფასია, მითითებულ ანგარიშზე გადარიცხეთ მოთხოვნილი თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა ფაილი გაგინადგურდებათ. ჩარიცხვისთანავე მოგწერთ პაროლს, რომლის შეყვანით ვირუსის მოქმედება შწყდება. დრო მიდის. უკვე 2 წთ-ია რაც, თქვენს ქსელში ვირუსია!“

ჯ.შ. დაიბნა, მაგრამ ინფორმაციის გადასარჩენად მოთხოვნა მაინც დროულად შეასრულა. მაგე შეტყობინებაც მიიღო.

მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ მან ელექტრონიზით მოისმინა ინფორმაცია, რომ ორგანიზებული ჯგუფის მიერ, რომელშიც არასრულწლოვანი ჰაკერიც იყო ჩართული, ფულის გამოძალვის მიზნით ქართულ ინტერნეტსივრცეში მორიგი კიბერშეტევა განხორციელდა – ამჯერად, ცნობილ ბიზნესმენებზე. სამართალდამცველებმა დამნაშავეების გამოვლენა შეძლეს. აღმოჩნდა, რომ იგივე ჯგუფი გართობის მიზნით სმირად ახალგაზრდა სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების საიტებს.

უპასუხეთ კითხვებს

- რა ტიპის დანაშაული ჩაიდინა ჯგუფმა?
- რა საფრთხეები მოაქვს მათ ქმედებას?
- რა სასჯელი ელით საქართველოს კანონმდებლობით? სამართლიანად მიგაჩნიათ ეს სასჯელი?
- როგორ უნდა დაიცვან თავი ინდივიდუალურმა ინტერნეტ მომხმარებლებმა კიბერკრიმინალებისაგან?

სიტუაცია 2 „სეირნობა“ ინტერნეტში

სანდრო და გაგა დღედაღამ ინტერნეტში თამაშობენ. ერთ დღეს ბიჭები მიყვნენ ერთ-ერთ ვებგვერდზე განთავსებულ ბმულს, რომელიც ფულის მოგებას ჰპირდებოდა ეროვნულ მერქვლობით. როცა საბანკო ანგარიშის ნომრისა და პინკოდის მოთხოვნა გამოჩნდა, ბიჭებმა ორგანიზატორების „შეცდომაში შეყვანა“ გადაწყვიტეს და შემთხვევითი ციფრებითა და ასოებით დაიწყეს მანიპულირება. გარკვეულ ხანში ისინი რომელიღაც, მათთვის გაუგებარ ბანაში აღმოჩნდნენ. მათ ზოგიერთი ინფორმაცია „ერთმანეთში აურიეს“, შემდეგ მობეზრდათ და კომპიუტერი მიაგოვეს.

რამდენიმე საათში ბიჭების სახელ სამართალდამცველების სპეციალურმა რაზმმა მოაკითხა. მათი მიზანი იყო იმ ჰაკერების დაკავება, რომელებმაც საფრთხილო მნიშვნელობის დაცულ ბანაში შეაღწიეს. ხელთ კი ორი არასრულწლოვანი შერჩათ, რომელებმაც არც კი იცოდნენ, რა ჩაიდინეს.

უპასუხეთ კითხვებს

- რამდენად რეალურად მიგაჩნიათ საფრთხე, რომ გლობალურ ქსელში დაუფიქრებელი მოქმედებით შესაძლებელია უნებურად „კიბერდამნაშავედ“ იქცეთ?
- როგორ შეიძლება ასეთი რისკის თავიდან არიდება?
- როგორი პასუხისმგებლობა დადგება სიტუაციის გმირების მიმართ კანონის მიხედვით?

კითხვები და დავალებები

11. რა წინაპირობები უწყობს ხელს ორგანიზებული დანაშაულის ჩადენას?
12. ვის მიერ და როგორი ნაბიჯების გადადგმაა საჭირო, რომ მოხდეს ქვეყანაში ორგანიზებული დანაშაულის პრევენცია?

დისკუსია

1. თქვენი აზრით, როგორ არის დამოკიდებული ორგანიზებული დანაშაულის არსებობა საზოგადოებაზე? შესაძლებელია ორგანიზებული დანაშაულის დამარცხება? მსჯელობა არგუმენტებით განამტკიცეთ.

2. ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ კორუფციასთან ბრძოლის შედეგი სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხით განისაზღვრება, ვინაიდან სამართალდამცავ ორგანოებში გავრცელებულ მექრთამეობას/ახლობლების დახმარებას, ქრთამის საფასურად ადამიანების დაუსჯელობას და იურიდიული კონსულტაციის არათანაბარ ხელმისაწვდომობას შედეგად მოჰყვება მიკერძოებული განაჩენი, რაც, თავის მხრივ, ისევ კორუფციის „აყვავებას“ განაპირობებს.

შეჯამება

1. **ორგანიზებული დანაშაული საზოგადოებისათვის, ყველა მოქალაქისათვის უდიდესი საფრთხის შემცველია. ორგანიზებული დანაშაული ცალკეულ მოქალაქეებს თუ მოქალაქეთა ჯგუფების პიროვნულ უფლებებს, თავისუფლებებს, ქონებასა და თვით სიცოცხლესაც საფრთხის ქვეშ აყენებს.**
2. **მისი გავლენა საზოგადოებაზე დიდია, ვინაიდან იწვევს დაშინებას, ფიზიკურ და მორალურ დეგრადაციას.**
3. **კორუფცია საზოგადოების გარკვეულ ნაწილს კანონზე მაღლა აყენებს. ეს გარემოება დანაშაულისკენ უბიძგებს საზოგადოების სხვა წევრებსაც.**

5.2. ტრეფიკინგი

ტრეფიკინგი ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი სახეა და **ადამიანებით ვაჭრობას** ნიშნავს, როდესაც სარგებლის მიღების მიზნით ადამიანს მისი **ნების საწინააღმდეგოდ**, მოტყუებით, უმწეობის გამოყენებით ან საფასურის სანაცვლოდ იმ პირს გადასცემენ, რომელიც მას ექსპლუატაციას უწევს.

ადამიანებით, მათ შორის ბავშვებით, ვაჭრობა უხსოვარი დროიდან დაიწყო. ისტორიამ მრავალი მაგალითი იცის, როცა ადამიანებს, როგორც ნივთს, ისე ეპყრობოდნენ. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ფაბრიკებში მეპატრონეები ღარიბებისა და მათი ბავშვების უფასო შრომას იყენებდნენ და მათ მხოლოდ მცირედი საკვების საფასურად ყოველდღიურად 16 საათს ამუშავებდნენ. ღამით კი ჯაჭვით აბამდნენ ან კეტავდნენ, რომ არ გაქცეულიყვნენ.

XXI საუკუნეში ადამიანის მიმართ ასეთი სასტიკი დამოკიდებულება წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია, რომ ტრეფიკინგი თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა და ის კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ ყველაზე დიდ ოთხ დანაშაულს შორის მოიაზრება **ტერორიზმთან, ნარკოტიკებით ვაჭრობასა და იარაღით ვაჭრობასთან ერთად.**

ტრეფიკერი არის ადამიანით მოვაჭრე პირი ან ორგანიზაცია. ტრეფიკინგში ჩართული ორგანიზაციები ხშირად იცვლიან სახელსა და მისამართს, რაც ართულებს მათი პოტენციური კლიენტების გაფრთხილებას მოსალოდნელი საშიშროების შესახებ, რომელიც შემდეგში გამოიხატება:

- მათ მიერ გაცემული ვიზა იქნება ყალბი;
- მსხვერპლს შეპირდებიან, რომ კანონიერად დაასაქმებენ;
- ჩართავენ ადამიანებით ვაჭრობაში;
- აიძულებენ, შეასრულოს მონური სამუშაო.

ტრეფიკერები ადამიანებს უკეთესი ცხოვრების დაპირებით იზიდავენ, შემდეგ კი მონობის პირობებში აყენებენ და უსამართლო, არაჰუმანურ ან ძალადობრივ პირობებში ცხოვრებასა და მუშაობას აიძულებენ.

ლექსიკონი

ტრეფიკინგი *(trafficking)* – ადამიანით ვაჭრობა, ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება.

ტრეფიკერი – ადამიანით მოვაჭრე.

მიგრაცია *(ლათ. Migratio - გადასახლება)* – ადამიანის გადაადგილება ან გადასახლება სხვადასხვა ვადით (დროებით, სეზონურად ან სამუდამოდ), რომელიც ადმინისტრაციული საზღვრების (ქალაქის, ქვეყნის და სხვა) გადაკვეთაში გამოიხატება.

ექსპლუატაცია – ადამიანის გამოყენება იძულებითი შრომის, დანაშაულში ან მონობის მსგავს მდგომარეობაში ჩაყენების მიზნით.

ადამიანის მონობის პირობებში ჩაყენება – ადამიანისთვის დოკუმენტების ჩამორთმევა, თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვა, ოჯახთან კავშირის, მიმოწერისა და სატელეფონო კონტაქტების აკრძალვა, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ან არაადეკვატური ანაზღაურებით მუშაობის იძულება.

ტრეფიკინგი ხშირად ნებაყოფლობითი მიგრაციით იწყება. ოჯახებიდან „ბედის საძიებლად“ და შემოსავლის მისაღებად წასულ არალეგალურ მიგრანტთა უდიდესი ნაწილი საზღვარგარეთ ტრეფიკერთა ხელში ხვდება და დაპირებული „ბედნიერების“ ნაცვლად იზოლაციაში, სისასტიკისა და გაუსაძლისი შრომის პირობებში აღმოჩნდება. მათ არა აქვთ საშუალება, ახლობლებს თავიანთი გასაჭირის შესახებ შეატყობინონ და დახმარება სთხოვონ.

ტრეფიკინგის მსხვერპლი არა მხოლოდ ზრდასრული ქალები და მამაკაცები, არამედ 15-17 წლის მოზარდები და უფრო მცირე ასაკის ბავშვებიც ხდებიან, რომლებიც ტრეფიკერებს ქვეყნის გარეთ ლეგალური ნებართვის გარეშე, ყალბი დოკუმენტებით გაჰყავთ. ტრეფიკერები არასრულწლოვნებს საზღვარზე გადაყვანისას პასპორტში ასაკს უმატებენ ან სხვის პასპორტში შვილად წერენ.

სისხლის სამართლის კოდექსით ცალკეა გათვალისწინებული **არასრულწლოვნით ვაჭრობა** (ტრეფიკინგი), როგორც მძიმე დანაშაული. ის გულისხმობს არასრულწლოვნის ყიდვა-გაყიდვას, მის გადაყვანას, გადამალვას, დაქირავებას, ტრანსპორტირებას, შეფარებას ან მიღებას შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით. ტრეფიკერის ასეთი ქმედება რვიდან თორმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება.

ტრეფიკინგი ადამიანის უფლებების უხეში დარღვევაა, ის მსხვერპლს დიდ სულიერ და ფიზიკურ ზიანს აყენებს. ტრეფიკინგის მსხვერპლი, შეცვალოს საკუთარი ბედი სამართალდამცავების დახმარების გარეშე უძლურია.

2000 წელს ქალაქ პალერმოში მსოფლიოს სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების კონვენციას და მასთან ერთად ოქმს – ადამიანების, განსაკუთრებით, ქალებისა და ბავშვების ტერფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ტრეფიკინგს ებრძვის, ცდილობს მის პრევენციას და მსხვერპლთა დაცვაზე ზრუნავს, სხვადასხვა უფლებადაცვითი ორგანიზაციები კი ატარებენ ტრეფიკინგის საწინააღმდეგო სპეციალურ ღონისძიებებს, დღეს მსოფლიოში არ არსებობს ისეთი სახელმწიფო, რომელშიც ამ საშინელი დანაშაულის ჩადენა შეუძლებელი იქნებოდა. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ ადამიანები ინფორმირებული იყვნენ ტრეფიკინგის შესახებ, იცოდნენ, როგორ იმოქმედონ სხვადასხვა ეტაპზე და როგორ დაიცვან თავი.

ტრეფიკინგის **პრობლემის წინააღმდეგ** ყველა განვითარებული **სახელმწიფო იბრძვის**. ტრეფიკინგი საქართველოს კანონმდებლობითაც დასჯადი ქმედებაა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1431 მუხლის მიხედვით, „ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) არის დანაშაული და ითვალისწინებს უმკაცრეს სასჯელს“.

2006 წელს საქართველოში „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონი ამოქმედდა. მისი ძირითადი მიზანია, რომ ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა უფლებების დაცვის საშუალებით ადამიანით ვაჭრობის თავიდან აცილება უზრუნველყოს და მის წინააღმდეგ ბრძოლას ხელი შეუწყოს.

თუ ტრეფიკინგის მსხვერპლი დროულად მიმართავს უფლებადაცვით ან სამართალდამცავ ორგანოებს, შემდგომ საფრთხეს თავიდან აირიდებს.

ტრანს-სასაზღვრო ტრეფიკინგისაგან დაცვა

ტრეფიკინგის ეტაპი	არსი	ხერხები	დაცვა
პირველი ეტაპი	გადაბირება	• შანტაჟით, მოტყუებით • იძულებით • ძალისმიერი გზით	• გადაამოწმეთ რეგისტრირებულია თუ არა კომპანია • მოითხოვეთ კონტრაქტი • მიმართეთ რჩევისთვის იურისტს
მეორე ეტაპი	გადაყვანა ტრანსპორ-ტირება	• მუქარით, მოტყუებით ქვეყნის ფარგლებში გადაადგილება • ფარულად (გადაპარვით) • კანონიერად ან უკანონოდ ქვეყნის საზღვრების გადაკვეთა	• ეცადეთ, გამგზავრებამდე შეისწავლოთ იმ ქვეყნის ენა • მოითხოვეთ შესაბამისი ვიზა • მოიპოვეთ ინფორმაცია იმ ქვეყანაში საქართველოს წარმომადგენლობის შესახებ • გაუფრხილდით პასპორტს, პირად დოკუმენტებს
მესამე ეტაპი	ექსპლუატაცია	• ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით ადამიანებით მოვაჭრის მიერ მსხვერპლის გამოყენება ან გაყიდვა • ადამიანის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება • იძულებით შრომაში, დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩართვა • იზოლირება (ჩაკეტვა)	დაუკავშირდით ჩვენი ქვეყნის საელჩოს ან საკონსულოს, დაუკავ-შირდით სამართალდამ-ცავ ორგანოებს

გაეცანით წყაროებს:

ამონარიდები სისხლის სამართლის კოდექსიდან

მუხლი 1431. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

1. ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ანდა სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით, –
   ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თორმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი:
   ა) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ;
   ბ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ანდა სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ;
   გ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, –
   ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თოთხმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.
3. იგივე ქმედება, ჩადენილი:
   ა) არაერთგზის;
   ბ) ორი ან მეტი პირის მიმართ;
   გ) დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით;
   დ) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, –
   ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან თხუთმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.
4. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება:
   ა) ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ;
   ბ) რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, –
   ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

შენიშვნა:

1. კოდექსის ამ და 1432 მუხლების მიზნებისათვის ექსპლუატაციად მიიჩნევა დამნაშავის მიერ მატერიალური ან სხვაგვარი სარგებლის მიღების მიზნით:
   ა) შრომის ან მომსახურების გაწევის იძულება;
   ბ) სექსუალური მომსახურების გაწევის იძულება;
   გ) პირის დანაშაულებრივ საქმიანობაში, პროსტიტუციაში, პორნოგრაფიაში ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმა;
   დ) ადამიანის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის იძულებით ან მოტყუებით ამოღება, გადანერგვა ან სხვაგვარად გამოყენება;
   ე) ადამიანის მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება. ადამიანის მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება გულისხმობს მისთვის ისეთი მდგომარეობის შექმნას, როდესაც ის ანაზღაურებით, არაადეკვატური ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე, სხვა პირის სასარგებლოდ ასრულებს სამუშაოს ან ეწევა მომსახურებას და მას არ შეუძლია ამ გარემოების შეცვლა ამ პირზე დამოკიდებულების გამო. პირზე დამოკიდებულება შეიძლება გამოწვეული იყოს, მათ შორის:

ე.ა) პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ჩამორთმევით, კონტროლით ან განზრახ ხელყოფით;
ე.ბ) თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვით ან თავისუფალი გადაადგილების კონტროლით;
ე.გ) ოჯახის წევრთან ან სხვა პირთან კომუნიკაციის, მათ შორის, მიმოწერისა და სატელეფონო კონტაქტის, შეზღუდვით ან კონტროლით;
ე.დ) იძულებითი ან დამაშინებელი გარემოს შექმნით.

2. კოდექსის ამ და 1432 მუხლების მიზნებისათვის პირის წინასწარგანზრახულ ექსპლუატაციაზე მის თანხმობას მნიშვნელობა არ აქვს.
3. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.

მუხლი 1432. არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

1. არასრულწლოვნის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მისი გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით, –
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი:
ა) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ;
ბ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ანდა სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ;
გ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, –
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თერთმეტიდან თხუთმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.
3. იგივე ქმედება, ჩადენილი:
ა) არაერთგზის;
ბ) იძულებით, შანტაჟით ან მოტყუებით;
გ) ორი ან მეტი არასრულწლოვნის მიმართ;
დ) დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით;
ე) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, –
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თოთხმეტიდან ჩვიდმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.
4. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება:
ა) ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ;
ბ) რამაც გამოიწვია არასრულწლოვნის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, –
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ჩვიდმეტიდან ოც წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ანდა უვადო თავისუფლების აღკვეთით.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.

მუხლი 1433. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა

1. წინასწარი შეცნობით ამ კოდექსის 1431 და 1432 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის მსხვერპლის ან დაზარალებული პირის ისეთი მომსახურებით სარგებლობა, რომელიც ამავე კოდექსის 1431 მუხლის თანახმად წარმოადგენს ექსპლუატაციას, –
ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ოთხ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) არაერთგზის;
ბ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ;
გ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ანდა სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ;
დ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, –
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შვიდ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი:
ა) ორი ან მეტი პირის მიმართ;
ბ) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, –
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თორმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, –
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან თხუთმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

შენიშვნა: პირი, რომელმაც ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედება ჩაიდინა, გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მან ამის თაობაზე ინფორმაცია გამოძიების დაწყებამდე წერილობით ან კომუნიკაციის ნებისმიერი ტექნიკური საშუალების გამოყენებით, ნებაყოფლობით მიაწოდა საგამოძიებო ორგანოებს, ხელი შეუწყო გამოძიების წარმართვას და მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.

ამონარიდი საქართველოს კანონიდან „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“

მუხლი 212 . ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ, დაზარალებულ არასრულწლოვანთა სამართლებრივი დაცვა

1. სახელმწიფო თავისი უფლებამოსილი ორგანოების მეშვეობით იღებს ზომებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, დაზარალებული არასრულწლოვნის ვინაობის, მოქალაქეობის, მშობლების, ოჯახის ადგილსამყოფლის დასადგენად. საჭიროების შემთხვევაში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ, დაზარალებულ არასრულწლოვანს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ენიშნება მეურვე/მზრუნველი.
2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, დაზარალებული არასრულწლოვნის ვინაობა და სხვა პერსონალური მონაცემები საიდუმლოა და მათი გამჟღავნება აკრძალულია (ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის ასევე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის), გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა, როცა საჭიროა მისი მშობლებისა და ოჯახის ადგილსამყოფლის დადგენა და აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნება საფრთხეს არ უქმნის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, დაზარალებული არასრულწლოვნის უსაფრთხოებას.
3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, დაზარალებული არასრულწლოვანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინფორმაციით მისი უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, ასევე მისი დახმარებისა და რეაბილიტაციის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე. არასრულწლოვანს ინფორმაცია მიეწოდება მისთვის გასაგებ ენაზე, მისი ასაკის გათვალისწინებით.
4. დაუშვებელია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, დაზარალებული არასრულწლოვნის დაკავების ადგილას და პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსება ამ კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

სიტუაცია 1 ანაზღაურების გარეშე მუშაობა

ნუგზარმა ჯერჯერობით დაიწყო მუშაობა. სამუშაო მძიმე და სპეციალიზებული იყო და ღამისთევას მოითხოვდა. ნუგზარი ძალიან იღლებოდა, მაგრამ იმ იმედით, რომ საკუთარი შემოსავალი ექნებოდა, თავს არ ზოგავდა. თვის ბოლოს, ხელფასის გადახდის დრო რომ დადგა, დამქირავებლებმა თანამშრომლებს ბოდიში მოუხადეს, რომ ფინანსური პრობლემების გამო ხელფასს ჯერ ვერ გასცემდნენ. სთხოვეს, ერთი თვე მოითმინათ, მომდევნო თვის ბოლოს კი ყველას სრულად აუნაზღაურდებოდა შრომა. ნუგზარმა დაიჯერა და ისევ თავდაუზოგავად მუშაობდა, მაგრამ მეორე თვის ბოლოსაც იგივე განმეორდა. მაგე სხვა თანამშრომლებისაგან შეიცყო, რომ ამ კომპანიაში ადამიანებს ანაზღაურების გარეშე თვეობით ამუშავებდნენ, შემდეგ ან არასრულად უხდიდნენ ხელფასს ან გაურკვევლ მიზეზს გამოუძებნიდნენ და უხელფასოდ ათავისუფლებდნენ.

უპასუხეთ კითხვებს

- თქვენი აზრით, შეიძლება, ნუგზარი საკუთარ სამშობლოში ტრეფიკინგის მსხვერპლად განვიხილოთ?
- რატომ ფიქრობთ ასე?

სიტუაცია 2 შეთავაზებით მოტყუებულები

ნაცა და ნონა აღფრთოვანდნენ საგანგებო რეკლამით, რომელიც საზღვარგარეთ სამოდელო ბიზნესში მუშაობას ეხებოდა. მათ მითითებულ მისამართს მიაკითხეს და შეხვედრით იმდენად კმაყოფილი დარჩნენ, რომ აღარ უფიქრიათ საბუნებრივ შესახებ ინფორმაცია დაეზუსტებინათ. ქვეყნიდან გასვლის სურვილმა და წარმატებული ცოვ-მოდელის ვერსიქცევამ არა მარცხი გოგონებს, არამედ მათ მშობლებსაც დაავიწყა უსაფრთხოება. კომპანიამ ვიზები მოამზადა და გოგონებს დაჰპირდა, რომ საბერძნეთში ჩასულებს პარტნიორი ორგანიზაცია დახვდებოდათ. ორივე ოჯახმა წინასწარ საკმაოდ დიდი თანხა გადაიხადა და გამგზავრებისათვის დაიწყო მზადება.

საკონსულოში გასაუბრებაზე მისულმა გოგონებმა ბოლოცის წარმომადგენლის ყურადღება მიიპყრეს; ბოლოცია დაუკავშირდა სხვადასხვა ორგანიზაციას თავის ქვეყანაში და ვიზის წარმდგენის შესახებ ინფორმაცია მიიღო. აღმოჩნდა, რომ დოკუმენტებში დაფიქსირებული „უცხოური პარტნიორი" ორგანიზაციის შესახებ არსებობდა ეჭვი, რომ მათი ვიზით ქვეყანაში ჩასულებს ექსპუატაციორებს გადასცემდნენ, რომელებიც ამაზე გოგონებს ღამის ბარებსა თუ კლუბებში იძულებით სამუშაოს ასრულებინებდნენ. გაქცევის საშუალება რომ არ ჰქონოდათ, ორგანიზაციის წარმომადგენლები მათ პასპორტებს ართმევდნენ. სამართალდამცავები ვერ ახერხებდნენ დამნაშავეთა დაჭერებას, რადგან საბუთების გარეშე დარჩენილი გოგონები ბოლოცურ სტრუქტურებს ვერ მიმართავდნენ. ნონა და ნაცას გაუჭირდათ ასეთი ინფორმაციის დაჯერება. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ მათ მსგავსი პრობლემა არ შეექმნებოდათ, ამიტომ საზღვარგარეთ წასასვლელად სხვა გზები დასახეს.

სიტუაცია 3 ტრეფიკინგის მსხვერპლი

აჭარაში მცხოვრები 20 მოქალაქე, რომელებსაც ნაცნობებმა თურქეთში სამუშაოდ წასვლა ვინმე რამაზის დასაქმების ბიუროს საშუალებით შესთავაზეს, თურქი ფირმერის ხელში მოხვდა. ორი წლის განმავლობაში ისინი ორასამდე სხვა მუშასთან ერთად კარტოფილის პლანტაციებში ანაზღაურების გარეშე მუშაობდნენ. ჯაჭვით დაბმულებს, დღე-ღამეში მხოლოდ 2 სთ ძალუძდათ ძილის საშუალება.

„სარიჯლის დასახლებაში ათობით ქართველს მონურად გვაწრომებდნენ. საშინელ პირობებში ვიყავით, არ იყო საპირფარეშო, დღეში ერთხელ მხოლოდ კარტოფილის ან ბარდის წვნიანს გვაჭმევდნენ, სარდაფში გვიკეტავდნენ და თავზებიით ჩაძინებულები იაცაკზე ვიძინებდით. უკან დაბრუნებას ვითხოვდით, რას არ ვპირდებოდით, მაგრამ უარს გვუბნებოდნენ. ჩვენ არც გზის ფული გვქონდა და საბუთებიც რამაზმა დაიტოვა." – განუცხადეს ფურნალისტებს სამართალდამცავების მიერ გათავისუფლებულმა პირებმა, რომელებიც ტრეფიკინგის მსხვერპლი იყვნენ.

კითხვები და დავალებები

1. გაეცანით წყაროებს. თქვენი აზრით, კანონში „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ რატომ არის ცალკე გამოყოფილი მუხლი ტრეფიკინგისგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ?
2. ჩამოაყალიბეთ პუნქტებად, რა მექანიზმებით იცავს სახელმწიფო არასრულწლოვანს ტრეფიკინგისგან?
3. ჯგუფში წაიკითხეთ **„სიტუაცია 1“**.
   • როგორ ფიქრობთ, ტრეფიკინგის მსხვერპლია ნუგზარი? რა გაძლევთ ასეთი შეფასების საფუძველს?
   • რას ურჩევთ მას, როგორ იმოქმედოს?
4. ჯგუფში გაეცანით **„სიტუაცია 2“**-ს და უპასუხეთ კითხვებს:
   • რატომ არ სჯერათ გოგონებს, რომ შეიძლება ტრეფიკინგის მსხვერპლი გახდნენ?
   • რამდენად არიან ისინი დაზღვეული ტრეფიკინგის საფრთხისგან?
   • თქვენი აზრით, რატომ არ მიმართავენ უცხო ქვეყანაში „მონებად“ მყოფი ადამიანები სამართალდამცავებს დასახმარებლად?
5. გაეცანით **„სიტუაცია 3“**-ს და უპასუხეთ კითხვებს:
   • რატომ გახდნენ ეს ადამიანები ტრეფიკინგის მსხვერპლი?
   • თქვენი აზრით, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ეს ადამიანები საზღვარგარეთ ტყვეობაში ყოფნის დროს?
   • თქვენი აზრით, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ისინი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ?
6. როგორ უნდა დაიცვას ადამიანმა თავი, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლი არ გახდეს?

დისკუსია

1. როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, რომელიც ტრეფიკინგის მსხვერპლი აღმოჩნდა?

შეჯამება

1. **ტრეფიკინგი არის სისხლის სამართლის დანაშაული.**
2. **წინდახედული და ინფორმირებული ადამიანი არ გახდება ტრეფიკინგის მსხვერპლი.**
3. **სახელმწიფო ებრძვის ტრეფიკინგს, ახორციელებს დანაშაულის პრევენციას და იცავს მსხვერპლს.**
4. **თუ ადამიანი ტრეფიკინგის მსხვერპლი გახდა, არ უნდა შეეგუოს ამ მდგომარეობას, არ უნდა დაკარგოს იმედი, ითხოვოს დახმარება და იბრძოლოს ბოლომდე.**

თემა VI
ადამიანის უფლებათა დაცვის საშუალებები

6.1. სახალხო დამცველი და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი

სახალხო დამცველი (ომბუდსმენი)

სამართლებრივ სახელმწიფოში ხელისუფლება შეზღუდულია ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით. ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები მოქმედებენ როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი. მიუხედავად იმისა, რომ ყველა სახელმწიფო ორგანო, იქნება ეს პრეზიდენტი, პარლამენტი, რომელიმე სამინისტრო, პოლიცია თუ თვითმმართველობის ორგანო, საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას ვალდებული არიან, დაიცვან ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. სახელმწიფო ქმნის სპეციალურ სახელმწიფო დაწესებულებებს, რომელთა ძირითად მოვალეობას ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვაზე ზედამხედველობა წარმოადგენს.

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ზედამხედველობას საქართველოს სახალხო დამცველი უწევს.

სახალხო დამცველს ასევე უწოდებენ ომბუდსმენსაც. პირველი ომბუდსმენის ინსტიტუტი 1809 წელს შვედეთში ჩამოყალიბდა. მის ჩამოყალიბებას წინ უძღოდა შვედეთის მეფე კარლ მეთორმეტეს მარცხი პოლტავასთან ბრძოლაში, რის შემდეგაც შვედეთი სრულმა ქაოსმა მოიცვა. თურქეთში მყოფმა მეფე კარლმა, ქაოსის აღმოსაფხვრელად 1713 წელს გამოსცა აქტი შვედეთის სამეფო ომბუდსმენის შექმნის

ლექსიკონი

პირდაპირი დისკრიმინაცია – ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს უფლებებით სარგებლობისას რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით.

ირიბი დისკრიმინაცია – ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს.

მონაცემთა დამუშავება – მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება.

შესახებ, რომლის ფუნქციაშიც ქვეყანაში კანონების განხორციელებასა და მოხელეების მიერ მოვალეობების შესრულებაზე ზედამხედველობა შედიოდა. ამ თანამდებობას „იუსტიციის კანცლერი“ ეწოდა.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში საზოგადოებრივი პირობების ლიბერალიზაციამ შვედეთში კონსტიტუციური ნორმების წარმოშობას შეუწყო ხელი. 1809 წელს შვედეთის რიკსდაგმა მიიღო დოკუმენტი მართვის შესახებ, რომლის მიხედვითაც მეფისა და პარლამენტის უფლებამოსილების გასათანასწორებლად სპეციალური საპარლამენტო კომისარი (ომბუდსმენი) ირჩეოდა. მას თვალყური უნდა ედევნებინა, თუ როგორ შეასრულებდნენ სასამართლოები და ხელისუფლების სხვა ორგანოები პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს. დასაწყისშივე ომბუდსმენს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სხვა ორგანოთა საქმიანობაზე კონსტიტუციური კონტროლი დაეკისრა და დაევალა მოქალაქეთა უფლებების დაცვა ადმინისტრაციის თვითნებობისაგან. 1919 წლიდან მსგავსი ორგანოები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებშიც იწყებს დაარსებას.

საქართველოში სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) ინსტიტუტი 1995 წლის კონსტიტუციით დაარსდა. მისი უფლებამოსილება განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით სახალხო დამცველის შესახებ. სახალხო დამცველი საკუთარი საქმიანობისას დამოუკიდებელია და მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს ემორჩილება. მისი საქმიანობისას დაბრკოლებების შექმნა კანონით ისჯება.

საქართველოს სახალხო დამცველს უფლება აქვს, შეისწავლოს ნებისმიერი პირის განცხადება და საჩივარი, თუ განმცხადებელი სადავოდ ხდის საჯარო დაწესებულების მხრიდან ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას. თუ სახალხო დამცველი დაადგენს, რომ ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას, ის უფლებამოსილია შესაბამისი რეკომენდაციით, წინადადებით მიმართოს იმ სახელმწიფო ორგანოს, რომლის ქმედებამაც გამოიწვია უფლებათა დარღვევა და დარღვეული უფლების აღდგენა მოითხოვოს.

სახალხო დამცველი ადამიანის უფლებათა შესახებ საქართველოს პარლამენტს ყოველწლიურად წარუდგენს ანგარიშს.

საქართველოს სახალხო დამცველთან არსებობს სპეციალური პრევენციული ჯგუფი, რომელიც რეგულარულად ამოწმებს დაკავებულ, პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ პირთა და მსჯავრდებულთა, აგრეთვე ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, მოხუცთა თავშესაფრებსა და ბავშვთა სახლებში მოთავსებულ პირთა მდგომარეობას და მათდამი მოპყრობას – წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისაგან ან სასჯელისაგან დაცვის მიზნით.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც სათანადო განათლება, პროფესიული გამოცდილება აქვს და საქმიანი და მორალური თვისებებით პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესრულება შეუძლია.

საქართველოს სახალხო დამცველი ასევე განიხილავს იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის ან პირთა ჯგუფის განცხადებას და საჩივარს, ვინც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა,

სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა...“ შესაბამისად, საქართველოში ყველა თანასწორია და პირთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა (დისკრიმინაცია) აკრძალულია.

სახალხო დამცველი შეისწავლის **პირდაპირი დისკრიმინაციის და ირიბი დისკრიმინაციის** ფაქტებს როგორც განცხადების ან საჩივრის არსებობისას, ისე საკუთარი ინიციატივით და შესაბამის რეკომენდაციას გამოსცემს. ის ასევე უფლებამოსილია, სასამართლოს მიმართოს, თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ მის რეკომენდაციას არ უპასუხა ან არ გაიზიარა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი

ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენს შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა სახელმწიფო ან კერძო უწყებებისათვის ხელმისაწვდომი ხდება. ეს ინფორმაცია შესაძლოა შეიცავდეს ისეთ მონაცემებს, როგორიცაა ჩვენი სახელი, გვარი, მისამართი, პირადი ნომერი. ზოგიერთი ინფორმაცია განსაკუთრებული კატეგორიისაა. მას განეკუთვნება ინფორმაცია რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიულ კავშირში გაწევრებასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან, ნასამართლობასთან, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან, პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან, პირთან საპროცესო შეთანხმების დადებასთან, განრიდებასთან, დანაშაულის მსხვერპლად აღიარებასთან ან დაზარალებულად ცნობასთან და სხვ. დაკავშირებით.

საქართველოს კანონმდებლობით, აღნიშნულ მონაცემებს პერსონალური მონაცემები ჰქვია, წარმოადგენს ჩვენს პირად საიდუმლოებას და როგორც წესი, ღია არაა.

საქართველოს კონსტიტუციის 41.2-ე მუხლის თანახმად: „ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად არის აუცილებელი.“

იმისათვის, რომ ჩვენს პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია ყველასათვის ხელმისაწვდომი არ იყოს და მათი **დამუშავება** მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით მოხდეს, საქართველოში მოქმედებს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, რომლის შესრულებაზე კონტროლს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი ახორციელებს.

სიტუაცია 1

თამარი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია და მას ეცლის გარეშე გადაადგილება არ შეუძლია. ქალაქში, სადაც თამარი ცხოვრობს, საზოგადოებრივი ტრანსპორტი ადაპტირებული არ არის და მასში ეცლით ასვლა არ შეუძლია. თუმცა საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა შეუძლიათ თამარის სხვა თანამგზავრებს.

სიტუაცია 2

გიორგი იეჰოვას მოწმეა. საკუთარი რელიგიის საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობას უკრძალავს, რის გამოც მას სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლა არ შეუძლია. მიუხედავად ამისა სახელმწიფო მისგან დატოვებით მოითხოვს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევას ისე, როგორც სხვა მოქალაქეებისაგან. სახელმწიფო მიიჩნევს, რომ თუ გიორგის არ დაავალდებულებს სამხედრო სამსახურის ისეთივე, ფორმით მოხდას, როგორც სხვა მოქალაქეებს, ეს იქნება დისკრიმინაციული მოპყრობა სხვების მიმართ.

სიტუაცია 3

მუზეუმის ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება, დამთვალიერებლთა დარბაზში აკრძალა პირების შესვლა, რომელთაც ჯაბა აცვიათ.

სიტუაცია 4

საჯარიმომ მიიღო გადაწყვეტილება, სპეციალური სამსის გარეშე შენობაში არ დაეშვა მოქალაქეები, რომელთაც ღია ფერის თმა აქვთ.

უპასუხეთ კითხვებს

თითოეული სიტუაციის მიხედვით უპასუხეთ შემდეგ შეკითხვებს და იმსჯელეთ:

1. აქვს თუ არა ადგილი ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევას?
2. დადებითი პასუხის შემთხვევაში როგორი სახის დისკრიმინაციაა (პირდაპირი თუ ირიბი?);
3. რა ნიშნით მოხდა დისკრიმინაცია?
4. ვინ არის პასუხისმგებელი, რომ აღმოიფხვრას დისკრიმინაცია და რა გზით?

შეჯამება

1. **ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფო ორგანოთა ვალდებულებაა;**
2. **ადამიანის უფლებათა დაცვას საქართველოში ზედამხედველობს საქართველოს სახალხო დამცველი;**
3. **პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე კონტროლს ახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი;**
4. **საქართველოს კანონმდებლობა იცავს პირებს დისკრიმინაციული მოპყრობისაგან;**
5. **სახალხო დამცველთან არსებული სპეციალური პრევენციული ჯგუფი მონიტორინგის გზით რეგულარულად ამოწმებს თავისუფლების შეზღუდვისა და აღკვეთის ადგილებში ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.**

6.2. სასამართლოს საქმიანობა

სასამართლო ხელისუფლება

საქართველოში სასამართლო სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია, განახორციელოს მართლმსაჯულება, განიხილოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმე, გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილებები. სასამართლო ხელისუფლება სახელმწიფო ხელისუფლების სხვა შტოებისაგან დამოუკიდებელია.

მართლმსაჯულება სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმაა, რომელსაც სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალწარმოებათა მეშვეობით საერთო სასამართლოები ახორციელებენ.

საქართველოს საერთო სასამართლოებია: რაიონული (საქალაქო) სასამართლო, სააპელაციო სასამართლო, საქართველოს უზენაესი სასამართლო. მათ მინიჭებული აქვთ უფლებამოსილება, განიხილონ და გადაწყვიტონ სამოქალაქო, სისხლის და სხვა კატეგორიის საკითხები და დამნაშავეს სამართლიანი განაჩენი გამოუტანონ.

სასამართლო **დამოუკიდებელი და მიუკერძოებელია** – ვალდებულია, მხარეებს შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად ისე, რომ უპირატესობა არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს.

საქართველოში მართლმსაჯულება ხორციელდება სამი სასამართლო ინსტანციის მიერ:

ა) **რაიონული (საქალაქო) სასამართლო არის პირველი ინსტანციის სასამართლო,** რომელიც მიკუთვნებულ საქმეს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის

ლექსიკონი

მანტია – გრძელი, ფართო წამოსასხამი.

მოსამართლე – საერთო სასამართლოს თანამდებობის პირი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არჩეული ან დანიშნულია მოსამართლედ და ერთპიროვნულად ან კოლეგიის შემადგენლობაში ახორციელებს მართლმსაჯულებას.

პროკურატურა – სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანო. ამ ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად პროკურატურა ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას.

გამომძიებელი – სახელმწიფო თანამდებობის პირი, რომელიც უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის

ფარგლებში აწარმოოს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება.

პროკურორი – თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს სახელმწიფოს სახელით. სასამართლოში ის არის სახელმწიფო ბრალმდებელი.

ადვოკატი – უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე, თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი. ადვოკატი ეწევა საადვოკატო საქმიანობას, რაც მოიცავს მის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის,

შესაბამისად განიხილავს ერთპიროვნულად ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კოლეგიურად, სამი მოსამართლის შემადგენლობით. ძირითადად, მოსამართლე საქმეს ერთპიროვნულად განიხილავს.

ბ) თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოები – საპროცესო კანონით დადგენილი წესით, კოლეგიურად, სამი მოსამართლის შემადგენლობით განიხილავს საჩივრებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების გადაწყვეტილებებზე.

გ) საქართველოს უზენაესი სასამართლო – საკასაციო სასამართლო – საქმეს განიხილავს კოლეგიურად. საქართველოს უზენაესი სასამართლო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლოა. საქართველოში ყველა ინსტანციის მოსამართლეებს შავი მანტიები აცვიათ.

საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის შემთხვევაში ყველა ადამიანს შეუძლია მიმართოს სასამართლოს, რომ დაიცვას საკუთარი უფლებები და თავისუფლებები.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არის საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო. მას, სხვა უფლებამოსილებებთან ერთად, აქვს კომპეტენცია, მოქალაქის ან სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე არაკონსტიტუციურად ცნოს და ძალადაკარგულად გამოაცხადოს კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, თუ მიიჩნევს, რომ ის ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილსამყოფელია ქალაქი ბათუმი. საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 წევრისაგან – საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებისაგან.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტიტუციურ კანონიერებასა და ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

საქართველოში ასევე კერძო დავათა განსახილველად კანონი კერძო **არბიტრაჟების** არსებობას ითვალისინებს. მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს აქვთ დისკრეცია, თავად გადაწყვიტონ არბიტრაჟის არჩევასთან დაკავშირებული საკითხები, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ძალაში შესასვლელად სააპელაციო სასამართლოს მიერ არბიტრაჟის გადაწყვეტილების ცნობა აუცილებელია.

მოსამართლე

საქართველოს კონსტიტუციის 86-ე მუხლის თანახმად დადგენილია მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პირი, რომ მოსამართლედ დაინიშნოს.

მოსამართლე ახორციელებს უაღრესად საპასუხისმგებლო საქმიანობას – არკვევს, დამნაშავეა პიროვნება თუ უდანაშაულო. დამნაშავეობის შემთხვევაში ის კანონისა და საკუთარი რწმენის საფუძველზე წყვეტს, რა სახის სასჯელი შეუფარდოს მას. მოსამართლის ხელშია ადამიანის ბედი და ის ვალდებულია, არ დაუშვას უდანაშაულო პირის დასჯა. მან უნდა დაადგინოს საქმეზე ჭეშმარიტება და გამოიტანოს სამართლიანი საბოლოო გადაწყვეტილება.

მოსამართლე, რომელსაც პირველად ნიშნავენ ამ თანამდებობაზე, თანამდებობის დაკავებამდე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინაშე, საზეიმო ვითარებაში დებს ფიცს, რომლის ერთგულიც უნდა იყოს მთელი სამოსამართლო საქმიანობის მანძილზე.

სასამართლოს ატრიბუტიკა

მართლმსაჯულების სიმბოლო არის თემიდა – ბერძნული მითოლოგიის ქალღმერთი. მას სამართლიანობის ნიშ-

სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო – მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის, მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების, საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზების, სასამართლო რეფორმის გასატარებლად წინადადებების შემუშავების და კანონით დადგენილი სხვა ამოცანების შესრულების მიზნით შექმნილი ორგანო.

კოლეგია – რამდენიმე მოსამართლისგან შემდგარი სასამართლო.

ბრალდებული – სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირი.

ბრალდების მხარე – პროკურორი, აგრეთვე დაზარალებული.

ნაფიცი მსაჯულები – ხალხის წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ

ნად თვალები რიდეთი აქვს ახვეული, ხელში კი სასწორი უჭირავს. თითქმის ყველა სასამართლოს შენობას თემიდას გამოსახულება ამშვენებს.

მართლმსაჯულება აღესრულება სასამართლოში, კონკრეტულად კი – სხდომათა დარბაზში, რომელიც გარკვეული წესით არის განლაგებული. მოსამართლისგან მარცხნივ ბრალმდებელი, ანუ პროკურორი ზის, ხოლო მარჯვნივ, განსასჯელთან ახლოს – ადვოკატი.

მხარეებს შორის, შემაღლებულ ადგილას, ნიშნად იერარქიული უპირატესობისა, დგას მოსამართლის მაგიდა. მაგიდაზე დევს **ჩაქუჩი** – მართლმსაჯულების სიძლიერისა და განაჩენის აღსრულების სიმბოლო.

ჩაქუჩის გარდა, მოსამართლის ერთ-ერთი ძირითადი ატრიბუტია მანტია. სასამართლო პროცესის წარმართვისას მოსამართლეს მანტია უნდა ჰქონდეს მოსხმული. მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი მანტიას ასე განმარტავს: „მანტიით შემოსილი მოსამართლის მიერ პროცესის ჩატარება სასამართლო ხელისუფლების ღირსების ერთ-ერთი სიმბოლოა, რომელიც, იმავდროულად, მიუთითებს მოსამართლისა და პროცესის დანარჩენ მონაწილეებს შორის გარკვეული დისტანციის არსებობაზე“.

მანდატური სპეციალურ ფორმაში ჩაცმული ადამიანია. ის მოსამართლის ბრძანებას ემორჩილება და მისი მოვალეობაა დარბაზში წესრიგის უზრუნველყოფა, რომ პროცესი მშვიდ ვითარებაში წარიმართოს და პროცესის მონაწილე მხარეების უსაფრთხოება იყოს დაცული. სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას სასამართლოს მანდატურს უფლება აქვს, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით გამოიყენოს ფიზიკური ძალა, სპეციალური საშუალებები და იარაღი; აუცილებლობის შემთხვევაში დახმარებისათვის მიმართოს პოლიციას.

სასამართლო დარბაზში წესრიგის დარღვევის შემთხვევაში მოსამართლეს შეუძლია წესრიგის დამრღვევი პირი დარბაზიდან გააძევოს და გადაწყვეტილება მიიღოს 50-დან 500 ლარამდე თანხით დაჯარიმების, ან 30 დღემდე დაპატიმრების თაობაზე.

მოსამართლეს კონკრეტულ საქმეზე გამოაქვს გადაწყვეტილება, რომელსაც შემდეგ წერილობით ასაბუთებს. მიღებული გადაწყვეტილება საჯაროა, როგორც კონკრეტულად ამ პროცესის მონაწილე მხარეებისთვის, ისე ყველა დაინტერესებული პირისთვის, მათ შორის ჟურნალისტებისთვისაც. სასამართლოს საშუალება აქვს სპიკერი-მოსამართლის მეშვეობით საზოგადოებას მარტივად და მათთვის გასაგებ ენაზე გააცნოს საკუთარი პოზიცია, თუ რაზე დაყრდნობით მიიღო სასამართლომ ესა თუ ის გადაწყვეტილება. სასამართლოს მდივანი არის პირი, რომელიც იწერს სასამართლო პროცესს, ადგენს განხილვასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს და მოსამართლესთან ერთად ხელს აწერს მათზე.

სხდომას **სასამართლო სხდომის თავმჯდომარე** წარმართავს.

მართლმსაჯულების განხორციელებაში. ისინი, როგორც წესი, ქმნიან დამოუკიდებელ კოლეგიას, რომელიც ვერდიქტის გამოტანით წყვეტს მხოლოდ ბრალდებულის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის საკითხს. ბრალეულად ცნობის შემთხვევაში განაჩენს ადგენენ და სასჯელს ნიშნავენ პროფესიონალი მოსამართლეები დამოუკიდებლად ან ნაფიც მსაჯულებთან ერთად.

მოწმე – პირი, რომლისთვისაც ცნობილია განსახილველი საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემები/ინფორმაცია.

სასამართლოს განაჩენი – პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ბრალდებულს ცნობს დამნაშავედ დანაშაულის ჩადენაში ან ამართლებს მას.

სასამართლო განჩინება – სასამართლოს გადაწყვეტილება (განაჩენის და განკარგულების გარდა) ნებისმიერ საკითხზე, რომელიც არ წყვეტს საქმის განხილვას და გამოიტანება კონკრეტული საკითხის მიმართ.

დადგენილება – გამომძიებლის, პროკურორის გადაწყვეტილება ნებისმიერ საკითხზე.



ნაფიცი მსაჯულები

ნაფიცი მსაჯულები არიან კანონით დადგენილი წესით შერჩეული მიუკერძოებელი მოქალაქეები, რომლებიც დანაშაულის სასამართლო განხილვაში მონაწილეობენ და ერთობლივი მსჯელობის შედეგად გამოაქვთ ვერდიქტი – გადაწყვეტილებას იღებენ განსასჯელის ბრალეულობის შესახებ. ვერდიქტი გამამტყუნებელია, თუ მსაჯულები ბრალდებულს დამნაშავედ ცნობენ; ვერდიქტი გამამართლებელია, თუ მსაჯულები ბრალდებულს დამნაშავედ არ ცნობენ. დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, სასჯელის ზომას მოსამართლე ან სასამართლო კოლეგია ადგენს.

ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტი არის მართლმსაჯულებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, რაც სამართლიანობისა და კანონიერების დაცვას უწყობს ხელს.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობაში არ უნდა იყოს 6-ზე ნაკლები მსაჯული ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, რვაზე ნაკლები – მძიმე კატეგორიის და ათზე ნაკლები – განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე.

სასამართლო სხდომა

სასამართლო განხილვა სასამართლო სხდომის დარბაზში მიმდინარეობს. სასამართლო სხდომა, როგორც წესი, ტარდება საჯაროდ და ზეპირად.

სისხლის სამართლის სასამართლო პროცესში მონაწილეობის უფლებამოსილება აქვს მოსამართლეს, ნაფიც მსაჯულებს, პროკურორს, გამომძიებელს, სასამართლო სხდომის მდივანს, ბრალდებულს და მის ადვოკატს, დაზარალებულს, მოწმეს, ექსპერტს და თარჯიმანს, საჭიროების შემთხვევაში.

სასამართლო სხდომაზე 14 წლამდე პირი არ დაიშვება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის პროცესის მონაწილეა. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია 14 წლამდე პირს დართოს ნება, სასამართლო სხდომას დაესწროს.

სასამართლოზე მოწმედ შეიძლება იყოს ყველა პირი, რომლისთვისაც ცნობილია რაიმე გარემოება საქმის შესახებ. მოწმე შეიძლება გამოცხადდეს სასამართლოში დაინტერესებული მხარის მეშვეობითაც. **ის ვერ იქნება ანონიმური**, მოწმე ვალდებულია, მიუთითოს სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი.

სასამართლო იცავს უდანაშაულობისა და თავისუფლების პრეზუმფციას: **პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დანაშაული არ დამტკიცდება სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.** არავინ არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. სასამართლოზე ბრალდების დამტკიცება ეკისრება ბრალმდებელს – პროკურორს. ბრალმდებელს უფლება აქვს, უარი თქვას ბრალდებაზე.

სწორი და გულწრფელი ჩვენების მისაღებად, არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვის დროს სასამართლოს წინადადებით სხდომის დარბაზიდან რომელიმე მხარის გაყვანა შეიძლება.

არასრულწლოვნის საქმის სასამართლო განხილვის დროს ადვოკატის ჩართვა სავალდებულოა – ადვოკატი ყოველთვის ესწრება სასამართლო სხდომას.

სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს სასამართლო გადაწყვეტილება – სასამართლოს (მოსამართლის) განაჩენი, განჩინება, დადგენილება, ბრძანება, განკარგულება.

გაეცანით წყაროებს:

წყარო 1. საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, თავი VII:

მუხლი 46. მოთხოვნები, რომლებიც წაეყენება მოსამართლეობის კანდიდატს

1. მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 28 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება, ფლობს სახელმწიფო ენას, ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, გავლილი აქვს იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული სასწავლო კურსი.
2. მოსამართლედ არ შეიძლება დაინიშნოს ნასამართლევი პირი.

მუხლი 47. მოსამართლის თანამდებობის დაკავების წესი

პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონის 46-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ჩაითვლება მოსამართლეობის კანდიდატად მას შემდეგ, რაც მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარადგენს განცხადებას.

მუხლი 47[1]. მოსამართლის სხვა სასამართლოს მოსამართლედ კონკურსის გარეშე დანიშვნის წესი

ვაკანსიის წარმოშობის შემთხვევაში შესაძლებელია თანამდებობაზე დანიშნული მოსამართლე თავისი თანხმობით, თავისივე უფლებამოსილების ვადის ფარგლებში, კონკურსის გარეშე დაინიშნოს ქვემდგომი, შესაბამისი ან ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლედ.

მოსამართლის თანამდებობაზე გამწესება ხდება არანაკლებ 10 წლის ვადით.

მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოკიდებულია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე ან მის საქმიანობაში ჩარევა გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით.

მოსამართლე ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი ჩხრეკა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსამართლისა და მისი ოჯახის უსაფრთხოებას.

კითხვები და დავალებები

1. თქვენი აზრით, რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ნაფიცი მსაჯული?
2. მოქალაქისთვის საპატიოა, სასჯელია თუ მოვალეობა, იყოს ნაფიცი მსაჯული?
3. რით ჰგავს და რით განსხვავდება სკოლის მანდატური სასამართლოს მანდატურისგან?
4. რა მიზანს ისახავს სასამართლო განხილვა და ვინ მონაწილეობს მასში (დაასახელეთ მთავარი მოქმედი პირები)?
5. რა როლს ასრულებს პროკურორი სასამართლო განხილვაში?
6. რა მიზანს ისახავს ადვოკატი?

– რა როლს ასრულებენ მოწმეები სასამართლოში? შეუძლიათ თუ არა მათ სასამართლოსთვის ცრუ ჩვენების მიცემა?
– რით ჰგავს და რითი განსხვავდება სკოლის დისციპლინური კომიტეტი სასამართლოსგან?

დისკუსია

რამდენად მნიშვნელოვანია, არასრულწლოვნის სასამართლო პროცესი წარიმართოს ისე, რომ მოზარდმა პროცესთან დაკავშირებული ყველა პროცედურა და საჭირო ინფორმაცია გაიგოს? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.

შეჯამება

1. **სამართლიანი მართლმსაჯულება შეუძლებელია დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს გარეშე.**
2. **სამართლიანი მართლმსაჯულება შეუძლებელია კანონის წინაშე თანასწორობის გარეშე.**
3. **სამართლიანი მართლმსაჯულება შეუძლებელია მოქალაქეების პატიოსანი და კეთილსინდისიერი მონაწილეობის გარეშე.**

6.3. სასამართლო პროცესი

კითხვები და დავალებები

1. გაეცანით ქვემოთ მოყვანილ სიტუაციებს. იმსჯელეთ კლასში და ხმათა უმრავლესობით აირჩიეთ ერთ-ერთი თქვენთვის სასურველი „საქმე“, რომლის შესაბამის სასამართლო სხდომასაც გაითამაშებთ;
2. არჩეული სიტუაციის შესაბამისად, მასწავლებლისა და სამართალდამცველის დახმარებით გაინაწილეთ როლები: მოსამართლის, ბრალდებულის, მოწმეების, სამართალდამცველის, ადვოკატის, პროკურორის, სასამართლოს მდივნის;
3. სამართალდამცველთან კონსულტაციის გავლის შემდეგ გაეცანით თქვენი როლისა და სიტუაციის შესაბამის საკანონმდებლო ნორმებს, რომლებიც სახელმძღვანელოშია მოცემული და მოემზადეთ სხდომისათვის;
4. გახსოვდეთ, გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე და სასამართლო, რომლებიც მოქმედებენ საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, ვალდებულნი არიან, დაადგინონ დანაშაული და მისი ჩამდენი პირი;
5. ჩაატარეთ მოდელირებული სასამართლო პროცესი – გაითამაშეთ სასამართლო სხდომა არჩეული სიტუაციის შესაბამისად, რასაც აუცილებლად უნდა მოჰყვეს შემაჯამებელი განხილვა.

სიტუაცია 1 ინციდენტი ლალის სახლში

„16 წლის ლალის და 12 წლის ანას მამა სისტემატურად სვამდა. სიმთვრალეში საკუთარ გოგონებს უყვიროდა, ეჩხუბებოდა და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა. 2008 წლის 24 ივნისს ლალის მამა სახლში წასვამი მივიდა და, ჩვეულებისამებრ, ჩხუბი და ყვირილი დაიწყო.

ამ დროს სახლში ბრუნდებოდა 16 წლის ირაკლი, რომელიც მათ მეზობლად ცხოვრობდა და ძალიან ჯერგავად იყოდა, თუ რა ხდებოდა მისი ჯანსაღისა და მეგობრის ოჯახში. ირაკლის ლალი მოსწონდა და მის ამბავს ძალიან განიცდიდა. ირაკლის ყვრილი მოესმა, ლალის ჯართან აიყუნა და ყური დაუგდო. ჯერგავად ისმოდა ლალის მამის ყვრილი და გოგონების ცრილი. ირაკლიმ ზარი დარეკა, ჯარი ანამ გაიღო და ბიჭი სახლში შევიდა. ლალი და მამამისი ამ დროს სამზარეულოში იყვნენ, გოგონა ცდილობდა მამა დაემშვიდებინა და სადილს უკეთებდა. ირაკლი სამზარეულოში შევიდა. ბიჭის გამოჩენაზე მთვრალი მამაჯაკი კიდევ უფრო გაბრაზდა და ყვრილს უმატა. ირაკლი დათინებით უმეორებდა, გოგონებისთვის თავი დანებებინა და დასამინებლად წასულიყო. მამაჯაკი კი უარესად ეღმუოოდა, რომ ვიღაც ანაგვზრდა ჭკუას ასწავლიდა, სამზარეულოს მაგიდიდან დანა აიღო და ირაკლის მოუქნია. ირაკლიმ მარცხენა ხელით ლალის მამის ხელის დაჭერა შეძლო, ხოლო მარჯვენათი ცალფა აიღო და მთელი ძალით ჩაარტყა თავში, რის შედეგადაც ლალის მამამ მრავლობითი დაზიანება მიიღო: ცვინის შერყევა, ყბის ძვლის მოტეხილობა, მარცხენა თვალის დაუჟეულობა და ლოყის არეში ჭრილობა, რომელიც სამუდამო ნაიარევად დარჩება.“

გაეცანით წყაროებს:

წყარო: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

მუხლი 117. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება

1. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ესე იგი სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის ანდა რომელმაც გამოიწვია მხედველობის, სმენის, მეტყველების ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა, ფსიქიკური ავადმყოფობა, ორსულობის შეწყვეტა, სახის წარუშლელი დამახინჯება ან ჯანმრთელობის სხვაგვარი ისეთი დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის და დაკავშირებულია საერთო შრომისუნარიანობის მყარ, არანაკლებ ერთი მესამედით დაკარგვასთან ან წინასწარი შეცნობით პროფესიული შრომისუნარიანობის სრულ დაკარგვასთან, –
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

2. იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე.

3. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი:
ა) მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;
ბ) მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით;
გ) ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;
დ) სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, –
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შვიდ წლამდე.

სიტუაცია 2 შემთხვევა საშაურმესთან

15 წლის ზაზა ჯ. და ჯახა ნ. დიღის ექვს საათზე უკვე მეცროსთან იდგნენ. ისინი ბედნიერი და ეთიცირებული იყვნენ, რადგან ოთხ მეგობარ გოგონასთან ერთად მცხეთაში გასეირნებას აპირებდნენ. ძათ წინა დღეს ფული შეაგროვეს და საკვების შეძენა ბიჭებს დაევალათ.

მეცროს ვაგონში ზაზამ რამდენჯერმე გადათვალა ფული. ჯახამ შეამჩნია, რომ გვერდით მდგომი უცნობი ძა-ძაკაცი დათინებით უმზერდათ და მეგობარს უჩურჩულა, ფული საიმედოდ შეენახა.

გოგონები ძათ ავცოსადგურთან შეხვდნენ. ვიდრე ისინი ბილეთებს აიღებდნენ, ბიჭები საშაურმისკენ გაემართნენ.

ჯახამ რიხიანად მოითხოვა ექვსი შაურმა და ექვსი კოკა-კოლა და მეგობარს შეხედა, რომ ფული გადაეხადა. ზაზა ამაოდ იქექებოდა ჯიბეში-საფულე არსად ჰქონდა. ამასობაში ჯახამ საკვებით სავსე ვარკი აიღო და ზაზას შეხედა.

– ფული აღარ მაქვს... – ამოთქვა შეცბუნებულმა ბიჭმა.

– შეხედეთ ამ თავდღიანებს, ფული არ ქონიათ და ამდენი შაურმა ცყუილად მომამზადებინეს! –გაბრაზდა გამ-ყიდველი და სცადა კოკა-კოლას ბოთლებით სავსე ვარკი დახლიდან უკან დაებრუნებინა, მაგრამ ჯახამ დაასწრო და ვარკი აიღო.

– მე თქვენ გიჩვენებთ სერს! დაცვაააა!!! გამოდი, ძარცვაა! – დაიწყო გამყიდველმა ყვირილი და ზაზას სახელობის ცვალა ხელი.

– არა, რა ძარცვა, ფული დავკარგეთ, მართლა დავკარგეთ! გეფიცებით, ხვალ აუცილებლად მოგიცანთ! გთხოვთ, გამიშვით!– ევედრებოდა მას ზაზა.

ამ დროს დაცვის თანამშრომელიც გამოჩნდა. ჯახამ გამყიდველს ხელი მთელი ძალით ჰკრა. ის წაბარბაცდა და ზაზას ჩამოშორდა. ჯახამ ერთი ვარკი ზაზას მიაწოდა და დაცვირთული ბიჭები ავცოსადგურისკენ გაიქცნენ, მაგრამ დაცვა გაეკიდა და დაეჯავა ისინი.

გაეცანით წყაროებს:

წყარო: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

მუხლი 178. ძარცვა (28.04.2006. 2937)

1. ძარცვა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მი-საკუთრების მიზნით, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორიდან სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

2. იგივე ქმედება:
ა) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია;
ბ) ჩადენილი სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით, –
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე.
3. იგივე ქმედება, ჩადენილი:
ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;
ბ) არაერთგზის;
გ) ბინაში უკანონო შეღწევით;
დ) ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით;
ე) სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ, –
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე.
4. იგივე ქმედება, ჩადენილი:
ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;
ბ) დიდი ოდენობით;

გ) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღ-მდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თერთმეტ წლამდე.

მუხლი 180. თაღლითობა (28.04.2006. 2937)

1. თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით, –
ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას სამოცდაათიდან ორას საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე (25.07.2006 3530).

2. იგივე ქმედება:
ა) ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;
ბ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, –
ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.

4. იგივე ქმედება, ჩადენილი:
ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;
ბ) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღ-მდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის, –
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე.“.

სიტუაცია 3 „ავტობუსის კონტროლიორი”

17 წლის გიორგი დედასთან და 13 წლის ძმასთან ერთად ცხოვრობს. დედა მარჯვეში გაძყიდვლად მუშაობს, გიორგი და მისი ძმა სკოლაში სწავლობენ. გიორგი წელს სკოლას ამთავრებს და უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებაზე ოცნებობს. მან ფული დაგროვება გადაწყვიტა და ასეთ ხერხს მიმართა: ჯვირაში 2-ჯერ, სკოლის შემდეგ, ის ქალაქის ისეთ უბანში, სადაც არავინ იცნობდა, ყვითელ სატელეფონო ავტობუსში ადიოდა და „კონტროლიორობდა“- მგზავრებს აჯარიმებდა.

გიორგი ორი სვადასვა მარშრუტით მოძრავ ავტობუსს დაჰყვებოდა მონაცვლეობით. კონტროლიორის სამჯერდე ნიშანი თვითონ დაეძახდა. რამდენჯერმე ავტობუსში ახალ ასულ მგზავრს ძველი (სხვისი გადავდებული) ბილეთი მიჰყიდა. ერთხელაც, ის შეამჩნიეს კონტროლიორებმა, რომლებიც ამ ხაზზე ოფიციალურად მუშაობდნენ და სპეციალური ჰოლიკიას შეაცყობინეს, რის შედეგადაც გიორგი ავტობუსშივე დააკავეს.

კითხვები და დავალებები

წარმართეთ საკლასო დისკუსია მასწავლებლისა და სამართალდამცველის დახმარებით და შეაჯამეთ თქვენი ერთობლივი ნამუშევარი:

- კმაყოფილი ხართ თუ არა შედეგით?
- თქვენი აზრით, სამართლიანია თუ არა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება?
- რომელი ჯგუფის მუშაობა იყო უფრო ეფექტიანი?
- შეიცვლით თუ არა პოზიციას სხვა მონაწილეთა გამოსვლის შემდეგ?
- რამდენად იმოქმედა თქვენმა გამოსვლამ სხვების გადაწყვეტილებაზე?
- კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი ჯგუფის მუშაობით? საკუთარი თავით?
- ისურვებდით თუ არა ოდესმე, რეალურ სიტუაციაში, იმავე როლში ყოფნას?
- ნამდვილად ხდება თუ არა სასამართლოში სიმართლის დადგენა?

შეჯამება

1. **არასრულწლოვანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დანაშაული არ დამტკიცდება გამამტყუნებელი განაჩენით, რომელიც კანონიერად შევიდა ძალაში.**
2. **ყველას აქვს საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლება, საკუთარი უფლებების და თავისუფლებების ან ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების გადაწყვეტისას თანასწორობის სრული დაცვით, რომელსაც ახორციელებს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.**

ლექსიკონი

ადმინისტრაციული სახდელი – პასუხისმგებლობის ზომა, რომელიც გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის აღსაზრდელად კანონების დაცვის, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე როგორც თვით სამართალდამრღვევის, ისე სხვა პირთა მიერ ახალი სამართალდარღვევების ჩადენის აცილების მიზნით.

ადამიანის მონობის პირობებში ჩაყენება – ადამიანისთვის დოკუმენტების ჩამორთმევა, თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვა, ოჯახთან კავშირის, მიმოწერისა და სატელეფონო კონტაქტების აკრძალვა, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ან არაადეკვატური ანაზღაურებით მუშაობის იძულება.

ადვოკატი – უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე, თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი. ადვოკატი ეწევა საადვოკატო საქმიანობას, რაც მოიცავს მის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას.

ადმინისტრაციული პატიმრობა – პატიმრობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის 15 დღემდე ვადით. ადმინისტრაციულ პატიმრობას შეუფარდებს შესაბამისი რაიონის (ქალაქის) სასამართლოს მოსამართლე.

ალკოჰოლიზმი – მაგარი სასმელების ხშირი სმა; ლოთობა.

ალკოჰოლიკი (ლოთი) – პირი, რომელსაც არ შეუძლია სმას თავი დაანებოს და სმა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მისი ცხოვრების წესზე.

ბულინგი (ჩაგვრა) – ფიზიკური და/ან ფსიქოლოგიური ტერორი, რომელიც ხორციელდება განსაზღვრული მიზნის გარეშე.

ბავშვზე ფიზიკური ძალადობა – ნებისმიერი ფიზიკური მოქმედება, რომელიც ტკივილს აყენებს ბავშვს და იწვევს სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებას: განსაკუთრებული დასჯის გამოყენება – წამება, ბნელ ადგილას ჩაკეტვა, ისეთი სამუშაოების შესრულების მოთხოვნა, რომელსაც ბავშვი ვერ გაუმკლავდება, იარაღით დამუქრება და სხვა.

ბავშვზე ფსიქოლოგიური ძალადობა – სიტყვიერი ან ქცევითი ზემოქმედებით ბავშვში შიშის, დამცირების, მარტოობისა და ფსიქიკური ჯანმრთელობისათვის საზიანო სხვა მდგომარეობების პროვოცირება: მუქარა, დაშინება, დაბრალება, დაცინვა, ურთიერთობების შეზღუდვა, ინტერესების გაუთვალისწინებლობა და სხვა.

ბრალდებული – სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირი.

ბრალდების მხარე – პროკურორი, აგრეთვე დაზარალებული.

გარიგება – სამოქალაქო სამართლის მიხედვით ნებისმიერი მოქმედება, თუ უბრალო ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.

გამოძალვა – სხვისი ნივთის ან ქონებით სარგებლობის მოთხოვნა, დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების, ქონების განადგურების, სახელის გამტეხი ცნობების გავრცელების მუქარის გამოყენებით.

გამომძიებელი – სახელმწიფო თანამდებობის პირი, რომელიც უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში აწარმოოს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება.

დანაშაული – მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.

დადგენილება – გამომძიებლის, პროკურორის გადაწყვეტილება ნებისმიერ საკითხზე.

დამცავი ორდერი – განსაზღვრავს მოძალადის მიმართ ამკრძალავი ღონისძიებების გამოყენების ადეკვატურ ფორმებს, რომელიც მიმართულია ძალადობის აღკვეთისა და მსხვერპლის დაცვისაკენ.

დელიქტიური ვალდებულება – ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რომელიც შესაძლებელია დაეკისროს სხვა პირისთვის მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით ზიანის მიმყენებელ პირს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 992).

ექსპლუატაცია – ადამიანის გამოყენება იძულებითი შრომის, დანაშაულში ან მონობის მსგავს მდგომარეობაში ჩაყენების მიზნით.

ეკონომიკური ძალადობა – ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას.

იურიდიული პასუხისმგებლობა – პასუხისმგებლობა, რომელსაც სახელმწიფო კანონის დარღვევისათვის აკისრებს მოქალაქეებს კანონის ძალით.

ირიბი დისკრიმინაცია – ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს.

იძულება – ადამიანის ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა.

კანონი – სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს – პარლამენტის მიერ განსაკუთრებული წესით მიღებული ნორმატიული აქტი, რომელიც უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ ურთიერთობებს არეგულირებს.

კოლეგია – რამდენიმე მოსამართლისგან შემდგარი სასამართლო.

კონსტიტუცია – (*ლათ. დადგენა, დაწესება, მოწესრიგება*) განსაკუთრებული წესით მიღებული უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე სახელმწიფოს ძირითადი კანონი. კონსტიტუცია არეგულირებს საზოგადოებაში პიროვნების სამართლებრივ მდგომარეობას და წარმოადგენს ინდივიდის გარანტს სახელმწიფოსთან ურთიერთობაში, განსაზღვრავს ქვეყნის წეს-წყობილებას, მართვა-გამგეობის ფორმას, ძირითად სახელმწიფო ორგანოებსა და მათ ფუნქციებს.

კორუფცია – ოფიციალური პირის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის გამოყენება პირადი გამორჩენის მიზნით, სახელმწიფო მოხელეთა მოსყიდვა და სხვა.

კოდექსი *(codex)* – ლათინური სიტყვაა და წიგნს ნიშნავს. კოდექსი არის განსაზღვრული (ერთგვაროვანი) საზოგადოებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმათა სისტემატიზებული ნორმატიული აქტი.

კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები – ყველა ის უფლება, რომელიც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით: კანონის წინაშე თანასწორობა; სიცოცხლის უფლება; თავისუფალი განვითარების უფლება; პატივისა და ღირსების ხელშეუვალობა; ადამიანის წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობის დაუშვებლობა;

თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის დაუშვებლობა; სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება; საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება; განათლების მიღების უფლება და სხვა.

ლატარია – ნებაყოფლობითი ჯგუფური ან მასობრივი თამაშობა, რომლის დროსაც ლატარიის ორგანიზატორი საჯაროდ გამოქვეყნებული, დადგენილი წესისა და პირობების დაცვით ათამაშებს საპრიზო ფონდს. მოგების დამთხვევა ლატარიის რომელიმე ბილეთზე დამოკიდებული არ არის ლატარიის ორგანიზატორის ან სხვა სუბიექტის ნება-სურვილსა და მოქმედებაზე, წარმოადგენს შემთხვევითობას და არ შეიძლება იყოს სპეციალურად მოწყობილი. მომგებიანი თამაშობები: ლოტო, ბინგო, ტოტალიზატორი.

მართლშეგნება – მოქმედი სამართლისა და, საერთოდ, სამართლებრივი კატეგორიებისა და ღირებულებებისადმი პიროვნების, ადამიანთა გარკვეული ჯგუფისა თუ მთელი საზოგადოების გაცნობიერებული დამოკიდებულება.

მავნე ჩვევა – ქმედება, რომელიც მრავალჯერ ავტომატურად მეორდება და რომელსაც თან სდევს ნეგატიური შედეგები როგორც საზოგადოებისთვის, ისე თავად შემსრულებლისთვის.

მოვალეობა – ადამიანის ვალდებულება, კანონის მოთხოვნის შესაბამისად განახორციელოს გარკვეული ქმედებები.

მეურვეობა და მზრუნველობა – არასრულწლოვან ბავშვებს, რომლებიც მშობლის მზრუნველობის გარეშე დარჩნენ, უწესდებათ მეურვეობა და მზრუნველობა მათი აღზრდის მიზნით, პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

მეურვეობა –წესდება ბავშვზე, რომელსაც არ მიუღწევია შვიდი წლის ასაკისათვის.

მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები – მოძალადისაგან მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის დაცვის ზომები; მოძალადისაგან მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის გარიდებისა და თავშესაფარში მათი მოთავსების საკითხები.

მოძალადე – ადამიანი, რომელიც ძალადობრივ ქმედებებს ახორციელებს.

მსხვერპლი – პიროვნება, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა ან იძულება.

მუქარა – (დასჯადია სსკ 151-ე მუხლით) იგი უნდა გამოიხატებოდეს სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ან ქონების განადგურების მუქარაში. მუქარა გადაიცემა სიტყვიერად, ტელეფონით, წერილით.

მოწმე – პირი, რომლისთვისაც ცნობილია განსახილველი საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემები/ ინფორმაცია. სასამართლოს განაჩენი – პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ბრალდებულს ცნობს დამნაშავედ დანაშაულის ჩადენაში ან ამართლებს მას.

მონაცემთა დამუშავება – მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ: შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება.

მანტია – გრძელი, ფართო წამოსასხამი.

მოსამართლე – საერთო სასამართლოს თანამდებობის პირი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არჩეული ან დანიშნულია მოსამართლედ და ერთპიროვნულად ან კოლეგიის შემადგენლობაში ახორციელებს მართლმსაჯულებას.

მზრუნველობა – წესდება არასრულწლოვანზე შვიდიდან თვრამეტი წლის ასაკამდე.

მოთამაშე – პირი, რომელიც თამაშობაში მონაწილეობს მოგების მიღების მიზნით.

ნორმები – გარკვეულ ვითარებაში ადამიანის მოქმედების წესები ან სახელმძღვანელო პრინციპები.

ნორმატიული აქტი - უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს.

ნაფიცი მსაჯულები – ხალხის წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ მართლმსაჯულების განხორციელებაში. ისინი, როგორც წესი, ქმნიან დამოუკიდებელ კოლეგიას, რომელიც ვერდიქტის გამოტანით წყვეტს მხოლოდ ბრალდებულის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის საკითხს. ბრალეულად ცნობის შემთხვევაში განაჩენს ადგენენ და სასჯელს ნიშნავენ პროფესიონალი მოსამართლეები დამოუკიდებლად ან ნაფიც მსაჯულებთან ერთად.

ნარკოტიკის მომხმარებელი – ადამიანი, რომელიც ნარკოტიკულ საშუალებას მოიხმარს არასამედიცინო დანიშნულებით, ვინაიდან მისდამი ჩამოყალიბებული აქვს დამოკიდებულება.

ნარკოტიკული დანაშაული – პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება; ასევე, ნარკოტიკული საშუალების წარმოება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება; ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება; ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის ბინის ან სხვა სადგომის დათმობა; ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე დაყოლიება.
ნიკოტინი – შხამი, რომელსაც შეიცავს თამბაქო.

ორგანიზებული დანაშაული – დანაშაულებრივი ქმედებები ჩადენილი პირთა სტრუქტურირებული ორგანიზებული ჯგუფის მიერ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

ოჯახში ძალადობა – ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

ოჯახური ძალადობის მსხვერპლი – ოჯახის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა ან იძულება და რომელსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა ან/ და სასამართლო ორგანომ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა.

პასუხისმგებლობა – პიროვნების ვალდებულება, პასუხი აგოს საკუთარ ქმედებებზე. პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს იურიდიული, მორალური, სოციალური.

პოლიცია *(ლათინურად politia – ხელისუფალი)* – სამართალდამცავი ორგანო, რომელიც კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში ახორციელებს პრევენციულ და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად.

პირადი არაქონებრივი ურთიერთობები – ნაწარმოების ან გამოგონების ავტორობის, მოქალაქის პატივისა და ღირსების, მოქალაქისა და ორგანიზაციის საქმიანი რეპუტაციის და სხვა მსგავსი საკითხების შესახებ ურთიერთობები.

პირდაპირი დისკრიმინაცია – ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს უფლებებით სარგებლობისას რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით.

პროკურატურა – სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანო. ამ ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად პროკურატურა ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას.

პროკურორი – თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს სახელმწიფოს სახელით. სასამართლოში ის არის სახელმწიფო ბრალმდებელი.

სამართალი – ბუნებით განპირობებული ადამიანთა უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი ზოგადსავალდებულო ქცევის წესების ერთობლიობა და საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგების სისტემა, რომელთა შესრულება სახელმწიფოებრივი ზემოქმედებით არის უზრუნველყოფილი.

სამართლებრივი ნორმები – ქცევის საყოველთაოდ სავალდებულო წესები, რომელიც დადგენილია სახელმწიფოს მიერ და მათ შესრულებასაც უზრუნველყოფს სახელმწიფო.

სამართალდარღვევა – ადამიანის მიერ სამართლებრივი ნორმების მოთხოვნების შეუსრულებლობა.

სამართლებრივი კულტურა – საზოგადოების მიერ კანონის იურიდიული და მორალური მხარდაჭერის მაღალი ხარისხი ანუ კანონმორჩილი ადამიანების ურთიერთდამოკიდებულება.

სამართალდამცველი – პირი, რომელსაც კანონით აქვს მინიჭებული უფლებამოსილება, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას უზრუნველყოს კანონის დაცვა, ხოლო დარღვევის შემთხვევაში განახორციელოს სადამსჯელო ღონისძიებები.

საოჯახო ურთიერთობები – ქორწინების, მშობლებისა და შვილების ურთიერთობები, მემკვიდრეობის საკითხები.

სასჯელი – დანაშაულის ჩამდენი პირისათვის გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომა.

სამართლებრივ- პროცესუალური ნორმები – საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები.

სათამაშო დარბაზი – სამორინეში თამაშობების ჩასატარებელი სპეციალური ადგილი, სადაც უზრუნველყოფილია მოთამაშეთა უსაფრთხოება და დაცულია საზოგადოებრივი წესრიგი და რომელიც აკმაყოფილებს სანიტარიულ, ჰიგიენურ და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმებს.

სათამაშო აპარატი – მექანიკური ან ელექტრონული მექანიზმი, რომელიც მოქმედებაში მოჰყავთ მონეტებით, ჟეტონებით ან სხვა საშუალებით და მოგება განისაზღვრება ციფრების, სიმბოლოების ან მათი კომბინაციის მთლიანი ან ნაწილობრივი დამთხვევით.

სათამაშო აპარატების სალონი – სპეციალური სათამაშო ადგილი, სადაც განთავსებულია სათამაშო აპარატები.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო – მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის, მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების, საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზების, სასამართლო რეფორმის გასატარებლად წინადადებების შემუშავების და კანონით დადგენილი სხვა ამოცანების შესრულების მიზნით შექმნილი ორგანო.

სასამართლო განჩინება – სასამართლოს გადაწყვეტილება (განაჩენის და განკარგულების გარდა) ნებისმიერ საკითხზე, რომელიც არ წყვეტს საქმის განხილვას და გამოიტანება კონკრეტული საკითხის მიმართ.

სამორინე – სპეციალური სათამაშო დაწესებულება, სადაც სათამაშო ბორბლის (რულეტის), ბანქოს, სათამაშო მაგიდების, კამათლების, სათამაშო აპარატებისა და სხვა ინვენტარის საშუალებით ხორციელდება ფულადი მოგების გათამაშება.

სექსუალური ძალადობა – სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ.

სინდიკატი – ეკონომიკური ან საზოგადოებრივი სარგებლის მიღების მიზნით ადამიანთა ან ადამიანთა ჯგუფების გაერთიანება.

ტერორიზმი – ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა, მიმართული ფიზიკური ან იურიდიული პირების წინააღმდეგ, შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო საშუალებების, კომუნიკაციების და სხვა მატერიალური ობიექტების განადგურება-დაზიანება ან მათი განადგურება-დაზიანების მუქარა იარაღის, ასაფეთქებელი მასალების, ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური თუ სხვა, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ნივთიერების გამოყენებით ან ადამიანის გატაცებითა თუ მძევლად აყვანით, რათა ხელისუფლება ანდა მისი რომელიმე ორგანო ან საერთაშორისო ორგანიზაცია იძულებული გახდეს, განახორციელოს გარკვეული ქმედება ან თავი შეიკავოს გარკვეული ქმედების განხორციელებისაგან, რომელიც ტერორისტების მართლსაწინააღმდეგო ინტერესებში შედის.

ტრეფიკინგი *(trafficking)* – ადამიანით ვაჭრობა, ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება.

ტრეფიკერი – ადამიანით მოვაჭრე.

მიგრაცია – *(ლათ. Migratio - გადასახლება)* – ადამიანის გადაადგილება ან გადასახლება სხვადასხვა ვადით (დროებით, სეზონურად ან სამუდამოდ), რომელიც ადმინისტრაციული საზღვრების (ქალაქის, ქვეყნის და სხვა) გადაკვეთაში გამოიხატება.

უფლებაუნარიანობა – პირის უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. უფლებაუნარიანობა წარმოიშობა დაბადების მომენტიდან, ხოლო მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე; უფლებაუნარიანობა წყდება პირის გარდაცვალებისას.

უფლება – ადამიანის შესაძლებლობა, თავისი შეხედულების შესაბამისად განახორციელოს გარკვეული ქმედებები.

ფიზიკური ძალადობა – ძალადობის ფორმა, რომელიც იწვევს ადამიანის სხეულის განადგურებას, დაზიანებას, დასახიჩრებას, ასევე, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას.

ფსიქოლოგიური ძალადობა – ქმედება, რომელსაც ადამიანის სულიერი ან გონებრივი მდგომარეობისა და ფსიქიკისათვის ზიანის მიყენება შეუძლია ან იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას.

ქმედუნარიანობა – პირის უნარი, საკუთარი ნება-სურვილით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები.

ქმედუნარიანი – პირები, რომელთაც თავისი ასაკობრივი და გონებრივი მდგომარეობის გამო შესაძლებლობა აქვთ, განსაზღვრონ საკუთარი მოქმედების მნიშვნელობა და შედეგები. ქმედუნარიანობა სრული მოცულობით 18 წლის ასაკიდან წარმოიშობა.

ქონებრივი ურთიერთობები – ქონების ყიდვა-გაყიდვასთან, ჩუქებასთან, იჯარასთან და სხვა მსგავს საკითხებთან დაკავშირებული ურთიერთობები.

ქურდობა – სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მისაკუთრების მიზნით.

ყაჩაღობა – თავდასხმა სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ძალადობის გამოყენების მუქარით.

შინაგან საქმეთა სამინისტრო – აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი სამართალდამცავი დაწესებულებების სისტემა, რომელიც კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში ახორციელებს პრევენციულ და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად, ასევე სხვა საჯარო ფუნქციებს.

შანტაჟი – პირის იძულება შეასრულოს ან არ შეასრულოს რაიმე მოქმედება მისთვის ან მისი ახლობლებისათვის სახელის გამტეხი ან სხვა საზიანო ცნობების გახმაურების მუქარით.

შემაკავებელი ორდერი – პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის მსხვერპლის დაცვის მიზნით დროებითი შემზღუდველი ღონისძიებები მოძალადის მიმართ და რომელიც გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს.

ცივი იარაღი – მჩხვლეტავი (დაშნა, ხიშტი), ასევე ბასრი საგნები (სანადირო დანა, ფინური დანა), რომლებსაც არ გააჩნიათ პირდაპირი საწარმოო ან საყოფაცხოვრებო დანიშნულება და მათი გამოყენება შეიძლება როგორც თავდასხმის, ასევე თავდაცვისათვის.

ძარცვა – სხვისი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. ძარცვას აშკარა ხასიათი აქვს. სხვისი ნივთის წართმევა ხდება თვალნათლივ, მესაკუთრის ან სხვა პირთა თანდასწრებით.

ძალადობა – ადამიანის გაკონტროლებისა და დათრგუნვის საშუალება, რომელიც მოიცავს ემოციურ, სოციალურ, ეკონომიკურ, ფიზიკურ, სექსუალურ იძულებას, დათრგუნვას და ზიანს.

ძალადობა მოიცავს უკანონო ქმედებათა ყველა სახეს, გამოხატულს მუქარით ან ისეთი ქმედებით, რომელსაც შედეგად ქონების დაზიანება ან განადგურება, ანდა პიროვნების შეურაცხყოფა ან სიკვდილი მოჰყვება. /იურისპრუდენციაში მიღებული ზოგადი განმარტება/

წამახალისებელი გათამაშება – თამაშობა, რომელიც ტარდება კონკრეტული სახის პროდუქციის (მომსახურების) სწრაფად და ეფექტიანად რეალიზების მიზნით და წამახალისებელი გათამაშების ბილეთი გაიცემა უფასოდ.

ხულიგნობა – ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება – ქმედება მოიცავს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის და გამოიწვია მხედველობის, სმენის, მეტყველების ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა, ორსულობის შეწყვეტა, სახის წარუშლელი დამახინჯება.

ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება – სხეულის დაზიანება, რომელიც არ არის სიცოცხლისთვის სახიფათო და არ იწვევს მძიმე შედეგებს, მაგრამ დაკავშირებულია ჯანმრთელობის ხანგძლივ მოშლასთან, ან ადამიანის საერთო შრომისუნარიანობის დაკარგვასთან.

ჯარიმა – ფულადი გადასახდელი.

ჯანმრთელობა – სრული ფიზიკური, გონებრივი და სოციალური კეთილდღეობა და არა მხოლოდ დაავადების ან უძლურების არარსებობა, არამედ სოციალურად და ეკონომიკურად პროდუქტიული „ცხოვრებისუნარიანობა“ (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია – ჯანმო).

გამოყენებული ინტერნეტ რესურსები და ლიტერატურა:

1. იურიდიული ენციკლოპედია. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2008 წ.
2. საქართველოს კონსტიტუცია 1995 წ.
3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
5. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
7. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
8. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
9. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი
10. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
11. საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ
12. საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ
13. საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ
14. ი. გოძიაშვილი, „კრიმინოლოგია“. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი. 1998 წ.
15. მ. შალიკაშვილი, „კრიმინოლოგია“. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი. 2011 წ.
16. სამოქალაქო განათლების ლექსიკონი. გამოცემაზე პასუხისმგებელი საია. თბილისი. 2011 წ.
17. ნ. როგავა, ფ. გობერია, „არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საკითხები”. თბ., 1980 წ., გვ. 18.
18. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. 1948 წ.
19. ბავშვის უფლებათა კონვენცია. 1999 წ.
20. http://laws.codexserver.com/
21. გ. ლობჟანიძე, „ტრეფიკინგის სამართლებრივი ასპექტები”, თბილისი, 2006 წ.
22. გ. ღლონტი, „ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) საქართველოში“, თბილისი 2005 წ.
23. საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ
24. ევროსაბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.
25. საქართველოს საკანონმდებლო ტერმინთა ლექსიკონი. ლ. ბეჟაშვილი, თ. ჩხეიძე, შ. თარხნიშვილი. 2008 წ.
26. TTP://WWW.JUSTICE.GOV.GE
27. http://www.nplg.gov.ge
28. www. ka.wikipedia.org/wiki/marTlmsajuleba/
29. http://blog.myadvokat.ge/sisxlis-samarTali/
30. http://ka.wikipedia.org/wiki/sisxlis-samarTali
31. Juvenile Justice-http://www.defenceforchildren.org/index.php?option=com.content&view=article&id=34&Itemid=18
32. Discussion Paper on Age of Criminal Responsibility -www.scotlawcom.gov.uk/downloads/dp115_criminal_response.pdf
33. Children’s Rights in Juvenile Justice -http://www.defenceforchildren.org/files/gabriella/Advocacy-Manual-GC10EN.pdf
34. Strategies for Civil Society Engagement in the Follow-up to the UN-Study on Violence Against Children http://www.defenceforchildren.org/files/gabriella/Violence%20 Report_EN.pdf
35. United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice (“The Beijing Rules”) Adopted by General Assembly resolution 40/33of 29 November 1985 http://www.unhchr.ch/html/menu3/b/h_comp48.htm

36. Convention on the Rights of the Child Adopted and opened for signature, ratification and accession by General Assembly resolution 44/25 of 20 November 1989 http://www.unhchr.ch/html/menu3/b/k2crc.htm
37. COMMITTEE ON THE RIGHTS OF THE CHILD Geneva, 15 January-2 February 2007 GENERAL COMMENT No. 10 (2007) Children's rights in juvenile justice http://www2.ohchr.org/english/bodies/crc/docs/CRC.C.GC.10.pdf
38. United Nations Guidelines for the Prevention of Juvenile Delinquency 2007.03.21.
39. Marriage Laws in the USA - http://www.coolnurse.com/marriage_laws.htm
40. Juvenile Justice - http://www.penalreform.org/juvenile-justice.html
41. Juvenile Offenders - http://www.1911encyclopedia.org/Juvenile_Offenders
42. Minimum Age of Criminal Responsibility - http://www.aic.gov.au/publications/tandi/ti181.pdf
43. Juvenile Justice - http://www.penalreform.org/juvenile-justice.html
44. Gerry Maher. Age and Criminal Responsibility http://moritzlaw.osu.edu/osjcl/Articles/Volume2_2/Symposium/Maher-PDF-4-11-05.pdf
45. NACRO Children's rights – recommendations for youth justice http://www.nacro.org.uk/data/resources/nacro-2004120209.pdf
46. Angela Melchiorre. At what age? Are school-children employed, married and taken to court? http://www.right-to-education.org/
47. 10 Point Plan for Juvenile Justice. A contribution to the Committee on the Rights of the Child Day of General Discussion on "State Violence against Children", Geneva 22 September 2000.